619
1999

ცისფერი
№ 1-2
1999

115

ფოტოინფორმაცია

პრეზიდენტი თბილრძის კომბინატის სტუმარია

პრეზიდენტი მერვე ათეულს შეუდგა

გარდაბნის რაიონი. პრეზიდენტი თბილსრესს ეწვია

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვისაც კეთილი სურვილი აღეძრა ჩემი დაბადების დღესთან დაკავშირებით. ჩემი ცხოვრების ყოველი დღე, მათ შორის დაბადების დღეც, სისხლხორცეულად, ორგანულად არის დაკავშირებული ჩემს სამშობლოსთან... დაბადების დღეს მაშინ ნამდვილად გადავიხდი პომპეზურად, როცა ჩემი ქვეყანა და მისი მოქალაქენი დალხინებულნი იქნებიან.

ედუარდ შევარდნაძე



თბილისი. სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცის“ ძეგლი მრგვალ ბაღში

ეკლესია პორნოგრაფიული აგრესიის წინააღმდეგ



საქართველოს დღევანდელი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ფონზე თანდათან მძაფრდება ტრადიციული ქართული და ქრისტიანული ზნეობისათვის შეუფერებელი ფსევდო-დემოკრატიული ტენდენციები, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ, დასავლური კულტურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა. ამგვარი ანტიზნეობრივი პროპაგანდის ავანგარდში სქესობრივი გარყვნილების ქადაგებაა.

საქართველოს საპატრიარქო გამოთქვამს ღრმა გულისტკივილს საქართველოში პორნოგრაფიული და ეროტიკული პროდუქციის მზარდი გავრცელების გამო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები, მისი მრევლი აღშფოთებული არიან პიროვნების, განსაკუთრებით, მოზარდთა ფსიქიკაზე ამგვარი აგრესიის ფაქტებით. ჯიხურებში ყოველდღიურად იყიდება ათეულობით გაზეთი, ამაზრზენი ფოტოებითა და ამორალური შინაარსის ტექსტებით. რაც, უმეტესწილად, ჰომოსექსუალიზმის, ნათესავებსა და ოჯახის წევრებს შორის ხორციელი ურთიერთობის რეკლამაა. ასეთ გამოცემათა უმრავლესობა, მათი პორნოგრაფიაში მხილებისას, ცინიკურად, ეგრეთწოდებული „ეროტიზმის“ ნიღაბს ეფარება, რაც, მათი თქმით, ფოტოსურათებზე მცირე რადიუსის ლაქების დადებით გამოიხატება.

აქ უადგილოა მსჯელობა, სად მთავრდება ეროტიკა და სად იწყება პორნოგრაფია. ქრისტიანული თვალთახედვით, ამ ორივე უზნეობით დაინტერესება არაბუნებრივია. ასეთი პროდუქციის არათუ მასშტაბური გავრცელება, არამედ არსებობაც კი მიუღებელია. როგორც მსოფლიო სოციოლოგიური პრაქტიკა ადასტურებს, სექსუალური თავისუფლების ასეთი პროპაგანდა ადამიანში იწვევს ანგარიშმიუცემელ ქმედებებს, ფსიქიკურ ტრავმას, რაც არცთუ იშვიათად იმპოტენციით და სრული სულიერი დეგრადაციით მთავრდება.

ეს უდიდესი დანაშაულია ღვთისა და ერის წინაშე.

დიდად სამწუხაროა, რომ მსგავს ამორალურ პროპაგანდას ხელს უწყობს საქართველოს ტელევიზიის ზოგიერთი არხი, განსაკუთრებით „რუსთავი-2“. ამ არხის ყოველკვირეული გადაცემა „ფსიქო“ ხშირად გარყვნილების ინტელექტუალურ და ზნეობრივ გამართლებას ემსახურება.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ე.წ. „ლიბერალი“ ამგვარ პორნოგრაფიულ აგრესიას მავნე მოვლენად არ მიიჩნევს, ადამიანის თავისუფალი ნების შეუზღუდველობის მოტივით. მათ მივუგებთ: ისევე როგორც მამა ზრდის შვილს გარკვეული და აუცილებელი შეზღუდვებით, ასევე სახელმწიფომ, ეკლესიის დახმარებით, უნდა იზრუნოს თავისი მოქალაქის არა განუკითხავად თავისუფალი, არამედ – ბოროტისაგან თავისუფალი ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაზე, რაც ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, სულიერი ჯანმრთელობის საფუძველია. როგორც პავლე მოციქული გვასწავლის, რასაც თავს ვუმონებთ, მისივე მონები ვართ. ჭეშმარიტი თავისუფლება ცოდვისგან თავისუფალ ცხოვრებას ნიშნავს და არა მდაბალი ვნებების მონობაში ყოფნას.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ჯანსაღი დამოკიდებულება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მეტნაკლებად ყოველ ცივილიზებულ ქვეყანას ახასიათებს. იქ პორნოგრაფიული პროდუქცია და ტელეგადაცემები შეზღუდულია როგორც დროით, ასევე სივრცობრივად.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი თვლის, რომ საჭიროა დროული და გადამჭრელი რეაგირება პორნოეროტიკულ აგრესიაზე. ამას უკვე მოსახლეობის დიდი ნაწილი მოითხოვს.

მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, რაც შეიძლება სწრაფად განიხილოს კანონპროექტი პრესის შესახებ. მიგვაჩნია, რომ კანონის წინაშე უნდა დადგეს ისიც, ვისთვისაც კომერცია ზნეობრივ საზღვრებს არ ითვალისწინებს. ამასთან, რეკლამის შესახებ კანონში, არაეთიკური რეკლამის ცნებაში, სასურველია, დაკონკრეტდეს რეკლამაში პორნოეროტიკული ხასიათის დეტალების მიუღებლობა. ხოლო პრესისა და ამ პრობლემასთან მდგომი რომელიმე სხვა კანონის მიღებამდე აღმასრულებელ ორგანოებს მივმართავთ თხოვნით: მათ ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით აკრძალონ, უკიდურეს შემთხვევაში, შეზღუდონ ამგვარი პროდუქციის გავრცელება. მით უმეტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამის საფუძველს იძლევა.

საქართველოს საპატრიარქოს
პრესცენტრი

№1-2 1999 (702)

ყოველთვიური-საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი

დროშა

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსულ ჩარკვიანი – თავმჯდომარე,

გულნარა ბახტაძე – პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), **ელდარ შენგელია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


საქართველოს საზღვრების რ
მასშტაბი
1
3.000.000
ვერსი
ნინოწმიდა
ბორჩალო
ალექსანდროპოლი
ბაკურიანი
ბორჩალოს ველი
ბორჩალოს ტბა
ბოლნისი
ბოლნისი
ბოლნისი

სტრასბურგში საზეიმოდ აღიმართება საქართველოს დროშა

ამ ისტორიული დღისაკენ

ჩვენი ქვეყანა,

მრავალჭირგამოვლილი ქართველი

ხალხი საუკუნეების

განმავლობაში ისწრაფოდა.

ედუარდ შევარდნაძე

დი ევროპის პერსპექტივებზე. ედუარდ შევარდნაძის დამსახურებამ და თავდადებამ, საქართველო ამ ახალი არქიტექტურის ნაწილად აქცია. ედუარდ შევარდნაძე არის ის ადამიანი, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა ევროპის ახალი არქიტექტურის შექმნაში, რომელიც ამ დარბაზში მსხდომთ საშუალებას აძლევს, იფიქრონ და იღვაწონ იმ დიდი ევროპის შექმნაზე, სადაც აღარ იარსებებს გაყოფისა და დაპირისპირების ხაზები. ამიტომ თქვენთვის ცხადია მისი პირადი სწრაფვა და, უფრო მეტიც, თავგანწირვა, რათა საკუთარი ქვეყანა – საქართველო გაეხადა ერთიანი ევროპული შენობის განუყოფელ ნაწილად, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ პრეზიდენტის სწრაფვა ევროპისაკენ, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური წრეების სწრაფვა ევროპისაკენ, ეს არის თითოეული ქართველის მისწრაფება, ვინაიდან სამშობლოს მომავალს ჩვენ ვუკავშირებთ დაბრუნებას ჩვენს ერთადერთ ნავსაყუდელში – ევროპის თავისუფალ ერთა ერთიან ოჯახში.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ივერია

ივერია, ივერია,
ქვა, ქვა მღერის, ივერია,
ჯერ არასდროს, ქვაო, ქვაო,
ასე არ დაგიმღერია.

ივერია, ივერია
ცაშია და მაღალია,
მისი ფერი, ლურჯი ფერი
ლურჯი ყანის ღაღანია.

მოდის, მოდის რუსთაველი
ავთანდილის ლხენითაო...
–რა მარჯვენა ხელითაო,
– რა მარჯვენა ხელითაო?

თესვითა და მომკითაო...
შრომითა და როკვითაო...

ქვაში ერის სიყვარული,
ქვაში, ერის სილაღეო,
ღმერთო, ღმერთო, შენ შეჰმატე
ივერიას სიმაღლეო.

1967



უოლკერი ჯერ კიდევ ითანს ოლოკს

ბევრი წიგნი დაწერილა და გამოცემულა ჩვენშიც და უცხოეთშიც ედუარდ შევარდნაძეზე. იცნობენ მის და მასზე დაწერილ წიგნებსაც არამარტო აქ, საქართველოში, მსოფლიოს თითქმის ყველა დიდსა და პატარა ქვეყანაში.

და აი, საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა კიდევ ერთი ახალი წიგნი – მოგონებების კრებული, რომელიც ახლახან ქართულ ენაზე გამოვიდა.

გარდა იმისა, რომ მასში დაბეჭდილია ოთხმოცამდე თვალსაჩინო ავტორის საინტერესო მოგონება, იგი გამორჩევა უნიკალური ფერადი ფოტოსურათებითაც, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ძვირფას გარეკანში ჩასმული და უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილი ეს ოთხასსამოცგვერდიანი წიგნი თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი ძალა და ენერგიაა დახარჯული მისი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემისათვის, როგორი გულისყურითა და სიყვარულითაა შერჩეული ფოტოსურათები, წერილები, ავტორები, რომელთაგან ბევრია მსოფლიოში ცნობილი და გახმაურებული სახელი.

სასიხარულოა და თამამად უნდა ითქვას, რომ ქართველმა მკითხველმა მიიღო მართლაც კარგი წიგნი – კოლექტიური კრებული, „რომლის ავტორთა თითოეულ ფრაზას შევარდნაძესთან ერთად მსოფლიო პოლიტიკის არენაზე თუ საქართველოში, საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და თაობათა თვალწინ განმტკიცებული მეგობრობა, გულწრფელი პატივისცემა და აღიარება უდევს საფუძვლად“, – აუწყებს საზოგადოებას შესავალ წერილში ამ წიგნის გამომცემელი და რედაქტორი ნუგზარ ფოფხაძე.

და იქვე განმარტავს, რომ ეს „მოგონებები“ საიუბილეო თარიღთან კი არის დაკავშირებული, მაგრამ მას საერთაშორისო ისტორიული ღირებულება გააჩნია. განსაკუთრებით გამოჰყოფს „ქართულ თემას“, რადგანაც, უწინარესად, იგი „ეხება მშობლიური კულტურის განვითარების ამ პერიოდს, როცა ჩვენი ლიტერატურის, კინოს, თეატრის, მუსიკის და ხელოვნების სხვა დარგებში წარმატებებმა საზოგადოებრიობა ააალაპარაკა“.

ბოლოს, და ეს მეტად საგულისხმოა, „ეგებ ღირდეს მიუკერძოებელი და ფიქრიანი ანალიზი იმისა, თუ რატომ აფასებენ ასე ღირსეულად შევარდნაძეს, რისთვის გამოხატავენ ასეთ მადლიერებას მისდამი... რა აიძულებთ იმათაც კი, ვისაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელთ ეპყრათ ასეული მილიონობით ადამიანის ბედი და ახლაც ხელეწიფებათ გადაწყვიტონ მსოფლიოს ბედიღბალი, პატივი მიაგონ მას...“

– ახლა ის დროა, როცა შევარდნაძის მრავალი მეგობარი მთელს მსოფლიოში უნდა დაფიქრდეს წვლილზე, რომელიც მან შეიტანა პლანეტაზე მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებაში, – წერს ბილ კლინტონი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

– მან შეცვალა ეპოქა და კვლავაც შეცვლის მას, – აღნიშნავს რობერტ ბერდი, ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი.

– ის, როგორც ხელმძღვანელი, თავის ქვეყანას აძლევს განსაზღვრულ იმპულსს, კარს უღებს საქართველოს, რათა, რაც შეიძლება წელგამართული შევიდეს მესამე ათასწლეულში, – ამბობს ჟაკ შირაკი, საფრანგეთის პრეზიდენტი.

– მან რეალობად აქცია ახალი საბჭოთა პოლიტიკის პრინციპები, რომელთანაც უკვე შეიძლებოდა საქმის დაჭერა, – ამ სტრიქონების ავტორი ბორის ელცინია, რუსეთის პრეზიდენტი.

– აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის დასასრულის ისტორიის შექმნაში შევარდნაძეს მეტი წილი მიუძღვის, ვიდრე რომელიმე ცალკეულ პიროვნებას, – აღნიშნავს ჯეიმს ბეიკერი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი.

– მსოფლიო მისგან დიდად დავალებულია, – ეს ჯონ მეიჯორის, ინგლისის ყოფილი პრემიერის სიტყვებია.

– იგი კიდევ უფრო მეტს გააკეთებს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის (ჰეიდარ ალიევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი).

– ედუარდ შევარდნაძე, როგორც მეგობარი, – აღნიშნავს თავის მოგონებაში პოეტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჯანსუღ ჩარკვიანი, – რჩეულია რჩეულთა შორის. კაცს ცრემლით ჩაჰყვება საფლავში, მთელი ცხოვრება არავის დააჩაგვრინებს თავისი წასული მეგობრის ოჯახს, საკუთარი მახსოვრობის დროშაზე ამოქარგავს წასული მეგობრობის სახელს და თან დაატარებს. თუმცა ერთი სიტყვაა დამაფიქრებელი – სიტყვა „ოღონდ“. ოღონდ არამც და არამც არ უნდა უღალატონ. თავად უღალატო კაცი, ვერ იტანს ღალატს.

– საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე არასდროს ჰქონია მსოფლიოს ასეთი მხარდაჭერა. ეს შევარდნაძემ შეძლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ცხოვრების მატიანე

– მას არ სჭირდება ჩვენგან ქება და აღიარება. მისი ფენომენის აღიარება ისევ ჩვენთვისაა საჭირო, ჩვენ გვზრდის და გვამაღლებს მოვლენათა სწორად განსჯა და დანახვა იმისა, თუ საკაცობრიო კონტექსტში საქართველოს ჩაწერას როგორ ახერხებს ჩვენი ლიდერი, რა სიბრძნის, რა თავგანწირვის, რა მოთმინების ფასად. მის ღვაწლს თუ სწორად დავინახავთ, იმასაც გავიგებთ, თუ როგორ ვემსახუროთ მის საქმეს, ანუ საქართველოს აღორძინების საქმეს, – წერს ლიტერატორი, მთარგმნელი, საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მანანა გიგინეიშვილი.

– ეს კაცი არის „ უშიში, ვითარცა უხორცო“ (მერაბ ბერძენიშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი).

– ედუარდ შევარდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს, რუსთავის №3 შრომა-გასწორებით დაწესებულებაში იფეთქა მსჯავრდებულთა ამბოხებამ... მათ დაწვეს სკოლის შენობა, მძევლებად აიყვანეს ზედამხედველები, შეიარაღდნენ თვითნაკეთი დანებით და ხელკეტებით. მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება კოლონიაში შინაგანი ჯარების შეყვანის და საჭიროების შემთხვევაში იარაღის გამოყენების შესახებ. გამოცხადდა განგაში, შედგა სათანადო გეგმები, მაგრამ მინისტრმა ყველა ეს უარყო. მან ბრძანა, გაეღოთ კოლონიის კარი და უხმო მათ, ვისაც არ ეშინოდა უიარაღოდ შეჰყოლოდნენ მსჯავრდებულებთან მოსალაპარაკებლად, – იგონებს გურამ გვეტაძე, გენერალ-ლეიტენანტი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი.

ასეთ დროს და ამნაირ ვითარებაშიც ადამიანები მაინც სხვადასხვანაირად უყურებენ ცხოვრებას, თავიანთ ლიდერებსაც სხვადასხვანაირად აფასებენ.

– ყველა გაიგებს, ყველა მიხვდება თქვენს მისიას? – ეკითხება შევარდნაძეს ჩინგიზ აითმათოვი, გამოჩენილი მწერალი, და თვითონვე ასკვნის: რას იზამ, ასეთები არიან ადამიანები, ასეთია საზოგადოების არსი, ასეთია ლიდერის ხვედრი.

– არც შევარდნაძე, – როგორც ლიდერი, იქნება გამონაკლისი, იმიტომ, რომ იგი დღევანდელი საქართველოს ბედია, რომელიც უზენაესმა უფსკრულის პირას მდგარ მშობელ ერს მოუვლინა და რომელმაც თავისი გონიერებით, ადამიანური ხიბლით და მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალით, იგი თვითმკვლელობას განარიდა. ხალხს დაუბრუნა ბოროტის უდღეურობისა და სიკეთის მარადიულობის რწმენა (ელგუჯა ამაშუკელი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი).

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება მკითხველს შევახსენოთ ჭაბუა ამირეჯიბის სტრიქონები, რომელიც ამ წიგნიდანაა ამოწერილი.

აი, რას ამბობს ჩვენი გამოჩენილი მწერალი:

– მისი სულიერი კაპიტალი ერთ ისტორიულად მნიშვნელოვან ნიადაგში დაბანდდა და თავისი ამონაგებიც უკვე მოაქვს. ეს არის საქართველოს, ქართველი ერის საერთაშორისო გლობალური ფუნქციის ახალ ხარისხში აღდგენა...

ეროვნული თავისებურება

1990 წელს ოზურგეთის რაიონში მცხოვრებმა დაახლოებით 350 გვარის წარმომადგენელმა (მეტწილად გაავსებუებულმა ქართველებმა) განცხადებით მიმართეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რათა მეცნიერებს გაეარკვიათ მათი გვარების ისტორია, წარმმავლობა, ისტორიულ წარსული მათი ეროვნული კუთვნილება. ამ განცხადებას პასუხი გასცა ისტორიის ინსტიტუტმა. თითოეულ გვარზე ოზურგეთის რაიონმასკომის სახელზე გამოგზავნილ მასალებს ხელს ანერენ: ინსტიტუტის დირექტორი, აკად. გ. მელიქიშვილი, სნაველი ზფიანი თ. თოფჩიანი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ს. ბახია და ეხათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, აფხაზური ენის სპეციალისტი თ. გვანელაძე. ამ პასუხების მიხედვით ჩვენ მხოლოდ თავადურ გვარებზე შეეჭერდენთ.

აფხაზურად მიჩნეული თავადური გვარებია: შარეამიძე, ანრაბაძე, მარშანია, ინალიშვილი, ემუხვარი, ჩქოტუა, ძიაფშიფა, ჩაბალურხეა.

შარეამიძე ლაზური წარმოშობის გვარია და მომდინარეობს შარამიდან. აკად. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით: „ეს გვარი ნამდვილად მეგრული წარმოებისაა – შარაში პლიოს ქართული ძე". XVI საუუუუნეში ქრ. კასტელი ეს გვარი შარაშიის ფორმით აქვს მეგრულად მოხსენებული. მხოლოდ გამოთქმულია მოსაზრება (აკად. ნ. ბერძენიშვილი), რომ აფხაზეთის ამბებთან მოხსენებული ოთალო ჭაკასაძე შესაძლებელია ჩაჩაა ყოფილიყო. თურქი მოგზაური ევლია ჩელები (1641 წელი) ნერს: „მთავარი ტომი აფხაზეთში არის ჩაჩ, რომელიც ლაპარაკობს იმავე მეგრულით, რომელიც ზუგდიდში ფამის (რაინის ნ. თ.) ირეერ მხარეს". ამასთან დაკავშირებით პაულე ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ეს ძირითადი მხარე აფხაზეთის სამთავროსი – ჩაჩის თემი არის საშეერეამიეეო, რომელი ცენტრი იყო დაბა ლიხნი. მამასადამე, ევლია ჩელების მიხედვით, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში თანამეფროვე გუფაუთის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლეობა ყოფილა ქართული".

ანრაბაძე: არის მოსაზრება (ზ. ანრაბაძე, ეულ. ალფენიძე), რომ ეს გვარი მესაძლებელია დაკავშირებული იყოს სამხრეთ საქართველოს კულტურულ ცენტრ ანრთან. გაილულ ანრაბაძეებში გაკრცელებული იყო გადმოცემა მათი ნინაპრების სამხრეთ საქართველოდან გადმოსვლის შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ანრაბაძეებიდან მომდინარეობს თავადური გვარი მარაბელი. ამ გვარის მეგრული ფორმაა ანრბეია, აფხაზური – ანბა. სეპარატისტებოეკეებმა გალის რაიონის სოფელ ანიგვარაშენ საკუთარ სახლში მოკლეს მ. ანრაბაძე, პასპორტში აწერა რატომ არ განერიაო, სოხუმში ეი მოკლეს ლეონა ანრაბაძე – პასპორტში ეროვნება ქართველი რატომ განერიაო. არც ერთ ისტორიულ წყაროში მოხსენებული არ არის გვარი აჩბა.

სტეფან მარშანია – აფხაზეთის მთავარი. ქრ. კასტელის ალბომიდან

აფხაზურად მიჩნეული თავადური გვარი მარშანია წარმოშობით ქართველი მარეშანია (ნ. ბერძენიშვილი, ზ. ანრაბაძე., გ. გასეიანი). გ. გასეიანი ნერს: „მარშანიები ანუ მარუშიანები (ამჟამად მარშანიები) სვანების ერისთავების ფარეკანიან-ეარდანიძეების მთამომავლები იყვნენ, რასაც მონმობს სვანეთის საეკლესიო წარნერები". (იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია რაჭა-ლეჩხუმში, 1910 ნ. ქარაზნ. 1937 ნ.) აკად. ნ. ბერძენიშვილი ნერს: „მარუშიანს, მარუშიის-ძეს, მარშანიას – საქართველოს პატრიოტობაში ეერაკენ შეეცილება და არაა გამორიცხული, რომ ეს გვარი ძირეულად დალი-ნებელდელი სვანები ყოფილიყენენ". (ნ. ბერძენიშვილი (საქ. ისტორიის საკითხები, მეორე გამოცემა. 1990. გვ. 607). წარსულში მარშანიების სამფლობელო დალი-ნებელდა იყო.

თავადურ გვარ ინალიშვილზე ისტორიის ინსტიტუტის პასუხებში ვკითხულობთ: ინალშეილი ქართული გვარია, მას საფუძველად უდევს ჩრდილოეთ კავკასიურ ენათაგან ნასესხები სახელი ინალი (ეს სახელი ზუგდიდისა და გალის რაიონებში იყო გავრცელებული ნ. თ.) და ერთვის ქართველ-შეილი-დაბოლო

ალი-ფაშა ფერეიდნელი ქართველია

ალი-ფაშას, თურმე, უღალატია გურულებისათვის...

გურულებმა კი ამ მოღალატე ფაშას მშვენიერი, ვაჟკაცური სიმღერა უძღვნეს და, თუმც ეს დიდი ხნის წინათ ყოფილა, დღესაც მღერიან.

იმ მოღალატე ალი-ფაშას გვარიშვილობაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან თავად გურულებსაც, როგორც ჩანს, ის უგვაროდ ჩაუთვლიათ და მისი წარმომავლობაც უცნობი დარჩა.

ხოლო ალი-ფაშა, რომლის დიდმამულიშვილობაზეც მე ახლა უნდა მოგახსენოთ, სულით ვაჟკაცია და კარგი გვარიანი ქართველიც...

ეს ალი-ფაშა, გვარად იოსელიანია.

ფერეიდნელი ქართველია იგი.

დაიბადა, აღიზარდა და დავაჟკაცდა ფერეიდნის ზემო მარტყოფში, ხოლო ამჯერად მუშაობს და ცხოვრობს ქ. ნაქოხაბადში...

ფერეიდნელებზე ბევრი, მაგრამ მაინც არასაკმარისია დაწერილი და ამიტომაც მათი ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეს – ვაჟკაცობასა და შეუდრეკელობას შევეხები.

ფერეიდანი – „პატარა გურჯისტანი“, სადაც დიდ გურჯისტანს მოწყვეტილმა ქართველობამ თითქმის ოთხი საუკუნე გასძლო არა მარტო ფიზიკურად, არამედ, რაც მთავარია, სულიერი სიმაღლითაც. ამ ხნის მანძილზე, მიუხედავად უცხო მიწისა და უცხო გარემოსი, ქართველმა კაცმა არ დაივიწყა თავისი ფუძე-დედა-სამშობლო, მშობლიური ენა და ბრწყინვალედ შემოინახა ქართული ეროვნული ფსიქიკა. სხვათა შორის, მათ შემოინახეს ბევრი ისეთი ეროვნული ეთნოგრაფიული ჩვევა და ძველი ქართული ტერმინი, სამწუხაროდ, ჩვენ რომ დაკარგული გვაქვს.

ფერეიდნელი ქართველი ძალით მოსწყვიტეს დედა სამშობლოს, წაართვეს ქრისტიანული რწმენა და მოაქციეს მაჰმადიანურ რჯულზე, მაგრამ ვერ წაართვეს, ვერ აღმოფხვრეს მასში რწმენა დიდი სამშობლოსი და მშობლიური ენისა. ეს ბრძოლა კი გრძელდებოდა ოთხი საუკუნის მანძილზე!

აი, ეს არის, ჭეშმარიტად, ეროვნული ვაჟკაცობა.

აბა, გადავხედოთ ამ ოთხ საუკუნეს. განა ადვილი იყო ბრძოლა მარტო არსებობისა და ფიზიკურად ქართველობის შესანარჩუნებლად? მაშინ, როდესაც იქ, ფერეიდანში, ბახტიარიის მთებში ცხოვრებისას მათ გაუთავებელი შუღლი და ბრძოლა ჰქონდათ მეზობელ მომთაბარე ისეთ ტომებთან, როგორნიც იყვნენ ყაშყაელი ბახტიარი, ქურთი და ლური.

დიახ, ქართული სულიერი ვაჟკაცობა სწორედ აქ დაამტკიცა ფერეიდნელმა ქართველმა. მან, რა თქმა უნდა, დიდი მსხვერპლის ფასად არამც თუ გაუძლო დამქანცველ საუკუნეებსა და მასზე რიცხობრივად ბევრად მეტ მტერს, არამც თუ თავი მოუხარა და დამორჩილდა მას, პირიქით, ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. ასე რომ, ქართველი იქ, ფერეიდანში, დაჩაგრული არასოდეს არ ყოფილა ეროვნული თვალსაზრისით. დაჩაგრული რომ ყოფილიყო, არამც თუ ენას შეინარჩუნებდა, არამედ ეროვნულადაც გადაშენდებოდა, რადგანაც დამონებული ერი იღუპება. ასეთია ბუნების კანონი.

ბუნებრივია, ყოველივე ამას ხელი შეუწყო, პირველ რიგში, ვაჟკაცურმა და დაუმორჩილებელმა ეროვნულმა სულმა, მთის ფაქტორმა, კომპაქტურმა დასახლებამ და უგზოობამ.

დღეს უკვე ირანი ის აღარ არის, რაც იყო. ოდესღაც ჩამორჩენილი, ირანის საზოგადოებას მოწყვეტილი ფერეიდანი, აქტიურად არის ჩაბმული ირანის ცხოვრების ფერხულში. გაყვანილია მშვენიერი გზები, რადიო და ტელევიზია, აშენდა სკოლები, სადაც კომპიუტერებით სწავლობენ. რა თქმა უნდა, სწავლობენ ირანულ ენაზე. სხვა ყველაფერი, რაც დღევანდელობისთვისაა დამახასიათებელი, ირანულ ენაზე წარმოებს.

ასევე დიდია ურბანიზაცია – სოფლიდან ქალაქში დენა. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობს ფერეიდნელ ქართველობაში დაიკარგოს ის, რაც ამ ოთხი საუკუნის მანძილზე მათ შემოინახეს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ქართველ ფერეიდნელ მამულიშვილებს შეუმჩნეველი არ დარჩათ. მათ დაიწყეს ფიქრი იმაზე, რათა ამ ხალხის წმინდა განძი არ დაკარგულიყო.

ამ მოწინავე ქართველთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია სწორედ ეს ალი ფაშა-იოსელიანი. მან დაამთავრა ირანში პედაგოგიური სასწავლებელი და ქ. ნაქოხაბადში დაიწყო ირანული ენის მასწავლებლად მუშაობა.

მისი და მისი თანამოაზრეების ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ფერეიდნელ ქართველთა შორის გაევრცელებინათ ქართული ანბანი და, რაც მთავარია, არ დაევიწყებინათ მათთვის დედის ენა! ამის საუკეთესო საშუალება კი იყო, რომ ოფიციალურად გახსნილიყო ქართული ენის შემსწავლელი კურსები. კურსების გახსნისათვის საჭირო გახდა ოფიციალური ნებართვა.

და აი, ბატონმა ალი ფაშამ დაიწყო სიარული ფარსისტანის გუბერნატორთან და შედეგმაც არ დააყოვნა. მიიღო ნებართვა და ნაქოხაბადში ქ. ისპაჰანთან პირველად მუსულმანურ სამყაროში ირანულ სკოლაში ოფიციალურად გაიხსნა ქართული კურსები და მას თვითონ ალი ფაშა ჩაუდგა სათავეში.

ბუნებრივია, ამ ოფიციალური ნებართვის მიღებას ხელი შეუწყო ბატონი ედუარდ შევარდნაძის ირანში ყოფნამ და საქართველო-ირანის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების დადებამ.

ხსენებული კურსები დაარსდა ოთხი წლის წინ და პირველი პრობლემა, რაც კურსების წინაშე დადგა, იყო წიგნი ქართული, კერძოდ, „დედა ენა“.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება ალი ფაშას მხარში ამოუდგა და ასეულობით მიაწოდა „დედა ენა“ და სხვა ლიტერატურა.

ქართული ენის კურსებზე სწავლების მსურველთა რიცხვი ყოველ წელს იზრდება, ხოლო მოსწავლეთათვის გაცემული „დედა ენა“ კურსებს უკან აღარ უბრუნდება. ამის გამო ამ კურსებზე მოსაგვარებელი საქმე ისევ და ისევ წიგნი და კერძოდ „დედა ენაა“.

გასულ წელს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ ერთი თვით მოიწვია ბატონი ალი ფაშა საქართველოში ქართული ენის ცოდნის გასაღრმავებლად და ენის სწავლების მეთოდიკის შესასწავლად. ამისათვის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში მიამაგრეს. ამავე დროს ის ახლოს გაეცნო საქართველოს ღირსშესანიშნაობებს ქართლსა და კახეთში. ასევე შარშან მოწვეული იყო დელეგატად უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების კონგრესზე, სადაც შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა.

მის გამოსვლაში იგი ფერეიდნელთა ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე შეჩერდა, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ის, რაც ფერეიდნელმა კაცმა ამ ოთხი საუკუნის მანძილზე გულით ატარა – თავისი დედის ენა და ქართველობა, ახლა საფრთხის წინაშეა. მან დაბეჯითებით თქვა ისიც, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ დიდ საქართველოსთან უფრო მჭიდრო კავშირითა და ხელისშეწყობით. მათ საქართველოდან არაფერი უნდათ, გარდა წიგნისა, კერძოდ, „დედა ენისა“, რაც უებარი წამალია არა მარტო დედა ენის შესანარჩუნებლად, არამედ ქართველობის გადასარჩენადაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ალი ფაშამ თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა და ნაწილობრივ შეასრულა კიდეც, რომ ტყვედქმნილ ქართველს თავისი ენა და სამშობლო არ დაევიწყებინა. იგი მარტო ამ დიდი საქმით არ კმაყოფილდება და იმავ დროს მისი მიზანია – იქაურმა ქართველმა და, საერთოდ, ირანელმაც იცოდეს, თუ საიდან მოხვდნენ ეს „გურჯები“ ირანში, იცოდეს მათი ცხოვრება და ყოფა ამ ოთხი საუკუნის მანძილზე.

ალი ფაშამ ისპაჰანისა და ნაქოხაბადის ირანულ გაზეთებში გასული წლის დასაწყისში უამრავი წერილი დაბეჭდა ფერეიდნელ ქართველთა ისტორიასა და ყოფაზე. ამ წერილებით მან მთელ ირანს დაანახა იმ ქართველთა ცხოვრება, რომელთაც დედა ენა არ დავიწყებიათ და არც ოდესმე დაივიწყებენ. ყველას გააგებინა, ეს „გურჯები“ საიდან მოვიდნენ ბახტიარიის მთებში და ვინ არიან.

საგაზეთო წერილების გარდა, ალი ფაშა საქართველოს ისტორიის შედგენაზე და მის ირანულ ენაზე სათარგმნელად მუშაობს. მისთვის ეს სამუშაო რთულია, რადგან ყველა ისტორიულ წყაროზე ხელი არ მიუწვდება. მიუხედავად ამისა, ის მაინც თავგამოდებით შრომობს და დღეისათვის დიდი ნაწილი დასრულებულიც აქვს.

ალი ფაშას ამ დიდ მამულიშვილურ წამოწყებას ქართული ენის არ დავიწყებისა და ანბანის შესწავლის საქმეში, მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. და აი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გასული წლის 6 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის ბატონ ჯემშიდ გიუნაშვილის ვრცელი წერილიდან ვგებულობთ, რომ ფერეიდუნშაჰრშიც, ანუ იგივე ზემო მარტყოფში, გაიხსნა ქართული წერა-კითხვის შემსწავლელი კურსები. კურსებს ხელმძღვანელობს ქალბატონი მარიამ ბათვანი. ეს უკვე ნიშნავს, რომ ზემომარტყოფელი მანდილოსნები და ყორეები (გოგონები) დაინტერესებულნი არიან ქართული ანბანით. მოგეხსენებათ, რომ ირანის სკოლებში მოსწავლე გოგონებს მხოლოდ ქალბატონები ასწავლიან.

სიხარულითა და სიამაყით უნდა ითქვას, რომ ეს კურსებიც ბატონი ალი ფაშა-იოსელიანის მიერ გახლავთ სულჩადგმული.

ამ დიდ მამულიშვილმა კიდევ ერთი დიდებული საქმის მოგვარება შეძლო.

და ჩვენ, მის სისხლსა და ხორცს, მადლობის მეტი რა გვაქვს სათქმელი იმათზე, ვინც შორეულ ქვეყანაში არ ჰკარგავს თავის ძირსა და ფესვებს...

ნოდარ კოჭლაშვილი,
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

ვასილ გვეტაძე

თბილისი

ბედს რომ მივენდე, ესეც ბედია,
სხვა აღარაფერს არ ვიმიზეზებ.
მოქეიფენი არ შემხვედრია
მეზურნეების დასტით რიყეზე.

არ ჩაუვლია იმ წყალს არასდროს,
ვერის ხიდქვეშ რომ ახლაც მოღელავს.
ერთი ნაბიჯით წინ გადამასწრო
შავჩოხიანმა ყარაჩოღელმა.

თუმცა მე მაინც ვარ კმაყოფილი
იმით, გზადაგზა რაც დავინახე:
სამიკიტნოში კინტოს პროფილი,
ხელებშუა რომ მალავს პირსახეს;

უცხო ფუთფუთი დასაბამითი
ქვემოთ, მაიდნის ფართო ჩეროდან.
მაშინ, თბილისო, მამადავითი
მართლა ზემოდან ჩამოგცქეროდა.

მღვრიე მეჩეთზე.მთვარის ნამლევი,
მტკვარზე ტივი და რაღაც ჯებირი.
დაფრიალებდნენ ტურფა ქალები.
გუდიაშვილის ნახატებივით.

ამ ქუჩაბანდებს რას გამორჩები,
ხიდთან მეტეხიც ცას თუ ეკიდა.
შემოდიოდნენ ბოლო ჩოჩრებით
მემაწვნეები განთქმულ წყნეთიდან.

შუაღამეში ფრთამიმოშლილი,
გამთენიისას მოიბურები,
ამოვსებული ხაშის ოხშივრით
და მთვარიანი თონის პურებით.

უცებ ნანგრევი, როგორც გოლგოთა,
ყველა ბზარი რომ ტკივა დედური...
ლიხის მთებიდან ქარს გადმოჰქონდა
რაღაც ისეთი, ვით საყვედური.

ჩვენს ძველ საბუდრებს ბინდი მიშლია,
სადაც არ ველით, იქ ვიწირებით...
წლები, რომელიც ქუთაისშია,
ჩაჭიდებია თბილისს ძირებით.

ო, ეს ორი რამ, მწველი ძირამდე,
იმ მზით მორწყული და იმ არხებით.
ერთია მიწა, სად დავიბადე,
მეორე, სადაც დავიმარხები.

მაგრამ საფლავი თუ გამეჭრება,
მარტო თბილისში, სულო საპყარო...
ეს ძვლები ნაღდად და უეჭველად
მე მის მიწაში უნდა ჩავყარო.

ნუნუ კუპრეიშვილი

ბევრი ჩვენგანი, ალბათ, დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალ-ყურს სატელევიზიო გადაცემას „ინტელექტკლუბი“ ანუ „რა, სად, როდის?“ ამ გადაცემამ არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას შეგვახვედრა. მისი მონაწილეები თითქმის მთელმა საქართველომ გაიცნო და შეიყვარა.

გიორგი ბაქრაძის, ნიკა გვარამიას, ლაშა კილაძის, ზურაბ მაღრაძის, ლევან კობერიძის, ცოტნე მირცხულავას, შოთიკო გუგუშვილის, თამაშის წამყვანის გიორგი მოსიძისა და სხვა მრავალ ინტელექტუალთა სახელს არა ერთი ახალი გუნდი და მოთამაშე შეემატა.

ჩვენი მიზანია, უფრო ახლოს გავიცნოთ მათი ინტერესთა სფერო, გავაანალიზოთ ამ კლუბის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე ინტელექტუალთა ჩამოყალიბებისა და წარმოჩინების თვალსაზრისით.

ინტელექტუალები

***

ოცდახუთი წლის შემდეგ ისეთივე ერთოლვითა და მოკრძალებით ავდიოდი უნივერსიტეტის კიბის საფეხურებზე, როგორც მაშინ, ჩვიდმეტი წლის ახალბედა სტუდენტმა პირველად რომ შევაბიჯე ცოდნის ამ უდიდეს ტაძარში.

აქ ყველაფერი ისევ ისე ნაცნობი და მშობლიური იყო ჩემთვის, როგორც დიდი ხნის წინათ. ჟამთა დინებას ვერ წაეშალა ის ანდამატური ძალი და ხიბლი, ასე ღრმად და შთამბეჭდავად რომ ჩამრჩენოდა გონებასა და მეხსიერებაში.

დეკემბრის პირველი კვირა დღე იყო. სხვა დღეებისაგან განსხვავებით უნივერსიტეტის ეზოსა და შემოგარენში სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა.

შენობას ეზოს მხრიდან შემოვუარე და კლუბისკენ მიმავალ კიბეებს შევუდექი. წინასწარვე ვიცოდი, რომ აქ, ყოველ კვირა დღეს, ნიჭისა და ტალანტის, გონიერებისა და შემეცნების, აზროვნების უნარისა და ინტელექტის ერთგვარი ჭიდილი თუ პაექრობა იმართებოდა, ანუ სხვანაირად, ცოდნის ზეიმი ეწყობოდა.

„ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია,... ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაჯიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა“ – გონებაში უნებურად გახმიერია საუკუნენახევარგამოვლილი ბრძნული ნაბრევი დიდი ილია, რომ გვმოძღვრავდა.

„ეხლანდელს დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედ უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“... რა საოცარი სიზუსტით ეხმიანება დღევანდელობას, რომ

გორი თანადროულია მისი ყოველი ფრაზა და ბედნიერია ის თაობა, ვინც ამ ნააზრევს გაითავისებს, ვინც დიდი ილიას მრწამსსა და მსოფლმხედველობას ჩაწვდება, ვინც მის სულიერ სამყაროს შეიცნობს.

ვის ძალუძს ამის დაძლევა, თუ არა იმ თაობას, რომელიც გვაფიქრებინებს და გვაგრძნობინებს, რომ ის მოდის, მოდის, როგორც ძალა ახალი წინაღობების, დაბრკოლებისა და სხვა მრავალ პრობლემათა დაძლევის გარანტად და აღმსრულებლად. ამის საფუძველს კი მხოლოდ ის ცოდნა და განათლება იძლევა, რომელიც ჩვენს მომავალს უფრო მეტ ინტელექტს გამოუმუშავებს, სწორ გზაზე დააყენებს, ახალი სიტუაციის შესატყვისი მოქმედების უნარის სრულყოფაში დაეხმარება, ზოგად გონიერებას, ნიჭსა და ტალანტს თანდათანობითი წვრთნის შედეგად მისი შემოქმედებითი საქმიანობის უკეთ წარმოჩენისთვის მიამართვინებს.

აი, ამ ამაღლებული განწყობითა და პათოსით დამუხტული აღმოვჩნდი მომავალი ინტელექტუალების პირისპირ. თუმცა სანამ მათ შევხვდებოდი და ვისაუბრებდით, დიდხანს ვიდექი მონუსხულივით კლუბის ამ დიდი, ღია დარბაზის განაპირას და ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს ცოდნისა და გონიერების შეჯიბრის სანახაობრივად მეტად ეფექტურ და მიმზიდველ „მეჯლისს“. ვუსმენდი მათი ჭკვიანი და გონიერი „დირიჟორის“ გიორგი მოსიძის მიერ დიდი ძალისხმევითა და მონდომებით შერჩეულ კითხვებს, ვაკვირდებოდი შესარჩევ ტურში მონაწილეთა მსჯელობას, აზრთა პაექრობას, მათი კაპიტნების მიერ სწორი პასუხის შესაჯერებლად გაბოტანილ გადაწყვეტილებას და აღფრთოვანებული გონებაში წამდაუწუმ ვიმეორებდი ერთი შეხედვით თითქოს გაცვეთილ, მაგრამ ყავლგაუსვლელ სიტყვებს: „ეს რა ახალგაზრდობა მოდის!“

აქ მოსვლამდე მხოლოდ ორ მათგანს შევხვდი – საქართველოს კლუბის „რა, სად, როდის?“ პრეზიდენტს, „ინტელექტკლუბის“ წამყვანს გიორგი მოსიძესა და „მოაზროვნე“ ნიკა გვარამიას.

ჩვენი შეხვედრა გიორგის სამსახურში შედგა, სადაც იგი სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო პროგრამების რეალიზაციის ბიუროს უფროსად მუშაობს. როგორც თვითონ განმიმარტა, მისი სამსახური საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას კურირებს, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

ტელეეკრანიდან დანახული, ამ ერთი შეხედვით მკაცრი და შეუვალი „წამყვანის“ მიღმა ძალზე მეგობრული, გამორჩეული თვისებებისა და დახვეწილი ინტელექტის, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული, საქმიანი და საკმაოდ პრინციპული ახალგაზრდა პიროვნება დგას.

გიორგი პროფესიით ექიმი-ინფექციონისტია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული. სწორედ სტუდენტობისას უშუალოდ მისი მცდელობითა და აქტიურობით მოხერხდა მომავალ ინტელექტუალთა თავმოყრა და შეკავშირება. 1991 წლიდან მოყოლებული გიორგი მოსიძე საქართველოს კლუბის „რა, სად, როდის?“ დამფუძნებელი და უცვლელი პრეზიდენტია.

სამი წელი თამაშები მხოლოდ ინსტიტუტის დონეზე ტარდებოდა, შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში გადაინაცვლა და 1994 წელს რესპუბლიკური სტატუსი შეიძინა.

რას წარმოადგენს თვით ეს კლუბი და რა ფუნქცია აკისრია მას?

ეს არის დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავისი ფილიალებითა და ასამდე გუნდით, საერთაშორისო ორგანიზაციებით, გარკვეული საქმიანობითა და მიზნებით. ინტელექტუალურ თამაშებში გარდა თბილისის გუნდების საქართველოს რეგიონის თითქმის ყველა ქალაქის გუნდი მონაწილეობს, მათ

შორის მნიშვნელოვანი წილი ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ზუგდიდის, ფოთის, გორისა და თელავის გუნდებზე მოდის.

საქართველოს კლუბი „რა, სად, როდის?“ კლუბების საერთაშორისო ასოციაციის – ფიფას წევრია 1995 წლიდან. ეროვნული ნაკრები გიორგი ბაქრაძის, ლაშა კილაძის, ნიკა გვარამიას, ზურაბ მაღრაძის, გიორგი მოსიძისა და პროგრამის ხელმძღვანელის, ეროვნული ნაკრების კაპიტნის ლევან კობერიძის შემადგენლობით მრავალი საერთაშორისო ღონისძიების მონაწილე და პრიზიორია.

ტელეგადაცემა „ინტელექტკლუბი“ მათი საქმიანობის ერთ-ერთი სახეა, სადაც შესარჩევ ტურში გამარჯვებული გუნდები მონაწილეობენ. აქ მაყურებელი ეთამაშება გუნდს, „ბრეინ-რინგში“ კი გუნდი ეთამაშება ერთმანეთს და კითხვებიც შესაბამისად განსხვავებულია“.

ჩვენი ეროვნული გუნდის საკმაოდ დიდ პოტენციალზე მეტყველებს ისიც, რომ ქართველმა მოაზროვნეებმა მოსკოვიდან, სადაც ტელეგადაცემა „ბრეინ-რინგის“ ჩაწერაზე იყვნენ მიწვეულები, ამ გადაცემისთვის დაწესებული სიმბოლო – „ბროლის ბუ“ ჩამოიტანეს, ხოლო „ინტელექტკლუბის“ სიმბოლოს – „ბრინჯაოს მოაზროვნეს“ არა ერთი და ორი მოთამაშე დაუფლებია.

მოაზროვნე, ინტელექტუალი – თუ რამდენად მიესადაგება ეს მცნებები მათ მრწამსსა და მსოფლმხედველობას, ნათლად ჩანს თუნდაც იმ სატელევიზიო გადაცემებიდან, რომელსაც კარგა ხანია თვალ-ყურს ადევნებს თითქმის მთელი საქართველო. ტელემაყურებელი მოუთმენლად ელის მათთან შეხვედრას, სიხარულით აღიქვამს ყოველი ახალი გუნდისა თუ მონაწილის გამოჩენას, მტკივნეულად განიცდის რომელიმე მათგანის გუნოიდან წასვლას. ეს იმას ნიშნავს, რომ ორმხრივი ურთიერთობა დამყარდა. ჩვენ შორის სულიერად დამაკავშირებელი სიმი გაიბა.

თაობა მიდის, თაობა მოდის!

კარგად მივუგდოთ ყური მათ გულისცემას. ადვილად დავრწმუნდებით, რომ ისევ მძლავრობს მათში ქართული გენი, ისევ ძალუმად სჩქეფს ქართული სისხლი და ასეთი თაობის მხრებზე შემდგარ ქვეყანას ვერავინ და ვერაფერი მოერევა.

„ჩვენი თავი მარტო ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო“ – გათავისებული აქვს ნიკა გვარამიას და მან კარგად იცის, რომ ეს მარტო პიროვნებებზე გათვლილი სოციუმი როდი არამედ იმ ქვეყნის კრიტერიუმია, რომელშიც ის ცხოვრობს. თუ პიროვნებას არა აქვს ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, არა აქვს ქვეყანასაც და პირიქით.

ნიკა თვლის, რომ მისი თაობის ინტელექტუალებმა იციან, რას აკეთებენ, რა სურთ, საითკენ მიდიან. ისინი საკუთარ ინტერესებს ქვეყნის ინტერესებთან აჯერებენ. იგი ვერც იმაში ხედავს ცუდს, რომ დღეს ბევრ ახალგაზრდას გული უცხოეთისაკენ მიუწევს. ეს არც ახალი „ხილია“, და არც აკრძალული. განა მათმა წინაპრებმა ამ გზით გამდიდრებული ცოდნა და განათლება თავის ხალხსა და ქვეყანას არ მოახმარეს? მისივე აზრით კულტურის, განათლებისა და ცივილიზაციის სინთეზი ყოველთვის მომგებიანია. დღეს საქართველოს, სისხლის გადასხმასავით სჭირდება ევროპული გამოცდილება. ჩვენმა ახალგაზრდებმა არა მარტო უნდა ნახონ და გაიცნონ მსოფლიო, არამედ უნდა ისწავლონ, როგორ უნდა შრომა და მუშაობა.

მომავალი სამართალდამცავი ვარაუდობს, რომ მისი თაობა თავის ნამდვილ სათქმელს ათი წლის შემდეგ – ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე იტყვის. ვფიქრობ, რომ ეს მისი მხრიდან ძალზე თავმდაბლური პროგნოზია.

ახლა სხვებსაც მოვუსმინოთ:

გიორგი მოსიძე: ინტელექტუალური მოძრაობის ძირითადი მიზანია, თვითეულ ჩვენგანს ჩამოუყალიბდეს საკუთარ აზროვნებასა და შემეცნებაზე დაფუძნებული, ყოველგვარი ზეწოლისაგან თავისუფალი მსოფლმხედველობა. ვფიქრობ, რომ ეს მისია ჩვენმა კლუბმა შეასრულა და ამდენად მისი არსებობა გამართლებულად მიმაჩნია. მან შემოიკრიბა და გააერთიანა სხვადასხვა პროფესიის, მიზანსწრაფვის და გნებავთ, შეხედულების საღად მოაზროვნე, ნაკითხი, განათლებული, წიგნიერი ახალი თაობა, რომელთა საშუალო ასაკი თხუთმეტი-ოცდახუთი წელია (ეს ყველაზე მეტად ნიშანდობლივია), და ამით სხვებსაც უჩვენა მაგალითის ძალა.

გიორგი ბაქრაძე: (ფიზიკოსი, ასპირანტი, მუშაობს მსოფლიო ბანკის მუნიციპალურ პროექტში კონსულტანტად) დარწმუნებული ვარ, ჩვენი თაობა თამამად შეაბიჯებს XXI საუკუნეში. ჩვენ მას უეჭველად გამოვადგებით.

ინტელექტუალებთან ერთ-ერთი სტუმრობისას ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ასე მიმართა მათ: „ამ შეჯიბრში დამარცხებული არ არსებობს. მონაწილეობდე ამ რანგის თამაშებში – ეს თავისთავად გამარჯვებაა“.

იდენტური აზრის გამოსახატავად სახელოვანი წინაპრის, დიდი ირაკლი ფაღავას შვილიშვილმა – პატარა ირაკლი ფაღავამ ისევ სულმნათი პოეტის სიტყვები მოიშველია. „აწმყო თუ არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“-ო და ერთ-ერთ ბლიც-ინტერვიუში ამით განმუხტა დროებითი მარცხით გამოწვეული თავისი გუნდის უგუნებობა.

დათო ჭოჭუამ – თსუ საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობათა თექვსმეტი წლის პირველკურსელმა, „აუდიენციის“ ახლადჩამოყალიბებული გუნდის წამყვანმა მოთამაშემ თავისი ცხოვრებისეული კრედო ერთი ძალზე მოკლე და ტევადი ფრაზით ასე ჩამოაყალიბა: „ძლიერ სახელმწიფოს ახალი თაობა აშენებს!“

ნელ-ნელა ჩამოვდიოდი უნივერსიტეტის კიბეებზე და გონებაში დათოს აზრს ვაგრძელებდი:

აი, ეს თაობაც!

საბჭოური ყოფიერებიდან გადმოყოლილი ერთი ოპოზიციური სტერეოტიპის შესახებ

საბჭოურ ყოფიერებაში ჩვენს ცნობიერებას ჩვენდაუნებურად შეუსისხლხორცდა გარკვეული სტერეოტიპები, რომელთა ჩამობღერტვა, ბუნებრივია, არაა მაინც და მაინც ადვილი პროცესი.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ ერთ ოპოზიციურ სტერეოტიპზე, კერძოდ, უსანქციო მიტინგებზე, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებაზე.

უსანქციო მიტინგების საკითხი დღესაც აქტუალურია საქართველოში, რამდენადაც მათი ჩატარების მცდელობანი საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით ექსპრეზიდენტის მეუღლისა და მის თანამოაზრეთა მხრიდან, და, შესაბამისად, ხშირია მათი აღკვეთის ღონისძიებებიც – მეტწილად მიუღებელი მეთოდებით.

ამას წინათ დიალოგი მქონდა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტთან, ბ-ნ გიორგი კერვალიშვილთან. მან, რასაკვირველია, ხელისუფლების გმობა დაიწყო ადამიანის უფლებების დარღვევებთან, კერძოდ, მიტინგების დარბევებთან დაკავშირებით. მე მას მოკრძალებულად გავახსენე საბჭოთა პერიოდი, როდესაც ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს პოლიტიკური ბრძოლის არავითარ საშუალება და უფლება არ გააჩნდათ (მათ შორის, არც მიტინგის ჩატარების უფლება არანაირ ადგილას). დემოკრატიული უფლებების მოპოვებისათვის ყოველგვარი მცდელობა ხელისუფლების მხრიდან სასტიკი რეპრესიებით მთავრდებოდა, რაზეც ძალზე მწვავედ რეაგირებდნენ მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები. პრეზიდენტები, მთავრობათა მეთაურები, როგორც იტყვიან, მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, აწესებდნენ მკაცრ სანქციებს საბჭოთა კავშირის მიმართ და ა.შ. მე ბ-ნ გიორგი კერვალიშვილს ვკითხე, როგორ ახსნიმეთქი იმას, რომ დღეს ასეთი რეაქცია აღარაა მსოფლიოს მხრიდან, თუნდაც მიტინგების დარბევებზე. მეტიც, უსანქციო მიტინგებს თავადაც ხშირად არბევენ-მეთქი.

ჩვენი დიალოგის აღწერით თავს აღარ შევაწყენ მკითხველს...

ბ-ნი გიორგი კერვალიშვილი, ჩემის ვარაუდით, გულწრფელად არის დაინტერესებული ადამიანის უფლებების დაცვით, მაგრამ...

მაგრამ, სამწუხაროდ, მასაც (ისევე, როგორც ჩვენ, ყველას, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა) საბჭოური ყოფიდან გადმოყოლილი მრავალი სტერეოტიპი უშლის ხელს ობიექტური რეალობის აღქმაში.

ჯერ კიდევ კარგად ვერ გაგვიცნობიერებია, რომ ის დრო სხვა იყო, ეს დრო კი – სხვაა.

მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ იმ დროს ხელისუფლების საწინააღმდეგო ერთი ქეციანი პროკლამაციის გავრცელებისთვისაც კი იჭერდნენ, დღეს კი ოპოზიციური გაზეთების ნამდვილი ნიაღვარია!

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ საბჭოთა პერიოდში ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა, ანუ იმ საბჭოთა კანონების დარღვევა, რომელიც ადამიანის უფლებებს ზღუდავდა და ფეხქვეშ ქელავდა, მსოფლიოს პროგრესული, დემოკრატიული საზოგადოებრიობის მხრიდან მხურვალე მხარდაჭერას, აღტაცებას, წახალისებას იმსახურებდა, ზოგჯერ ნობელის პრემიასაც კი!

დღეს სრულიად განსხვავებული ვითარებაა. ამჟამად პოლიტიკური ბრძოლის ყველა ის უფლება და საშუალება არსებობს ჩვენში, რაც დემოკრატიულ ქვეყნებშია დამკვიდრებული. (ნეტავ, ცხოვრების დონეზეც შეიძლებოდეს ამის თქმა!). თანაც ეს უფლებანი კონსტიტუციით, კანონმდებლობითაა დადასტურებული. ესაა თავისუფალი საინფორმაციო საშუალებანი, მრავალპარტიული არჩევნები, თუნდაც იგივე მიტინგები და დემონსტრაციები (ოღონდ არსებული დემოკრატიული კანონების ფარგლებში).

ამ განსხვავებულ ვითარებას კარგად ხედავს მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა, კარგად ხედავს იმას, რომ დღეს საქართველოში ნამდვილი ანაქრონიზმია პოლიტიკური ბრძოლის იმ მეთოდების გამოყენება, როგორსაც იყენებდნენ სრულიად არადემოკრატიული საბჭოთა რეჟიმის დროს. რასაკვირველია, ვინც ამ დრომოჭმულ მეთოდებს გამოიყენებს და ამის გამო კანონიერად დაისჯება, მას, ფაქტობრივად, არავინ დაუჭერს მხარს, ყოველ შემთხვევაში, მთავრობათა დონეზე.

თუ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევებზე ლაპარაკობენ (მაგალითად ამერიკის კონგრესში), აქ იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული კანონების დარღვევები (რაც სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირია), და არა ამ კანონების დამრღვევთა დასჯა, ან, მაგალითად, უსანქციო ანუ უკანონო მიტინგების დარბევა.

საბჭოთა პერიოდის და ჩვენი სინამდვილის რადიკალური განსხვავებიდან გამომდინარე (დემოკრატიულობის თვალსაზრისით), ადამიანის უფლებათა დამცველს (ვიმედოვნებ, გულწრფელს), ბ-ნ გიორგი კერვალიშვილს შევახსენებ, რომ ადამიანის უფლებათა დამცველმა დემოკრატიული კანონები უნდა დაიცვას და არა ამ კანონთა დამრღვევნი! მე მას გულწრფელად ვურჩევდი, მიტინგის დარბევაზე მაშინ ახმაურდეს და აგანგაშდეს, როდესაც, მაგალითად, ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდია მიტინგს ჩაატარებს კანონის დაცვით, კანონით გათვალისწინებულ ადგილებში (მაგალითად, დედა ენის ძეგლთან) და სწორედ იქ მიუვარდება და დაარბევს პოლიცია! მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში (თუ ასეთი შემთხვევები იქნება) დაუჭერს მხარს მსოფლიო საზოგადოებრიობა ბ-ნი გიორგის საპროტესტო წერილებს და თუ იგი ასეთი ტიპის სამართალდამცავად იქცევა, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ნობელის პრემიასაც კი გამოჰკრას ხელი!

ხუმრობა იქით იყოს და, ყოვლად მცდარი და აბსურდულია იმის მტკიცება, თითქოს ხელისუფლება მიტინგებს ხელისუფლების კრიტიკის გამო არბევდეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ უნდა დაერბიათ და ციხეებში ჩაემწყვდიათ უამრავი ოპოზიციური გაზეთის რედაქციათა წევრები და ავტორები, რომლებიც, სხვათა შორის, არა მხოლოდ კრიტიკას სჯერდებიან ხელისუფლებისას (თუნდაც ძალზე მწვავეს და სამართლიანს), არამედ ყოვლად მიუღებელ, უშვერ ლანძღვა-გინებასაც არ ერიდებიან, ყოვლად აბსურდულ და ფანტასტიკურ ცილისწამებებსაც კი ავრცელებენ საქმეში ჩაუხედავი, გაჭირვებით გამწარებული, ადვილად გასაბრიყვებელი ადამიანების დასაბნევად და მისამხრობად. (სხვათა შორის, სამართლებრივ სახელმწიფოში სწორედ ასეთი გამოხდომები ისჯება, აქამდე კი ჯერ კიდევ შორსა ვართ!).

მაგრამ, როგორც იტყვიან, მედალს მეორე მხარეც აქვს.

ზემოთხსენებული უსანქციო (ანუ უკანონო) მიტინგების დამრბევი პოლიცია, სამწუხაროდ, თავადაც არხეინად არღვევს კანონებს და, შეიძლება ითქვას, გაცილებით მეტსაც, ვიდრე ქ-ნი მანანა თავისი მიტინგებით! აი, ამ დარღვევების გამო უნდა ვამხილოთ პოლიცია და საერთოდ ხელისუფლება, თუ მსოფლიოს მხარდაჭერა გვინდა, და არა იმ ყბადაღებული უსანქციო მიტინგების აღკვეთის, თუნდაც მწარედ დარბევის გამო.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქ-ნი მანანა და მისი ჯგუფი ჯიუტად, თუმცა ამაოდ ელის, როდის აღშფოთდება მსოფლიო საზოგადოებრიობა და საქართველოს მოსახლეობა დამრბევთა წინააღმდეგ!

აღშფოთების რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი უკვე იცინის, როდესაც ქ-ნი მანანას მიტინგის დარბევის ამბავს შეიტყობს ხოლმე!

შესაძლოა, ქ-ნ მანანასა და მის დამცველებს ძალიანაც აოცებთ ყოველივე ეს, მაგრამ ფაქტია, რომ მათ მიერ ჩატარებულ მიტინგებს არავითარი რეალური შედეგი არ მოაქვს არც ხელისუფლებაზე ზეწოლის თვალსაზრისით, არც მსოფლიოს მხარდაჭერის თვალსაზრისით, არც მოსახლეობის (თუნდაც ძალზე უკმაყოფილო ნაწილის) აყოლიების თვალსაზრისით (მობეზრდა ხალხს!) და არც არავითარი თვალსაზრისით!

მაშ რა ხდება? რატომ არბევინებენ თავს ეს დალოცვილიშვილები?

ერთადერთი რამ, რაც შეიძლება ვივარაუდოთ, არის ის, რომ ქ-ნ მანანას და მის მიმდევრებს რატომღაც ძალიან სიამოვნებთ პოლიციელთა ხელკეტები და მწარე მუჯლუგუნები!

არანაკლები სიამოვნებით იყენებენ მათ მიმართ ხელკეტებსა და მწარე მუჯლუგუნებს პოლიციელებიც!

ერთი სიტყვით, აქ, აშკარაა, ორმხრივ პარტნიორულ სიამოვნებასთან გვაქვს საქმე!!!

ხუმრობა ისევ იქით იყოს და, საბჭოთა კავშირის დროს დარბევის ამგვარ პროვოცირებას – ხელკეტებსა და მწარე მუჯლუგუნებზე სიამოვნებით წასვლას – ის აზრი მაინც ჰქონდა, რომ ამას ძალზე მწვავე გამოხმაურება მოჰყვებოდა ხოლმე მსოფლიოში თვით მთავრობათა დონეზე. დღეს კი, როდესაც დემოკრატიული პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებს ვეღირსეთ, მსოფლიოს მწვავე რეაქცია, ფაქტობრივად, გამორიცხულია. (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ საზოგადოებრივ სამართალდამცავ ორგანიზაციას, რომელთა პოზიცია დიდს არაფერს ნიშნავს).

აი, ეს ვერაფრით ვერ შეიგნეს ჩვენმა „ქვის ხანის“ პოლიტიკოსებმა, დღესაც რომ საბჭოურ რეჟიმში შემუშავებული მეთოდებით იბრძვიან!

არადა, პოლიტიკოსი რიღასი პოლიტიკოსია, თუ დროსა და ვითარებას ვერ უღებს ალღოს!..

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ჩემი დარდი მაწუხებს:

ჩასაფრებული ადამიანი ჩემს ამ წერილს ისეთ ინტერპრეტაციას მისცემს, თითქოს მიტინგების დარბევებს ვამართლებდე.

არა, ღმერთმა დამიფაროს! ფუი ეშმაკს!

ცხადია, მიტინგის, თუნდაც ყოვლად უკანონოს, აღკვეთის მიზნით დარბევა არაა მაინც და მაინც კეთილშობილური საქციელი. ის კი არა და, მე თუ მკითხავთ, უზნეობა და დანაშაულია კიდეც.

მაგრამ, ჯერ ერთი – ამ უზნეობასა და დანაშაულში ორივე მხარეს თანაბრად უძევს წილი: პოლიციას, როგორც დამრბევს, და მომიტინგეებს, როგორც დარბევის მაპროვოცირებლებს (მით უფრო, თუ რომელიმე მხრიდან ამას მძიმე შედეგები მოჰყვება).

მეორეც – დავუშვათ და პოლიციამ არ აღკვეთა მიტინგი, არ გამოიყენა ძალადობა აღკვეთის მიზნით. რა მოჰყვება ამას?

თუ გავითვალისწინებთ მომიტინგეთა პოლიტიკურ მოთხოვნებს – „კანონიერი ხელისუფლების“ აღდგენა, ფაქტობრივი ხელისუფლების განდევნა – ძნელი წარმოსადგენი არაა მომიტინგეთა „მარშრუტი“: ჯერ, ვთქვათ, რესპუბლიკის მოედანზე ჩაატარებენ მიტინგს, მერე, ვთქვათ, ოპერასთან, მერე – აუცილებლად – პარლამენტის და სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან, ბოლოს კი, რა თქმა უნდა, ამ შენობებში შევლენ, რის შემდეგაც იქ მყოფ ხელისუფლებას კინწისკვრით გარეკვა და საქართველოდან გადახვეწა მოუწევს (ზოგს მოუსავლეთშიც კი!).

დაუშვებს თუ არა ხელისუფლება ამას? რა თქმა უნდა, არა! და მომიტინგეებს დასაწყისში თუ არა, ბოლოს მაინც დაარბევს, ამ სამთავრობო შენობებში შესვლის წინ.

ესაა რეალობა და იგი შეიძლება მხოლოდ იმან ვერ დაინახოს, ვისაც რაღაც მანია სჭირს და დრომოჭმული მეთოდებით ცდილობს ახალი დროების მოჭმას, და, რაც უკვე მართლაც სასაცილოა, მსოფლიო საზოგადოებრიობის თანადგომას.

ჩვენ უკვე ახალ რეალობაში ვცხოვრობთ და, ამდენად, პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე, ცივილიზებული, დემოკრატიული მეთოდების გამოყენებაა საჭირო. ვისაც ეს ელემენტარული ჭეშმარიტება არ ესმის, ის ვერც ვერასდროს მოვა ხელისუფლებაში და ამისაგან ღმერთმაც დაგვიფაროს!

ანზორ აბჟანდაძე

სეხნიას

სანამდე რთველი რთველობს,
მომავალს ვეტყვი კვეხნით,
სჭირდები საქართველოს,
აბა, შენ იცი, სეხნი!

ჯანსუღ ჩარკვიანი

არაჩვეულებრივი შვიდეული

გურამ ბედოშვილი

ეშვილოსით, ია-ია-ია!

– ღმერთმანი, არ მიყვარს ერთი ხელობის შემყურე კაცი! რამდენი ვიცი, ამოიჩემებს ერთ რაღაც საქმეს და, რომც ეხვეწო, სხვა რამეზე ხელებს გაასავსავებს! დალოცვილიშვილო, დურგალი ან კალატოზი რომ ხარ, ძროხას ვერ მომწყემსავ? ვთქვათ, ყანა გაქვს სამკალი ან მთა – დასათიბი. სხვას უნდა ეხვეწო და ეღიჯინო, არიქა, ყანა ჩამეწვა, მომიმკე, აგრემც ღმერთი გიშველისო? არა, ძმაო, კაცი ყველაფერში კაცი უნდა იყო! შენს სოფელ-უბანს რაშიც დასჭირდები, იმად უნდა ივარგო! ეჩოკაცი თვალით არ დამენახვება! როცა ორი-სამი კაცის წილ ბრუნავ, სოფლიშვილობაც მაშინ გეთქმის!

მე, საქმე რომ ჩამოვარდეს, სამოოთხი ხელობა მაინც ვიცი! გუთანი და ცელი ხომ ერთი დედის მუცლიდან ერთ დღეს ვართ გაჩენილები! თუ გაჭირდა, დალაქიც ვარ, წურბლების ექიმიც, ქალის მშველელ-მომლოგინებელიც, მეთევზეც და მონადირეც! რომელი ერთი ჩამოვთვალო?

სამი კვირა იქნება, თუ მეტი არა, სოფელმა კარწინ დამიჩოქა, – უნდა გვიშველოო.

– რა გაგჭირვებიათ, რას შეუწუხებიხართ, ძმებო, მეზობლებო?

– რასა და დათვმა დაგვღუპა და დაგვაქცია! მთელი სიმინდი ძირს დააგო. არადა, ჯერ ტარო სიმწიფეშიც არ არის შესული. მივა, ჩამოლეწავს, ჩამოამტვრევს; კბილს რომ ვერ გააღვიძებს, გაბრაზდება, მოჰყვება ერთ ბურდღუნს, მიჩეხ-მოჩეხავს იქაობას, მერე ზედ დაიწყებს გორაობას, მთელ ნათესს მოაკალოვებს და წავა ერთი ლანძღვა-გინებით! თუ არ მოგვაშორე, ანანო, მთელ სოფელს დაგვამშევს, ცარიელს დაგვყრის! ხალხს კიდევ იქნებ რამე ეშველოს, საქონელი დაგვეღუპება, კონა ფუჩეჩს ვერ ამოვიტანთ ჭალიდან!

– აბა, – ვეუბნები მახვეწრებს, – ამდროულა კაცის დათვზე ნადირობა ვინ გაიგონა? დათვზე მონადირეს თვალი და მუხლი ბრაზივით უნდა უჭრიდეს, იმას სხვანაირი გაგეშვა უნდა!

– შენი ჭირიმე, ანანო! ოღონდ უარს ნუ გვეტყვი და მთელი სოფელი შენი მლოცველი ვიქნებით, ყმად დაგიდგებით!

– იქნებ ისევ მაგ ხორნაულთ ელიბოსთვის გეთხოვათ? ჯიელი კაცია, თან დათვის ხოცვაზეც ხელი აქვს გაჩვეული!..

– ვიყავით, განა არ ვიყავით, ჭირი მოვჭამეთ, მაგრამ არა ქნა!

– რაო, თავპატიჟი გაიდო?

– არაო, – გვითხრა, – ვერ მოვკლავო, ჯერ ისევ ლუბია, მაგისი ხორცი ხორცად არ ივარგებს და ტყავი – ტყავადაო! აი, თოვლს როცა ჩამოჰყრის, მაშინ მოვკლავო!..

– იტყოდა, იტყოდა, ეგ ისეთი ენის პატრონია! მაშ, გაასუქეთ და მერე მოვკლავო, არა?

– მაგ დათვის გასუქებას მთელი ჭალის მოსავალი არ ეყოფა!

– მაშ, ჯერ გასუქდეს და მერეო, ჰა?..

– ისევ შენ უნდა გვიშველო, ანანო! ისევ შენ უნდა გაგსარჯოთ! შენ უნდა უშველო ამ ჩვენ გაჭირვებას!

– კარგი, ხალხო, მეზობლობავ, რა გაეწყობა! ისევ მე მოვკლავ იმ ლუბხორციან დათვს!..

– ღმერთიმც გიშველის, ანანო, ჩვენი შველისთვის!..

– ოღონდ ერთი პირობით...

– ბრძანე!

– ჭალის ნათესი სამ დღე-ღამეს კიდევ როგორმე უნდა შეინახოთ!

– იმ ოხერ დათვთან ცარიელი ხელებით ბრძოლა სად შეგვიძლია? იმას სამი დღე-ღამე წინ რა ქაჯი და ეშმაკი დაუდგება?

– არ შემიძლია, ხალხო! სამი დღე და ღამე თოფი მიწაში უნდა მქონდეს დამარხული! ისე ძალას ვერ მივატანინებ! მაინცა და მაინც ყველა საიდუმლო თქვენ უნდა ჩაგიწიგნაროთ? დათვია, მელა ან კურდღელი ხომ არ არის? გაიგეთ, რომ დათვიც და ჯიხვიც ნამარხი თოფით უნდა მოიკლას. სხვანაირად ტყვიას ძალა არ ექნება. არ დამარხავ და ნადირისთვის გინდა კენჭი მოგიხვედრებია, გინდა – ჟაკანი!

– ეჰე-ჰე-ჰე, – აყაყანდა მეზობლობა, – ყველაფერს რომ თავისი წესი აქვს! დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!

– დღესვე ჭალაში უნდა ჩახვიდეთ, ბალამწარის ხეები გაქერქოთ და კარგად გააშროთ. მერე ამ ხმელი ქერქით ჩირახებს გააკეთებთ. ღამით ჩადით, ანთებული ჩირახებით სიმინდის ნათესებს თავბოლოთ უარეთ, იყვირეთ, იხმაურეთ და ის დათვი, გიჟი ხომ არ არის, ყანას შორიახლო გაეკაროს?! წავა, გადაძევდება, გადაიღუპება. თუ მაინც არ შეგეპუათ, სამი დღის მერე მეც იქ გავჩნდები და, თუ თავის წერას ჰყავს ატანილი, გამოჩნდება ძმობილი! გამოჩნდება და, ფიქრიც ნურაფრისა გექნებათ, სისხლის ქვიშაში ვაბანავებ!..

– აგრემც გაგიმარჯვდება, ანანო!

ჩაცხრა, ჩაწყნარდა სოფელი. ოღონდ ეს დათვი ვინმემ მოკლას, თავიდან დააშოროს და ხელჩირახიანები სიმინდის ნათესებში თუნდ მთელ კვირას დედაწულიანად ივლიან, იყვირებენ, იხმაურებენ, რკინის რკინაზე ცემით მთა-ბარს შეძრავენ... ოღონდ ამ დათვტიალას ლუკმა პირიდან წაართვან...

– ჩემი ბერდენკა თავისი სამი ჟაკნით სამ დღე-ღამეს მიწაში მქონდა ჩამარხული. სად მემარხა, რა ადგილას მემარხა, ამას, რა ვქნა, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ვერ გაგიმხელთ! დედ-მამა რომ გამიცოცხლდეს, სიტყვას ისინიც ვერ დამაცდენინებენ!

სამი დღე-ღამე სამ წლად მომეჩვენა; დრო უდროობად მექცა, გათენდება და აღარ ღამდება! ვხედავ, ჩემი ცოლი ცვილის სანთელს ქნის, თან ლოცულობს, რაღაცას ჩაუთქვამს. მაშ, სამი დღე-ღამეც გასულა!

დილით ავდექი. ქალმა გზა დამილოცა, თან მეუბნება, თოფიც და საგზალიც მანდვეაო. დავეხარე, დავწვდი გუდას, ძვრა ვერ ვუყავი! ღმერთო შენ მიშველე! რა ხდება, ჩემ თავს რა ამბავია? თოფს ვეწვდები, მხარზე უნდა გადავიკიდო, აღარც ჩემი ბერდენკა მომყვება!.. ერთხელ, მეორედ, მესამედ... თოფს და საგზლიან გუდას ქვეშ ჰაერიც ვერ გავუტარე!

– მარიამ! – ცოლს ვეძახი. – აბა, აქ მო!

მოდის ჩემი მაკა წყნარად, აუმღვრევლად.

– შენ ისევ აქ თუ ხარ? – მეკითხება, – წასულიც მეგონე!

– რა ვქნა, მინდა და ვერ წავსულვარ! მგონი, ძალასა ვკარგავ!.. ვერც თოფს, ვერც გუდას ძვრა ვერ ვუყავი. ვეწვდები და არ მომყვებიან..

– დიდება შენთვისა, ღმერთო! – ჩურჩულებს ჩემი ქალი და პირჯვარს იწერს. მერე, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, დაფიქრებული მეუბნება:

– ნეტავ მაცოდინა, ღვინის ამბავი ხომ არ არის?

– რა ღვინო, რის ღვინო?

– გუდაში ერთი მინა ღვინო ჩაგიდგი, ვიფიქრე, ეგება სადილად პირი გაისვეროს-მეთქი!.. ვინ იცის, არ უნდა ჩამედგა? იქნება სულაც ანანურის ღვთისმშობელი არა ხდინობს, სანადიროდ ღვინიანს არ გიშვებს?..

– ღვინო შენა და, შენი ეშმაკები! ამოიღე, მოაშორე აქაობას! ნადირობა და ღვინის სმა ერთად ვინ გაიგონა? ნანადირევს შინ რომ მოვიტანო, სმა და ქეიფი მე-

რე გავწიოთ! გუდაში ღვინო თუ მქონდა ჩადგმული, ჩემი გამჩენი ღმერთი სადღა გამიშვებდა?

***

– სოფლის ხმაურსა და ჩირახების ბრიალს სიმინდს მოჩვეული დათვი ისე დაეფრთხო, სამი დღე-ღამე იქაობას არ გაჰკარებია. არა, უნებური ტყუილი გამომივიდა! მოსვლით როგორ არ მოსულა, მაგრამ თურმე იქაურობას კაცივით ზვერავს, სიმინდს ზედაც აღარ უყურებს! რაზე ვატყობ და – ნაფეხურებზე. იმ დილითაც ჩემ ქოხთან სამ ნაბიჯზე მოსულა, ვუნახივარ და ნაგრილივით უხმაუროდ გაპარულა. ეჭვიც აღარა მაქვს, რომ მათვალიერებს, მამოწმებს; ერთი სული აქვს, შეიტყოს, რით ვარ მისული, კეტით, ფილთათოფით თუ ბერდენკით! ბერდენკის შიში ნამდვილად აქვს, იმას უფრთხის, ფილთა-მილთა კი სასაცილოდაც არ ჰყოფნის!

ორჯერ მოვიდა. იმის ძველ და ახალ ნაფეხურებს წიგნივით ვკითხულობ, ვერაფერს გამომაპარებს!

მესამე ღამეა და გუმანით ვგრძნობ, უნდა მესტუმროს. მოვა, უეჭველად მოვა, შიშმა და ელდამ ხომ უკვე გაუარა. ისიც კარგად ვიცი, სოფელზე ძალიან არის გაბრაზებული! გაბრაზდება, მაშ რა მოუვა, როცა სურვილი დაუშალეს, ჭალიდან ძალით გააგდეს, ჩირახების ბრიალით თვალთ დაუბნელეს! ახლა მისი დროც დამდგარა! ხალხი აღარ ხმაურობს, შინ წასულან, გაკრეფილან! თავს გამარჯვებულად თვლიან და იმიტომ! ალბათ დათვი ახლა გულში მჯიღს იცემს, ფიქრობს, დანაკლისი ერთიათად აინაზღაუროს – სიმინდს ხბორები და ცხვრებიც ზედ მიაყოლოს!

მე კი ვზივარ ქოხში და თავს ვსაყვედურობ:

– შეიძლება მარტო არც უნდა წამოვსულიყავ! რა იცი კაცმა, როდის რა ხდება?.. იქნებ პირველი ტყვიით ვერც დავატანინო, ან სულაც დამიცდეს? თუ ღმერთი შემეწია და ჟაკანი თავში მოვარტყი, ხომ კარგი, ვერ მოვახვედრე და მერე რას შვრები? დაჭრილ დათვთან ბრძოლას მთელი უბანიც ვერ აუვა! არა, ნამდვილად შევცდი! ჩემმა მარიამმაც რატომ არაფერი მირჩია? ელიბოს მაინც უნდა შევხმიანებოდი, უარს როგორ მეტყოდა?

თავმონადირე ეგ არა მყავს, მაგრამ ხმის გაცემას რა დიდი ამბავი უნდა? სულ რომ არაფერი, გამოწიებულ ცეცხლს სულს მაინც შეუბერავდა!

– არა, მეც რას ავიკვიატე? ვინ იცის, იქნებ ფეხიც აღარ მოადგას, იქნებ დამინახა, ბერდენკით რომ ვყარაულობ და შეშინდა? სული, შე კაი კაცო, ორფეხისთვისაც ტკბილია და ოთხფეხისთვისაც!

თენება რომ წამოვიდა, ფეხზე ავდექი, ვიფიქრე, ძილმა არ წამიღოს-მეთქი! გამოვედი გარეთ და ქოხის წინ ფრთხილად ავიარ-ჩავიარე. ჩამი-ჩუმი არსაიდან არაფრისა ისმის. ქოხთან ახლოს, იქვე, ცხრა-ათ ნაბიჯზე, ფშანი გამოდის, კოჭზე ამოდულს და მოზრდილ ტბორს აჩენს. მივედი, დავიხარე და წყალი პეშვით სახეზე და ყელ-კისერზე შევისხი. ვიგრძენი, გამოვფხიზლდი, თითქოს ხალისიც მომემატა. წამოვედი ქოხისკენ, თან ჩუმად ვღიღინებ. ორი-სამი ნაბიჯიც რომ წავდგი, ადგილზე გავშეშდი! ქოხის წინ უკანა ფეხებზე კაცივით შემართული დათვი დგას, წინა ტორებით ჩემი ბერდენკა ჩაუბღუჯია და რაღაცას გულმოსული ბურდღუნებს... ადგილიდან ვერ ვინძრევი, მარტო იმას ვგრძნობ, ცივი ურუანტელი როგორ მივლის ტანზე, ხელებზე, ფეხებზე... დათვი ჩემკენ წამოვიდა. მოდის, მოტორტმანებს, ბერდენკის კონდახს მიწაზე მოათრევს, ლულას ტორებით ჩაჰფრენია და გეზად მოდის. ფიქრის უნარი დავკარგე, აღარ ვიცი, რა შეიძლება მოიქმედოს, ან მე რით ვუპასუხებ...

უცებ დათვმა ერთი დაიღრიალა, უკანვე შებრუნდა, იმ ხეს მივარდა, საიდანაც წუთის წინ თოფი ჩამოხსნა და ბერდენკა მურყნის მსხვილ ზროს მთელი ძალით შემოჰკრა. ურტყამდა ბერდენკას მურყნის ხეს და რამდენსაც ურტყამდა, ნადირს მძვინვარება უფრო და უფრო ემატებოდა. მალე დათვი ხეს მოშორდა და თოფის კონდახი იქვე დაგდებულ ქვის ლოდს გამეტებით დასცხო. კონდახი ნაწილ-ნაწილ იფშვნებოდა და, თეთრ ნამსხვრევებად ქცეული, აქეთ-იქით იყრებოდა. როცა დათვმა თოფის ლულაც მიგრიხ-მოგრიხა, თითქოს ჩაცხრა, ჩაწყნარდა, მაგრამ უცებ ისევ წამოენთო, ორიოდე ნაბიჯი წინ წამოდგა და დაგრეხილ-დაქუცმაცებული ბერდენკა მთელი ძალით ჯოხივით მესროლა! „ჯოხმა“ ზრიალით გვერდზე ჩამიქროლა და ჩემს ზურგს უკან, თხილის ბარდებში, ჩასრიალდა.

...წავიდა დათვი. მთელი სიმინდის ნათესები ისე ჩაიარა, ერთი ღეროც არ დაუწვდია, არც უნახავს დაუბაზდა თუ არა სიმინდს ტარო, ან როდის დაეწყებოდა რთველი...

წავიდა, გამშორდა ჟინდამცხრალი დათვი, მე კი ისევ იმ ადგილს შევრჩი, სადაც სამი-ხუთი წუთის წინ გონწართმეული ვიდექი. როდემდის ვიყავი ასე გაოგნებული, მე თვითონ აღარ მახსოვს. ხმა რომ დავძარი, გონს მაშინ მოვეგე.

– ღმერთო! – ჩუმად ამოვილაპარაკე, – კიდევ იტყვი, ღმერთი არა ვარ და ქვეყანა მე არ გამინესრიგებიაო? მაშ, ვინ მისცა დათვს იმოდენა გონება, მოსაკლავად ჩასაფრებული მტერი ასე რომ დამინდო და ძვალი რბილად არ მიქცია?..

საქართველო

საქართველოს ისტორიის შესახებ ბოლო წლებში მრავალი წიგნი გამოქვეყნდა. როგორც შინ, ისე – საზღვარგარეთ. წიგნებს, სტატიებს 1992 წლიდან შეემატა როგორც ინფორმაციის, ისე, სამწუხაროდ, ცრუ ინფორმაციის მძლავრი წყარო – ინტერნეტი.

საქართველოს პარლამენტის ინტერნეტით ვრცელდება ბატონ გია ანჩაბაძის მიერ შედგენილი ტექსტი, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი ათასი წლის წინ, კოლხთა – აიეტისა და მედეას ქართულ სამეფოზე ადრე, არსებობდა ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, ლეკებისა და სხვა არაქართველების ძლიერი ტომობრივი გაერთიანებები. ამ დაუსაბუთებელი ვარაუდის ინტერნეტით სამ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ) ენებზე გავრცელება საზოგადოებას უქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ქართველებმა დაიპყრეს სხვათა ისტორიული საცხოვრისი, გააქართველეს და დახოცეს ძველი მოსახლეობა. ეს ვარაუდი გადაიღეს უცხოეთის ცენტრებმაც. საქართველოზე, აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის ფონდში და ინტერნეტში ჩართულია ვინმე რობერტ ბედროზიანის წიგნი „ქართველები". აშშ-ს კალიფორნიის უნივერსიტეტის ინტერნეტით ვრცელდება ვინმე პაულა გარბის მიერ საქართველოს შესახებ შედგენილი მცდარი ტექსტი. ვ. არძინბას მიერ ლონდონში კონსულად დანიშნული ჯორჯ ჰიუიტისა და ვ. არძინბას მიერ აშშ-ში საგანგებო და სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნული ინალ ბაზანი, რომელიც დღევანდელი საქართველოს იმპერიის დანგრევას შეპირდა მსოფლიოს, ცხადია, არ უწყობენ ხელს საქართველოზე სწორი შეხედულებების გავრცელებას.

იაპონიაში, ჰოკაიდოზე, ჰუკუდაის უნივერსიტეტის სლავისტიკის ცენტრში შეადგინეს საქართველოს შესახებ ინტერნეტით გავრცელებული ტექსტების თემატიური საძიებელი, სადაც დასათაურების გვერდით გამოსახულ ღილაკზე მორბენალის (კურს ორი) დაწკაპუნებით შეიძლება ტექსტების წაკითხვა ძებნის გარეშე.

ვფიქრობ, საჭიროა ინტერნეტით გავრცელდეს საქართველოს რუკა ერთა ლიგის მიერ 1919-21 წლებში აღიარებული საზღვრებით. ეს რუკა გამოქვეყნებულია პარიზში ანდრე ჰიბელსის წიგნში „ლა ჟორჟი", საქართველო, 1921 წ.

საქართველო იწყება ტუაფსეს სამხრეთით აღნიშნული მდინარე მაკოფსედან სამხრეთით – დღევანდელი თურქეთის ქალაქ რიზემდე. აფხაზეთი, აჭარა, ჰერეთი (საინგილო) ერთიანი საქართველოს საზღვრებშია. ასეთი საქართველო ცნეს სახელმწიფოდ სხვადასხვა ქვეყნებმა ჯერ ფაქტიურად, შემდეგ – იურიდიულად. შემდეგმა ქვეყნებმა ცნეს დე იურედ საქართველო: არგენტინა, 13 სექტემბერი 1920; გერმანია, 24 სექტემბერი 1920; დიდი ბრიტანეთი, ბელგია, 26 იანვარი 1921; საფრანგეთი, იტალია, იაპონია; პოლონეთი, 28 იანვარი 1921; ავსტრია, 17 თებერვალი 1921; რუმინეთი, 18 თებერვალი 1921; ლუქსემბურგი, 25 თებერვალი 1921.

ეს სია გამოქვეყნებულია წიგნში „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", რომი III, 1996 წ. – თბილისი, გვ. 273, ლაშა ბაქრაძე „მოკლე ანგარიში".

პარიზის გაზეთში „ლა რევიუ დე პარიზ", I ოქტომბერი, 1919 წ. გამოქვეყნებულია ვარლამ ჩერქეზიშვილის ტექსტი „საქართველო", სადაც აღნიშნულია, რომ „ტერიტორია შავი ზღვის პირას – ტუაფსედან ტრაპიზონამდე, კავკასიონის ქედით შემოსაზღვრული ჩრდილოეთის მხრიდან, უძველესი დროიდან დღემდე ქართველებით დასახლებული არეა, რომელიც რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1917 წლიდან ფაქტიურად დამოუკიდებლად იმართება საქართველოს მთავრობის მიერ და ითხოვს ხელის შეწყობას, რათა არ ჩაითრიონ მეზობელმა ქვეყნებმა ხოცვა-ჟლეტაში, რაც მათთან სუფევს".

ნათელა ფოფხაძე

რას ამბობს შოთა რუსთველი ჩვენს პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე

ედპ-ს და სახალხო პარტიაზე

„გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით,
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით".

„მრგვალ მაგიდაზე"

„პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს".

მოქალაქეთა კავშირზე

„ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი რა მოიგვარენით".

ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე

„იხოკს და იგლეჯს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა".

ზოგიერთ მოხსნილ მინისტრზე

„შენყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია".

ელენე თევდორაძეზე

„გზა-გზა ყოფნა აღარა მცალს, პატიმრად-ა იგი მთვარე".

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაზე

„ან მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა".

თამრიკო ჩხეიძეზე

„ან ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ?"

საკონსტიტუციო სასამართლოზე

„ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა".

სავალუტო ფონდზე

„სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ".

„თელასის" ახალ პატრონზე

„ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?"

შეადგინა **ანზორ აბჟანდაძემ**

ნოს ხელმძღვანელად. ამის შემდეგ, დედაქალაქი ბატონ აპოლონს, სიცოცხლის ბოლომდე, არასოდეს დაუტოვებია. სტუდენტობას ძალიან უყვარდა ბრწყინვალე მაესტრო. იგი ახალგაზრდობისათვის დიდი პედაგოგიც იყო და ჭეშმარიტი მეგობარიც. წლების მანძილზე ბატონი აპოლონის სახელოსნოდან ქართულ ფერწერას ბევრი სახელოვანი მხატვარი შეემატა.

ამავე წლებში ბატონი აპოლონი საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობამ სამხატვრო ფონდის თავმჯდომარედ აირჩია, რომელსაც იგი ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. მან მოკლე დროში ფეხზე დააყენა სამხატვრო საწარმოო კომბინატი, რომლის სახვით და გამოყენებითი ხელოვნების თითქმის ყველა პროფილის საამქრო მაღალ დონეზე ასრულებდა შეკვეთებს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ორგანიზაციებისათვის.

აპოლონ ქუთათელაძე კაცური კაცი იყო. მას ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი. აპოლონი თავის პირველ მეუღლეს, ქალბატონ ვერას, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა. შვილები: ტარიელი, გურამი, მანანა, ნანა და ყარამანი მამას ყოველთვის აღმერთებდნენ.

1959 წელს ბატონი აპოლონ ქუთათელაძე თბილისის სახელმწიფო აკადემიის რექტორად დაინიშნა. ამ დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის სავარძელში უკვე ნიკიტა ხრუშჩოვმა „მოიკალათა". სტალინის კულტის მხილების შემდეგ მან მოულოდნელად რესპუბლიკებში სახვითი ხელოვნების ნაციონალური უმაღლესი სკოლები დახურა. საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ლენინგრადის რეპინის სახელობის უმაღლეს სამხატვრო ინსტიტუტს და მოსკოვის სურიკოვის სახელობის ანალოგიურ ინსტიტუტს დაუტოვეს სახვითი ხელოვნების სპეციალისტების მომზადების უფლება. ამ ინსტიტუტებში რესპუბლიკებისათვის გამოყოფილი იყო ლიმიტების უმნიშვნელო რაოდენობა. ეს ბარბაროსული აქცია რესპუბლიკების ეროვნული კულტურების არსებობის და განვითარების წინააღმდეგ იყო მიმართული და საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული კულტურის გავრცელებას უწყობდა ხელს. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში პროფესორ-მასწავლებელთა საუკეთესო ძალები სამსახურიდან განთავისუფლების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ.

აი, აქ გამოჩნდა აპოლონ ქუთათელაძის დიდი გამჭრიახობა და მისი განსაცვიფრებელი ორგანიზატორული ტალანტი. პირველყოვლისა, მან სახელი შეუცვალა დაზგური ხელოვნების განყოფილებას. მას ახლა მონუმენტალური ხელოვნების ფაკულტეტი დაერქვა. დაზგური ხელოვნება ფარულად აგრძელებდა არსებობას. ახალმა რექტორმა გარს შემოიკრიბა ერთგული ენთუზიასტები და დავით ციციშვილთან ერთად ორ წელიწადში გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტს მყარი საფუძველი ჩაუყარა. მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ჩამოიყვანეს გამოყენებითი ხელოვნების ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტები. გაიხსნა თხუთმეტამდე ახალი კათედრა.

აპოლონ ქუთათელაძემ უნებართვოდ სასწრაფოდ დაიწყო ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა. თავისი მეგობრებისა და საამშენებლო ორგანიზაციების პატრიოტულად განწყობილი ხელმძღვანელების დახმარებით, კორპუსი უმოკლეს ვადაში აშენდა.

მახსოვს, თათბირზე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან, რომელზედაც კულტურის უმაღლესი სასწავლებლების რექტორები რესპუბლიკის ხელმძღვანელს ანგარიშს აბარებდნენ ჩატარებული მუშაობის შესახებ, ბატონმა აპოლონმა მჟავანაძეს მოახსენა: „თქვენი განკარგულების თანახმად, ჩვენ ახალი სასწავლო კორპუსი ავაშენეთ, აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა მადლობას გიძღვნიან თქვენ, ასეთი ბრძნული განკარგულებისათვის". ვასილ მჟავანაძე კარგახანს განცვიფრებული უყურებდა ბატონ აპოლონს და ამაოდ იხსენებდა თავის არარსებულ განკარგულებას, ბოლოს გაიღიმა და თანაშემწეს უთხრა: „ჩემი განკარგულება ძველი რიცხვით გააფორმეთ!"



აპოლონ ქუთათელაძე და მისი ვაჟიშვილები: ხიტა და ტარიელი

უნდა მოგახსენოთ, რომ ვასილ მჟავანაძე ისევე, როგორც თავად აპოლონ ქუთათელაძე, წარმოშობით ხონელი გახლდათ.

ბატონ აპოლონის უდიდესი დამსახურება იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის საზაფხულო ბაზის შექმნა კასპის რაიონის სოფელ გარიყულაში, თარხნიშვილების ყოფილ სასახლეში. ეს დიდებული საჩუქარი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს „მარშლიანთ სასახლის" უკანასკნელმა მეპატრონემ, ბრწყინვალე ქალბატონმა, ეკატერინე მაჩაბელმა გადასცა.

აკადემიის კერამიკული სკოლის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მცხეთაში კერამიკული ქარხნის აშენებას, რომელიც ასევე ბატონ აპოლონის მეთაურობით განხორციელდა. მისივე ინიციატივით შეიქმნა აკადემიაში სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო და სტუდენტთა ნამუშევრების მუზეუმიც.

ბატონ აპოლონს ჩემთვის ხშირად უთქვამს: „მხატვრები, რომლებმაც თბილისის სამხატვრო აკადემია დავამთავრეთ, არ შეიძლება პროფესიონალებად ჩავითვალოთ. ჩვენ ჯერ კიდევ ხელოვნების მოყვარულების დონეზე ვართ. დღეს ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევქმნათ ძლიერი პროფესიული ეროვნული სკოლა, რათა თანამედროვე ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების დონემდე ამაღლდეს. „1961 წელს ბატონმა აპოლონმა ლონდონის სამეფო სამხატვრო აკადემიაში, სტაჟირებაზე მიავლინა ჩვენი აკადემიის გრაფიკის კათედრის ახალგაზრდა პედაგოგი თეიმურაზ ყუბანეიშვილი საგანგებო დავალებით: მას სამეფო აკადემიის სტრუქტურის მოდელი და სასწავლო პროგრამები უნდა ჩამოეტანა. თეიმურაზ ყუბანეიშვილმა დავალება შეასრულა. რექტორატმა თბილისის სამხატვრო აკადემიის სტრუქტურას ლონდონის სამეფო აკადემიის მოდელი მოარგო.

აკადემიაში ახლა უკვე ოთხი ფაკულტეტი არსებობდა: სახვითი ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების, ხუროთმოძღვრების, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია საბოლოოდ მსოფლიო სტანდარტების უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლად ჩამოყალიბდა.

საბჭოთა კავშირის სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის საკავშირო სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ აპოლონ ქუთათელაძეს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის ნოდება მიენიჭა.

ბატონი აპოლონი ხშირად ამბობდა: „ია ვსეგდა ვეროი ი პრავდოი სლუჟილ ევო ველიჩესტვუ პარტიი!" პარადოქსია, მაგრამ აპოლონ ქუთათელაძე არასოდეს არც ერთი პარტიის წევრი ყოფილა. როცა იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გახდა, პარტბიუროს წევრებმა წინადადებით მიმართეს ბატონ აპოლონს, პარტიაში შესულიყო. იმ დროს დიდი დაწესებულების უპარტიო ხელმძღვანელი წარმოუდგენლად მიაჩნდათ. აპოლონი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა. პარტიულმა კრებამ აპოლონ ქუთათელაძე თავის რიგებში არ მიიღო, ვინაიდან იგი ახალგაზრდობაში მეფის არმიის ოფიცერი გახლდათ. ამ ინციდენტის შესახებ თვითონ აპოლონმა მეგობრებში სიცილით განაცხადა: „ბიუროს წევრებმა მთხოვეს პარტიაში შესვლა და არჩევნებზე თვითონვე გამაშავეს". რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ამ შემთხვევას ყურადღება არ მიაქცია და ბატონი აპოლონ ქუთათელაძე სიცოცხლის ბოლომდე უპარტიო რექტორი გახლდათ.

ბატონი აპოლონი დიდ მრავალფიგურიან კომპოზიციებთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ულამაზესი პეიზაჟების ავტორიც იყო. მას ილუსტრირებული აქვს უამრავი საბავშვო წიგნი.

ბატონ აპოლონს მრავალჯერ აქვს ნათქვამი თავის მეგობრებთან: „ჩემი შემოქმედების უპირველესი გმირები არიან: გორელი მეწაღისა და მრეცხავი ქალის ვაჟი იოსებ სტალინი, რომელმაც მსოფლიოს ყველა დროის გამოჩენილ მხედართმთავართა შორის გენიოსის სახელი დაიმკვიდრა და საქართველოს მეფე თამარი, რომლის მმართველობაც ქართლის ცხოვრებაში ოქროს ხანად არის წოდებული და მისი დიდებული სახე ქართველი ერისათვის დღესაც სალოცავი ხატია".

ასეთად დარჩა ჭეშმარიტი პატრიოტი აპოლონ ქუთათელაძე მისი მახლობლებისა და თანამდგომთა მეხსიერებაში; უპარტიო, დიდი რომანტიკოსი მხატვარი, გაუტეხელი ოპტიმისტი, რომელიც უხვად აფრქვევდა ირგვლივ სიყვარულსა და სინათლეს!

გოგი თოთიბაძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ასრათ ომარაშვილი

შვილებს თხოვდა, საინგილო არ მიეტოვებინათ

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მეხსიერებაში ჩამებეჭდა შავი ცილინდრით, ხშირი, გოროზად შეკრული, გადახლართულწარბებიანი კაცის სახე. მისი მოულოდნელი გამოჩენაც რაღაცნაირად გვიფორიაქებდა სულს სასწავლებლად თბილისში ჩამოსულ ინგილო ახალგაზრდობას.

მშვიდ და ამავე დროს მღელვარე თხრობის კილოში, ყოველთვის იგრძნობოდა სითბო და ძალა, რომელიც ჭაბუკებს ენერგიას გვმატებდა. ოდესღაც იმ წლებში გაღვივებულმა მამობრივმა სიყვარულმა დღემდე შემოინახა ყოველივე ის, რასაც მისგან ვსწავლობდით.

ალექსანდრე პაპიაშვილზე მოგახსენებთ, კაცზე, რომელმაც ძნელი ცხოვრების გზა განვლო.

ჯერ კიდევ ყმაწვილი ბიჭუნა, კახიდან ზაქათალაში გადადის და იქ ცვეტოვების ოჯახში იდებს ბინას. სწავლა სწადია.

ამ დროს ძალიან უჭირს საინგილოს. გარეგან და შინაგან ჭიდილში ითრგუნება და იბორკება ისედაც დაბეჩავებული იქაური ქართველობა. მიუხედავად ამისა, თბილისი არ წყვეტს კავშირს მის შორეულ პერიფერიასთან და შეძლებისდაგვარად ეხმარება კიდევაც.

1925 წელს საინგილოს ქართული სკოლების ხელმძღვანელად გაიგზავნა ბართლომე მეგრელიძე, ეს ღვთისნიერი და კეთილშობილი პიროვნება. მან სხვა სასიკეთო საქმეებთან ერთად, ინგილო ახალგაზრდების სწორი ორიენტირება და საუკეთესო ნაწილის ცენტრისაკენ წამოყვანა გადაწყვიტა.

ექვს ინგილო მოსწავლეთა შორის იყო პატარა ალექსანდრეც... მის მეხსიერებას ღრმა ტკივილად ჩარჩა განათლების სახალხო კომისარიატის უარი მათი სკოლაში მიღების შესახებ. მთიელთა საბავშვო სახლის იმჟამინდელი დირექტორის – ქსენია იოსელიანის ქველმოქმედების შედეგად ალექსანდრე, სხვა ბავშვებთან ერთად, კოჯრის №1 საბავშვო სახლში დაფუძნდა. აქაც დიდხანს არ დარჩენილა.

შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო მექანიზაციის ფაკულტეტი. მძიმე ეკონომიკური გაჭირვება – დღეში 600 გრამი პური და თვეში 600 გრამი შაქარი. გულმოდგინე სწავლა და თავისუფალ დროს საზოგადოებრივი საქმიანობა როგორც საინგილოში, ასევე სვანეთსა, რაჭასა, თიანეთსა და თუშეთში.

ინსტიტუტდამთავრებულმა და ენების მცოდნემ, მუშაობა დაიწყო განათლების სახალხო კომისარიატში ნაციონალური უმცირესობის სკოლების ინსპექტორად. ამ პერიოდში იგი მრავალი საზოგადოებრივი საქმიანობის წამამწყები და უშუალო მონაწილეცაა.

გამოჩენილი ინგილო მეცნიერების – რაჟდენ ხუციშვილის, გიორგი გამხარაშვილისა და არჩილ ჯანაშვილის გვერდში დგას. ამ ინგილო თავკაცების მოთხოვნით შესაძლებელი გახდა საინგილოს სამ რაიონში – მაჰმადიანი ქართველების სოფლებში – ითითალას, ალიაბათს, ზაგამს, თასმალოს, მარსაანს, ენგიანსა და მოსულში ქართული სკოლები გაეხსნათ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე გახლდათ.

ბატონ ალექსანდრეს მეტად ტკბილ მოგონებად დარჩა მაშინ ბატონ უშანგი ობოლაძესთან ერთად განხორციელებული ეს ეროვნული მისია.

ქართულ-აზერბაიჯანული ერთობლივი კომისიის წევრები, რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ ქართული სკოლების გახსნა საინგილოში, სოფელ ალიაბადში (ისტორიულ ელისენში) რომელსაც აზერბაიჯანულ სოფლად მიიჩნევდა კომისია, ალექსანდრემ მანქანა სპეციალურად გააჩერებინა. იქვე ახლოს ღობის ძირში მოთამაშე ბიჭუნას გასძახა ინგილოურად:

– შილო, წაი წყალი მაიღილა!

ბავშვმა შინისაკენ მოკურცხლა. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მათ წინ მომღიმარი ინგილო დიასახლისი გამოჩნდა ხელში დოქითა და შოთი პურებით.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს...

ძალზე ტკბილად იგონებდა ბატონი ალექსანდრე სახელოვანი მეცნიერის სიმონ ჯანაშიას მიერ საინგილოზე წაკითხულ საჯარო ლექციებს საქართველოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში.

არც საინგილოს ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები გამორჩენია დაუცხრომელ ინგილო პატრიოტს. 1938 წელს ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბათის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილად მან მიშა ქიქოძე დანიშნა. არ გასულა დიდი ხანი, რომ მას და სკოლის დირექტორს შორის უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ამის გასარკვევად შედგა კომისია, რომელშიაც ალექსანდრე პაპიაშვილიც შედიოდა. ადგილზე ჩასულებს უჩვეულო კომიკური ამბავი დახვდათ: პედაგოგ ქიქოძეს ბრალად ედებოდა ღორის ხორცის ჭამა, რაც საბოლოო ჯამში კონფლიქტში გადაიზარდა. საკითხის გარჩევის შემდეგ კომისიამ ქიქოძე კი არ დასაჯა, დააწინაურა კიდეც და სკოლის დირექტორობაზე წარადგინა, რასაც დამსწრე საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა მოჰყვა.

არც შემდეგ გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ კუთხესთან. სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა სახის საქმესაც არ უნდა შეჭიდებოდა, ყოველთვის თავისი ინგილო თანამოძმეები ახსოვდა. ერთ ჩანაწერში თავმდაბლად შენიშნავდა: მიხაროდა საინგილოს თითო ახალგაზრდა მცოდნე კაცის შემატებაო.

ამ სიხარულითა და მოწადინებით მან მრავალ ახალგაზრდას მიაღებინა ცოდნა და სახელოვანი მამულიშვილები გაუზარდა საინგილოს. მადლიერებით იხსენებს იგი ექიმ იასე ოთარაშვილს, კახის სკოლის დირექტორს პეტრე ბაჩალიაშვილს და სხვებს, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავიანთი საქმიანობით: მოუწოდებდნენ თანამოძმეებს გონიერებისაკენ, რათა არ მომხდარიყო ქართველობის ასიმილირება, არ დაეთმოთ მამაპაპური მიწა-წყალი უცხო ტომთათვის.

ჩვენი ალექსანდრე ყოველთვის მათთან იყო, მათი ჭირ-ვარამის ერთ-ერთი მოზიარე. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მზრუნველობა არ მოუკლია საინგილოსათვის. როცა ძალა აღარ შესწევდა ფიზიკურად, მის ირგვლივ მყოფთ თხოვდა, დახმარებოდნენ ინგილო ქართველობას.

მისმა სიკვდილმა ძლიერ დაამწუხრა თანამოძმენი. ამის დასტური იყო ის მრავალრიცხოვანი ჭირისუფალი, დიდი გლოვით რომ მიაცილა სახელოვანი მამულიშვილი სამარის კარამდე.

დრო თავისი გზით წავიდა, მაგრამ დარჩა მისი კეთილი სული შთამომავლობაში. აი, თუნდაც პოეტი ქალი თამარ პაპიაშვილი ხომ მისი ქალიშვილია. მშვენიერი პოეტია, როგორი თბილი და ტკივილიანი. მამის პატრიოტულმა შემართებამ აღაფრთოვანა და სულ სხვა ელფერით შემოსა შემოქმედი ქალის სულიერი სამყარო.

ინგილოურმა სისხლმა იმძლავრა, სტრიქონმა ფრთა გაშალა და მკითხველმა იგრძნო ინგილო ქალის საფიქრალი. ქართველი მკითხველი ხვდება მის სახალხოდ გამხელილ ფიქრებს.

დიახ, გულიანი პოეტია თამარ პაპიაშვილი, ნაღდი და მართალი. კალმითა და საზოგადოებრივი საქმიანობით მუდამ მშობლიური კუთხის ცხოვრების რიტმში ჩაბმული, მისი სიხარულითა და ტკივილით ცოცხლობს.

ამბობენ, სული არ კვდებაო, იგი ერთიდან მეორეში გადადისო. სწორია ეს, და მე მჯერა, რომ ეს ასეა. დიდებული მამის სული შვილებში გადავიდა და სიცოცხლე აქ, მიწაზე, შთამომავლობაში გრძელდება.

ლექსები

თამარ პაპიაშვილი

დე, კეთილი იყოს მოგრძანება მისი!

ახალი წლის სუნთქვა
თოვლის ფიფქშიც მესმის –
სადღეგრძელო უთქვამს,
ვაჟკაცური ლექსით.
    სადღეგრძელო უთქვამს
    ტკბილ ჩონგურის წკრებს,
    ჰე, მამულო, სუნთქვა
    ჩემიც შეიწირე!
მე სიცოცხლეს წმინდას
მზისფერ ცეცხლით ვანთებ.
კვლავ ვემთხვიო მინდა.
ჩემი დროშის კალთებს.
    ხვალინდელ დღეს ელის
    ეს ზეიმი დიდი,
    რაკი წელი ძველი
    ფეხის თრევით მიდის.
უკვე ახალ მეკვლეს
გაუფანტავს ნისლი...
დე, კეთილი იყოს
მობრძანება მისი!

საინგილოდან მოსული ქალი

დავიარები და სუნთქვა მეკვრის,
ამ ცის მადლით და ამ მიწით მთვრალი.
ძირძველი ციხის ვარ ერთი ნეკნი,
საინგილოდან მოსული ქალი.

მამულში გავლა ფეხისგულს მიწვავს,
ნინაპრის სითბო გულს ჩამეფესვა.
ფერად ძაფებით ნაქსოვმა მიწამ
ხნულში სიკეთის მასწავლა თესვა.

ჩიტთა ხმა ვიგრძენ ჟივილ-ხივილად,
ქვაში ვიცანი სხვა გულის ფეთქვა,
დამსკდარი მიწის ტანის ტკივილმა
ცრემლით თქვა, სიტყვით რაც უნდა მეთქვა.

და მისმა სხივმა, ჩემსკენ რომ იწევს,
ამიმზიანა ზეცაც, მთაც, სერიც.
დავდივარ, ფიქრში საუბარს ვიწყებ
და სავალ ბილიკს ეცვლება ფერი.

ეს შენ ხარ, დედავ...

ლაჟვარდის სამოსს გიგზავნის ზეცა
შენ, საქართველოს ფიქრის ნამქერო.
ფხიზლად ხარ, დედავ, შენცა და ჩვენცა,
რომ გულღრძო მტერმა ვერ გადაგვთქეროს.

ხარ სახვალიო გზების მიგნება,
გეკუთვნის დაფნა ქალს შენეული
ბუშინ რაც იყო, ხვალ რაც იქნება,
სულ შენგანაა გამორჩეული!..

ათი, ჩვიდმეტი შვილის გამჩენო,
დედავ, შენს გულში ფეთქავს სამშობლო,
დამბადებელო და გადამრჩენო,
შვების მომცემო, ცრემლის გამშრობო...

დედის ღიმილი გულში მზეს მინთებს,
და გაბრწყინებულ თვალებით ვხედავ,
და იმ სანთლიან ბილიკებს მივდევ,
ოდით რომ ადგას ქართველი დედა!

ზარები

გარეჯის წალკოტი –
წმინდანთა სავანე,
უდაბნოდ აქცია
წყეულმა და მავნემ...

ფერფლი და ნაცარი
ბურუსად გვათოვა.
ნათელმა სანთელმა
გარეჯი დატოვა!

დაგვცქერენ მღვიმენი
დათხრილი თვალებით,
დღემდე მოღწეულან
წამებით, წვალებით...

დაჰქრიან ქარები
აქ ყოვლის ამკლები.
...ჩამქრალი სანთლები,
დაცლილი საკნები.

ცრემლებით ავსილი
თვალები მაცხოვრის...
დანათის სიბნელე
წმინდანთა საცხოვრისს.

ქარი დაფათურობს
ნესტში გამწარებით,
და მაინც რეკავენ,
რეკავენ ზარები.

ეჰეი, ნელ-ნელა
მთელდება ბზარები.
...რეკავენ, რეკავენ
ზარები. ზარები...

გამოჩნდა ზეცა

მზის სასიმღეროდ,
ცის სასიმღეროდ,
მამულის ფესვის
ვარ ერთი ღერო.

მაღლა გასნია
ნისლმა ზმორებით,
გამოჩნდა ზეცა,
ლურჯი გორები...

ვანთე სანთლები
საბედნიერო.
...ჩემს ფესვს სიცოცხლე,
ღმერთო ძლიერო!..

საინგილოს წყაროსა ვსვამ

ჭინჭარივით ისუსხება
ღამე ქარით შერხეული –
უვარსკვლაო, უმთვარეო,
შავ ნაბადში შეხვეული.

– ვისწრაფოდი, დამეწვიე,
მომიხმობდა წყაროც ცივი,
დავლიე და ვადღეგრძელე
საინგილო დალოცვილი.

არც ოცნება, არც სურვილი
და არც სიტყვა არ მაქვს მრუდი:
საინგილოს წყაროსა ვსვამ,
სანგილოს ძველი ბუდის.

არ გამამტყუნო, მამულო!

ასი რომ მქონდეს სიცოცხლე,
შემოგწირავდი მთლიანად...
შენმა ცამ გამანაზა და
შენმა მზემ ამაბრიალა.
მინდა რომ გულში ჩაგიკრა
ემაგ ზღვიანად, მთიანად...

გულო, ოცნების ტაძარო,
მოუსვენარო ზღვასავით,
მარტის ქარივით აშარო,
შენ რა თილისმას მასწავლი?

შენმა ვენახმა მაჩუქა
მე სუნთქვა გაზაფხულისა,
ვერცხლის მძივები – წვიმებმა,
მაისმა – სითბო ხნულისა.

არ გამამტყუნო, მამულო.
თუ სხვებს სათქმელი დავასწრო,
შენით მე მოუღლელი ვარ,
არც მოვიღლები არასდროს.

ასი რომ მქონდეს სიცოცხლე,
შენ მოგიძღვნიდი მთლიანად,
შენმა ცამ გამანაზა და
შენმა მზემ ამაბრიალა.

***

მზე არ ჩასულა, არაა ბინდი,
ღრუბლები მაინც ირევა ასე...
ლეგა ღრუბლები პატარა, დიდი,
როგორც ცხვრის ფარა, შეერთდნენ ცაზე.

და უსათუოდ სუფთა და წმინდა,
შავში გახვიეს მათ არე-მარე.
ო, ისე ბნელა, ღრუბლიან ციდან,
თითქოს არასდროს გამოიდარებს...

***

ნაკადული ვარ წმინდა,
გამოგზავნილი ციდან...
ციდან მოვედი, მაგრამ
ქართული მიწა მზრდიდა!

არაგვს უხმობს ქურმუხი

არაგვს უხმობს ქურმუხი:
– დავრჩი განმარტოებით,
ძმაო, იქნებ დამფარო
პაპა მუხის რტოებით.

ჰო, ქურმუხი ქვითინებს
თავის ღელე-წყაროთი:
– ნუთუ ყველა გათავდა,
რითაც ადრე ვხარობდი.

– საინგილო ჩემია,
ვყვირი ამაოებით...
შენ მიჩრდილე, არაგვო,
პაპა მუხის რტოებით.

მტკვარს ესიტყვება...

ო, საიგილოვ, სხვანაირ თარგით
არ მოგიხრია მტრების წინ ქედი,
და გითქვამს ბევრი სიმღერა კარგი,
მაგრამ არასდროს სიმღერა გედის.

ო, საინგილოვ, მრავალი მოვლე,
მედგრად ხვდებოდი მომხვდურთა ხორონს,
თუ არ ვკვდებოდით ბრძოლებში ხოლმე,
შენ გჭირდებოდით და მისთვის მხოლოდ...

იმიტომ გიმღერ და სანთელს გინთებ,
რომ მსურს შეგამკო
რითმის ზურმუხტით,
და თუ ზვირთები ერთვიან ზვირთებს,
მტკვარს ესიტყვება
ჩემი ქურმუხიც.

„უხელფასო“ აკადემიკოსი და 35 ხუთოსანი

წერილსთვის სათაური მე არ შემირჩევია, ის ჩემი სტუდენტობის პერიოდის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ნიკო კეცხოველის ნათქვამია, მე მხოლოდ დავესესხე.

კვირა დღეა, წყალტუბოს სანატორიუმების ეზოში, შესასვლელი ჭიშკარის სიახლოვეს, სახელდახელო ბაზარი გაუმართავთ ახლო-მახლო სოფლებიდან მოსულ გლეხებს.

„ბაზარს“ საშუალო ტანის სიმპატიური, სათვალიანი და ულვაშიანი მამაკაცი მიუახლოვდა, რომელსაც ზურგჩანთა ეკიდა და ხელში გრძელტარიანი ჩაქუჩი ეჭირა. მან თვალი გადაავლო იქაურობას, რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა და იმ ადგილას შეჩერდა, სადაც ერთ მამაკაცს ნობათთან ერთად წინ ცომის გუნდებივით დამრგვალებული თეთრი თიხით სავსე პატარა კალათა ედგა. სათვალებიანმა მამაკაცმა ერთი გუნდა ხელში აიღო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, შემდეგ ლუპით გასინჯა და გამყიდველს ჰკითხა: თუ რა იყო და რისთვის იხმარებოდა. თიხის პატრონმა აუხსნა, რომ ის იყო თავის დასაბანი თიხა, რომელიც საპონივით ქაფდებოდა, თან დასძინა, რომ ასეთი თიხა ბევრი არის ჩემს სოფელ გუმბრინშიო. მყიდველმა უყოყმანოდ შეიძინა ორი გუნდა, შეახვია თეთრ ქაღალდში და ზურგჩანთაში შეინახა. სხვათა შორის, ანალოგიური თიხის გუნდები ქუთაისის დიდ ბაზარშიც ნახა. მყიდველი გახლდათ აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე – საქართველოში პრაქტიკული გეოლოგიის დიდი მოამაგე და დიდი ორგანიზატორი. გეოლოგია-მინერალოგიური მეცნიერების უნიჭიერესი პროპაგანდისტი, შესანიშნავი ლექტორი-პროფესორი.

საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, ძნელია დავასახელოთ მეცნიერი, რომელსაც ისეთი დიდი დამსახურება ჰქონდეს მინერალური მადნეულის გამომზეურებაში, ტექნოლოგიურ გამოკვლევასა და დანერგვაში, როგორც ალ. თვალჭრელიძეს. ასე ახასიათებენ მას მისი მრავალრიცხოვანი ქართველი თუ უცხოელი კოლეგები.

მათი გამონათქვამის დასტურად მარტო წყალტუბოს მაგალითიც იკმარებდა. ნაყიდი თიხის სათანადოდ დამუშავებისა და ქიმიური ანალიზის შედეგად ალ. თვალჭრელიძემ აღმოაჩინა მეტად ძვირადღირებული ნედლეული – ბენტონიტური თიხა ნავთობის მრეწველობისათვის, რომელიც მაშინ ოქროს ფასად შემოჰქონდა საბჭოთა კავშირს ამერიკიდან. ალ. თვალჭრელიძის აღმოჩენილ ბენტონიტურ თიხას გუმბრინი უწოდეს იმ ადგილის მიხედვით, სადაც ამ თიხის საბადოა.

გუმბრინი ბენზინის, ნავთის, საპოხი ზეთების და ნავთობის სხვა პროდუქტების გასაწმენდად იხმარება. იგი ნავთობის დაშლის დამჩქარებლის როლს თამაშობს.

1949 წლის იანვრიდან ახალი საგანი, პეტროგრაფია დაგვემატა, რომელსაც პროფესორი ნინო თათრიშვილი გვიკითხავდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ მაშინ ქალბატონ ნინოს მეუღლე, პროფესორი გიორგი ზარიძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად გადაიყვანეს და, ბუნებრივია, ნინოც იქ გადავიდა. ჩვენს ჯგუფს კი პეტროგრაფიას ალ. თვალჭრელიძე წაგვიკითხავდა.

ლექცია გვიტარდებოდა №116 აუდიტორიაში, რომელიც მინერალოგიის კაბინეტად ითვლებოდა, საიდანაც შუა კარები გადიოდა გეოლოგიურ მუზეუმში, რაც მოსახერხებელი იყო მინერალების თუ ქანების შემოსატან-გასატანად.

საგულდაგულოდ იმიტომ ჩამოვაგდე საუბარი აუდიტორიაზე, რომ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, №116 აუდიტორიაში (მაშინ პალატა იყო) 1915 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა. იმ დროს უნივერსიტეტის შენობაში „ლაზარეთი“ იყო მოწყობილი.

თვალჭრელიძის ლექციებს ჩვენ არ ვიწერდით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანში არ არსებობდა რამე ლიტერატურა ქართულ ან რუსულ ენაზე. ლექტორი შეგვპირდა, რომ გამოცდებამდე გვექნებოდა ყველას ლექციების ჩანაწერები დაბეჭდილი სახით. ჩვენც ლექციებს არ ვაცდენდით.

მართლაც, გამოცდებამდე ერთი თვით ადრე, როცა მუზეუმის თანამშრომელს ქალბატონ ქეთოს მოვეხმარე ნიმუშების მუზეუმში შეტანაში, თვალჭრელიძემ მოცდა მთხოვა, ქეთოს კი დაავალა, ჩემთვის ფული და ქაღალდი მოეცა კონსპექტის გადასაბეჭდად. ლექტორის დავალება პირნათლად შევასრულე, ისე რომ, ოცდათხუთმეტივე სტუდენტს ხელთ გვქონდა ასგვერდიანი კონსპექტი. ისღა დაგვრჩენოდა, შეძლებისდაგვარად გვემეცადინა და არ შევრცხვენილიყავით ლექტორის წინაშე.

ვდგავართ გეოლოგიური მუზეუმის შესასვლელ კარებთან და გამოცდის დაწყებას ველოდებით. ჩვენ არ ვიცით, როგორი გამომცდელია თვალჭრელიძე. ჯგუფიდან რამდენიმე სტუდენტი ვფიქრობთ მაღალი ნიშნის მიღებაზე, სტიპენდია რომ შევინარჩუნოთ, დანარჩენებისათვის სულ ერთი იყო, მთავარია არ ჩაჭრილიყვნენ.

მუზეუმის კარი გაიღო თუ არა, სადაც გამოცდა უნდა ჩატარებულიყო, ქალბატონმა ქეთომ მიხმო და მთხოვა, მაგიდაზე დაწყობილი ქანების ნიმუშები, დანალექი, სახეცვლილი თუ ვულკანური – ცალ-ცალკე დამეწყო. მატრიკული კი გამომართვა. სანამ ჩემი საქმით ვიყავი გართული, თვალჭრელიძეს ხუთიანი ჩააწერინა ჩემს მატრიკულში. მატრიკულგადაშლილი, სახეალეწილი რომ გამოვედი, ჯგუფელებმა, ჩაიდუდუნეს „დაუწერდა ხუთიანს, კაცი მთელი დღე მუზეუმშიაო“.

ჩემს შემდეგ კიდევ სამმა მიიღო ხუთიანი, სიის მიხედვით გასულმა არც თუ ისე ძლიერმაც ხუთიანი გამოიტანა. დანარჩენებს იმედი მიეცათ, არ ჩავიჭრებითო. არც ჩაჭრილან, ყველას მატრიკულში ხუთიანი ჩაიწერა თვალჭრელიძის ავტოგრაფით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნახევარი წელი 35 სტუდენტი ხუთოსნობის სტიპენდიას მივიღებდით.

არ გეგონოთ, რაიმეს ვაჭარბებდე, დამეთანხმებით, არ შეიძლება საგანი ყველას ერთნაირად სცოდნოდა, ისიც უმაღლესი შეფასებით, ეს ლექტორმაც ჩვენზე უკეთ იცოდა და მაინც თუ რატომ მოიქცა თვალჭრელიძე ასე, ეს ამბავი ჯერ თვით უნივერსიტეტის რექტორმა კეცხოველმა შეიტყო და მერე ჩვენც გავიგეთ.

მართალია, ხუთიანები გავინაღდეთ, მაგრამ მთავარი იყო, რას იტყოდა უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი ასეთ უპრეცენდენტო შემთხვევაზე. მართლაც, ჩვენი დეკანი როცა მისულა სიით ხუთოსნობის სტიპენდიის დანიშვნაზე, კეცხოველს შეუქია: „ასეთი აკადემიური მოსწრება ბარემ სამ ფაკულტეტს ერთად აღებულს არ ექნებაო“, მაგრამ როცა გაუგია, ფაკულტეტის კი არა, ერთი ჯგუფისა იყო, მაშინ კი „გაცეცხლებულა“, რეზოლუციის დასანერად გამზადებული კალამი გვერდზე გადაუდია და მკაცრად უთქვამს: „პირადად ვნახავ თვალჭრელიძეს და გავიგებ, სად არის ძაღლის თავი დამარხულიო“. მაგრამ ვერცხლის წყალივით მოძრავ მეცნიერს ასე ადვილად ვინ „მოიხელთებდა?“ ჩვენი გამოცდის შემდეგ მუზეუმის თანამშრომლებს ვერ უნახავთ თავის მაგიდასთან, ის ხომ პრაქტიკოსი მეცნიერი იყო. კეცხოველისთვის მოუხსენებიათ, მხოლოდ ხელფასის მიღების დროს თუ ნახავთო.

ცხელ გულზე დეკანთან ნათქვამი სიტყვები ბატონ ნიკოს გადაავიწყდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა თვალჭრელიძე, როცა თავად მიიღო ხელფასი და მაშინვე გეოლოგიური მუზეუმისაკენ გაემართა.

როგორც ქალბატონ ქეთოსგან გავიგეთ, კეცხოველი სწორედ მაშინ შესულა მათთან, როცა თვალჭრელიძეს თავისი ხელფასი გადაუცია ქალბატონ ქეთოსათვის „უცხო“ ხალხისათვის დასარიგებლად. რექტორს რომ გაუგია, თვალჭრელიძე თავისი ხელფასით ყოველთვე ხელმოკლე ნათესავებსა და თანამშრომლებს უწვდიდა დახმარების ხელს (უწყისის სახით 18 ადამიანს), მას აღარ გაჰკვირებია 35 ხუთიანი და იმ თვრამეტ კაციან უწყისის გაგრძელებად ჩაუთვლია. თვალჭრელიძისთვის აღარაფერი უთქვამს, მუზეუმიდან გამობრუნებულს, სახეზე ნათელი მოჰფენია და კარებში გამოსვლისას ჩაულაპარაკნია: რას ვერჩით, ისინი ღირსეულად იმსახურებენ ამას, – „უხელფასო“ აკადემიკოსი და 35 ხუთოსანი.

დავით ყანდაშვილი

მხატვარი გიორგი სულხანიშვილი

ლაერტ ჩართოლანი

სატროლის გოცვაცვა

ნოემბერი იდგა. ოჯახს ქორწილის სუფრა გაეშალა. ამქვეყნიური საზრუნავი დროებით ყველას გადაედო და დაევიწყებინა. არყის სმისაგან გაბრუებული ხალხი ერთმანეთს მეგობრობასა და სიყვარულს ეფიცებოდა. თამადა სუფრაზე მსხდომთ ასხამდა ხოტბას, ხოლო სიფხიზლეში გაუბედავი, დინჯი ჭაბუკი თანატოლ გოგოს თამამად ეჩურჩულებოდა. დიდ-პატარას სიყვარულის ცეცხლი ეკიდა.

დემეტს, რომელსაც არც ერთი სასმისი არ გამოეტოვებინა, ერთი აზრი აეკვიატა. კარგა ხანს იფიქრა, აწონ-დაწონა, შესაძლებლობებს თავიდან ბოლომდე გადახედა გონების თვალით და გადაწყვიტა, განზრახვა ბიძაშვილისათვის ახლავე ჩაეწვეთებინა ყურში.

– დილას ნუნა ვნახე, ბიძასთან მიდიოდა მეზობელ სოფელში.

– მერე მე რა?

– იქ ხომ არ დარჩება. მითხრა, მალე დავბრუნდებიო. სულ სამი კილომეტრი აქვს გასავლელი.

– ვიცი, – ნაღველგარეული ხმით უპასუხა ვაჟმა.

– თუ იცი, აქ რას უზიხარ? გაისარჯე, თავი გაანძრიე, ქალი შინ არ მოგივა.

– რა გავაკეთო? – იკითხა არყით თავდამძიმებულმა და გონებადაფანტულმა ვაჟამ.

– არაფერი, იჯექი და სხვის ქორწილს მოულხინე. ორი წელია ქალს თხოულობ, კიდევ ერთი ამდენი მოიცადე, ამასობაში ჩიტი ხელიდან გაგიფრინდება, შენ კი უცოლოდ დაგვიბერდები.

– ან სხვას გაჰყვება, ან მე დამრჩება, – სცადა ხუმრობა ვაჟამ.

– რათა სხვას? – შუბლი შეიკრა დემეტმა, – ჩვენ ვისზე ნაკლები ვართ, ვინ რითი გვჯობია, გვარიშვილობით თუ ვაჟკაცობით?

– არ ვიცი!

– თუ არ იცი, იჯექი. შენს დახმარებაზე ფიქრიც არა ღირს, კაცი ადგილიდან ვერ დაგძრავს.

– რით უნდა დამეხმარო?

– რომ იცოდე, უწინ ასეთ დროს ქალს დახვდებოდნენ, ნაბადში გაახვევდნენ, მოიტაცებდნენ და საქმეც ამით მოთავდებოდა.

ამის გაგონებაზე ვაჟა გახალისდა, სახე ვარდისფრად გაუნათდა, გამოცოცხლდა, დიდი ხნის დაგუბებული ნაღველი გულიდან მოეხსნა და იკითხა: – საქმეს ორნი მოვერევით?

– თაბექს კაცად არ მიიჩნევ? როგორ ფიქრობ, უკან დაიხევს ან თავს დაგამადლის?

– მერიდება.

– მე თვითონ ვეტყვი.

თაბექს თქმა არ დასჭირდა. ბიძაშვილების საუბარს თავიდან ბოლომდე უსმენდა და თავის დაკვრით ანიშნა თავისი მზადყოფნა.

სამი კაცი სუფრიდან ცალ-ცალკე ისე გაიპარა, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ქურდულად შეიპარნენ საკუთარ სახლებშიც. ვაჟამ ჩანთაში მცირედი საგზალი ჩაიწყო და ორლულიან სანადირო თოფს წამოავლო ხელი. დემეტმა ლულაგადაჭრილი, ჟანგმოდებული შაშხანა გადაიკიდა მხარზე, ხოლო თებექი მეზობლისგან ნათხოვარი მცირეყალიბიანი შაშხანით შეიარაღდა. ძველი ადათ-წესი მოითხოვდა, ქალის მოსატაცებლად იარაღში ჩამსხდარნი უნდა წასულიყვნენ.

ორ მეზობელ სოფელს შორის გამავალ გზას, ამ სოფლებიდან ერთნაირი მანძილით დაშორებული, მთაზე მიმავალი ბილიკი უერთდებოდა. სამეულმა გზის ეს მონაკვეთი შეარჩია ჩასაფრების ადგილად.

დემეტი გზას თვალს არ აშორებდა, სმენად ქცეულიყო, მღელვარებას მოეცვა. როგორც ასაკით უფ-

როსს და ამ საქმეში მცირედი გამოცდილების მქონეს, ორი ახალბედა მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა. მეზობელი სოფლის მისადგომებთან ერთ წერტილს დააშტერდა დემეტი, მერე ამხანაგებს ანიშნა:

– ქალია თუ კაცი?

– ქალია! – თქვა თებექმა.

– ნამდვილად ქალია, – დაემოწმა ვაჟა.

– ეს მეც ვიცი, – იწყინა დემეტმა. – თქვენ ის მითხარით, ვისაც ველოდებით, ის არის თუ სხვა, ან იქნებ სულ ერთია ვის მოიტაცებ? – გააქილიკა სასიძო.

– ნუნაა, ამოიცნო თებექმა.

– ნუნაა, კვერი დაუკრა ვაჟამ, – და სანთელივით გაფერმკრთალდა.

– რას გაჩერებულხართ, ცოცხლად იმოქმედეთ. – დატრიალდა დემეტი: – თაბექ, შენ გზის ქვემოთ ბუჩქებში ჩასაფრდი. ვაჟა, აქ დაიმალე. პირველი მე შევეგებები, ვეტყვი, რაც სათქმელია. ამ დროს თქვენც გამოხვალთ საფარიდან და მომეშველებით.

– უხეშად არაფერი გამოგვივიდეს, – ათრთოლებული ხმით წარმოთქვა ვაჟამ.

– ნუ გეშინია, არაფერს დავუშავებთ. ხელს მოვკიდებთ და თუ საჭირო გახდა, პირში ამ პირსახოცს ჩავჩრით. – დემეტმა ხელში გაქონილი ტილოს ნაჭერი ააფრიალა. შემდეგ თვალით ანიშნა, ამორჩეული ადგილებისაკენ წასულიყვნენ.

ქალიშვილი გზას უდარდელად მიუყვებოდა. ტყეს ფოთოლცვენის ჟამი დასდგომოდა. მთიდან მონაბერი სიო ათასფრად აფრიალებდა ტყის გაყვითლებულ სამოსელს. ბუნებას შეზრდილი ქალიშვილი ვერ გრძნობდა, რა ულამაზეს გარემოში იმყოფებოდა. ათასჯერ ნანახ და განცდილ ფერთა შუქს მის თვალში სილამაზის იდილიური, მომაჯადოებელი ძალა დაჰკარგოდა. და მისგან შეუმჩნევლად შეუცნობელი რჩებოდა. მომწიფებული ქალის გონება ოცნებას მინდობოდა. ხან ზღაპრულ კოშკში დანავარდობდა, ხან სვანური ლეგენდის გმირ მზეჭაბუკზე ამოდიოდა მზე. შორ სივრცეში ულიმოდა ბედის ვარსკვლავს და... ამ დროს ანაზდად წინ კაცი აესვეტა.

– შეჩერდი და მომისმინე! – ბრძანების კილოთი შესძახა დემეტმა.

– რა გინდა, დემეტ? რათ უნდა გავჩერდე? – გაიკვირვა და ითაკილა ქალიშვილმა, რომელიც ვერ გარკვეულიყო თანასოფლელის განზრახვაში.

– გონიერად მოიქეცი, ფუჭად თავს ნუ გაიწვალებ, რაც უფალს მოუცია, იმ ბედს დასჯერდი, წივილ-კივილით არაფერი გამოგივა, ხელიდან ვერ წაგვიხვალ.

ქალიშვილი არ ელოდა ამგვარ შეხვედრას. შემკრთალი, შეშინებული გზის გაგრძელებას ლამობდა, მაგრამ წინ ძალღონით სავსე ბრგე ვაჟკაცი აყუდებულიყო, რომელსაც კიდევ ორი შეიარაღებული კაცი ამოუდგა მხარში. ვაჟას გამოჩენისთანავე მისთვის ნათელი გახდა, რისთვის ულობავდნენ გზას. გონს მოსვლა არ აცალეს, ორმა კაცმა მაჯებში ჩაავლო ხელი და მწყემსების საზაფხულო სადგომებისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყენეს. ქალი შეევედრა, შესთხოვა, დამეხსენით, ჩემს გზაზე გამიშვითო, მაგრამ მისი ნათქვამი არავის ესმოდა. მალე დარწმუნდა, რომ ქორი მსხვერპლს ნებით ბრჭყალებიდან არ გაუშვებდა.

მამაკაცები მალე დარწმუნდნენ, რომ ბატკანივით უწყინარი არსება მიჰყავდათ და მაჯებში ღონივრად ჩაფრენილი ხელები თანდათან გაშალეს, ხოლო შემდეგ სულ შეუშვეს ხელი.

ახლა ყველას თებექი მიუძღოდა წინ. მას ქალი მიჰყვებოდა, ხოლო რიგის ბოლოში ფეხათრევით მიდიოდა ჩაფიქრებული ვაჟა. ხმას არავინ იღებდა. დემეტს და თებექს სასმელი მოკიდებოდათ, ფეხს ურევდნენ. ნახევარი გზა ისე იარეს, არსად შეჩერებულან. როცა თავი სამშვიდობოს იგულეს, აქ შევჩერდეთ და შევისვენოთო, თქვა თებექმა.

– შევისვენოთ, – უპასუხა დემეტმა, – გულში კი მისთვის ჩუმად გაივლო, ეს რა ხოხობივით უწყინარი, რა ანგელოსი ყოფილაო. ასე მშვიდობიანად, აურ-ზაურის გარეშე ჯერ ქალი არავის მოუტაცია. ჩემი ხელიდან გაქცევა უფრო ძნელია, ვიდრე არწივის ბრჭყალებიდან თავის დაღწევა და, ალბათ, ამიტომაც მოგვყვება ნუნა ასე ჩუმადო.

– გოგო, დაჯექი, დაისვენე, ეს ბიჭია შენი ბედი, მოგწონს თუ არა, ახლა ეს სალაპარაკოდ არ ღირს. იცხოვრებთ ერთად და ისე შეგიყვარდება, რომ მზეჭაბუკში არ გაცვლი. – მისცა „ბრძნული“ რჩევა-დარიგება დემეტმა.

მამაკაცები მდელოზე ჩამოჯდნენ, ქალი კი არყის ხეს მიეყრდნო და თვალცრემლიანი უყურებდა იქ მყოფთ.

თებექმა ვაჟას ხელჩანთა გახსნა და საგზალი გაშალა.

– იდღეგრძელეთ, შეაბერდით ერთმანეთს, როგორც კირი და ქვიშა. დავრწმუნდი, გონიერი გოგო ყოფილხარ. რაც მორია, ნაფოტიც ისაა – კარგი ოჯახის შვილს უფლება არა გაქვს ასეთი არ იყო. თან ძმებსაც ხომ გაფრთხილება უნდა. ახლა ერთი პატარა წერილი დაგვიწერე, რომ სოფელში აურ-ზაური არ ატყდეს. შენი მშობლებიც დამშვიდდებიან, შეგირიგდებიან და კარგი ქორწილი გაჩაღდება, – ასე დაასრულა დემეტმა სიძე-პატარძლის პირველი სადღეგრძელო, ჭიქა დაცალა და ცარიელი სასმისი თებექს გადასცა.

ნუნა კრიჭაშეკრული ისმენდა დემეტის შეგონებას. ხმას არ იღებდა. შემდეგ თითქოს რაღაცას მიაგნო, ბაგეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა. იქვე, კუნძზე ჩამოჯდა. დემეტმა ფანქარი და ქაღალდის ნახევი მიაწოდა.

– რა დავწერო? – იკითხა ქალმა.

– დაწერე! რა დაწერე იცი? მისწერე, რომ... დასწყევლოს ღმერთმა, სულ დამავიწყდა... რა უნდა მეთქვა? – კარგა ხანს იფიქრა, მერე გაიღიმა. – დაწერე, რომ კი არ მოგიტაცეთ, უბრალოდ... – დემეტის საქციელზე ქალიშვილმა სიცილი ვერ შეიკავა და სიტყვა გააწყვეტინა.

– უბრალოდ თქვენ კი არ წამოგიყვანივართ, არამედ მე მოვიტაცე ვაჟა, გაწყობთ?

– არა, ამას არ დაიჯერებენ, თანაც ვაჟას მშობლები იწყენენ, ქალმა ვაჟიშვილი მოგვტაცაო. დაწერე, რომ შენი სურვილით გადაწყვიტე და გაჰყევი.

– რომელსაც მაყრებად დემეტი და თებექი ახლდნენ და იმათი თითების კვალი მაჯაზე ლურჯ ზოლებად მატყვია, არა? – გაიცინა ქალმა.

– არ ივარგებს – ჩაფიქრდა დემეტი.

– წერილი რა საჭიროა, საღამოს ამათ ოჯახში მივიდეთ, – თვალით

ვაჟასკენ ანიშნა ნუნამ, რომელიმე თქვენთაგანი მიხვალთ და ჩვენებს შეატყობინებთ, რომ მე ჩემი ნებითა და სურვილით გავყევი და დამთავრდება ყველაფერი.

– ააშენა ღმერთმა შენი ოჯახი. იდღეგრძელე, იხარე, იბედნიერე, იმრავლე... – დემეტმა თებექს გადახედა, ანიშნა, ჭიქა შემივსეო. სავსე ჭიქით ხელაღმართულმა ქარაგმულ-შეკაზმული სიტყვებით შეამკო თვინიერი გოგო და სასმისი ფსკერამდე დაცალა.

თებექმა მოკრძალებული სადღეგრძელო წარმოსთქვა: ბედნიერება, ძეთა სიმრავლე, ცხრა ვაჟი და ერთი ქალი უსურვა ახლადშეუღლებულთ. ვაჟამ უხმოდ დაცალა ჭიქა.

დემეტმა კიდევ დიდხანს იქადაგა და მხოლოდ მაშინ მიყუჩდა, როცა ორი ბოთლი სასმელი ფსკერამდე დაცალა.

ქორწილში ღამენათევთ, სასმელმა უნიათ. დემეტი თვალის მოსატყუებლად მდელოზე წამოწვა და მალე ფშვინვა ამოუშვა. რადგან ხელმძღვანელმა დაიძინა, თებექმა იფიქრა, ალბათ ასეა წესი და რიგიო და ქალ-ვაჟს თავისუფლად რომ ეგრძნოთ თავი, მათკენ ზურგშექცეული წამოწვა მდელოზე.

ვაჟა მწარედ ნანობდა, რომ დაჰყვა ამ ვეშაპის რჩევა-დარიგებას და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. ნუნას ასე არ დათრგუნავს, არ დაიმორჩილებს. ამაში ვერაფერს ხედავს ადამიანურს, ამაღლებულს. ნაოცნებარს თვალს არ აშორებდა ვაჟა. ქალის გამოხედვა სათნო, ნაზი, ურუანტლისმომგვრელი, ნეტარების აღმძვრელი ეჩვენა, მისმა მზერამ დაატყვევა, დაათრო და დაიმორჩილა.

ჭაბუკი მხართეძოზე წამოწვა და თვალები მილულა. ქალი კი წამოდგა, დემეტის თოფს ხელი წამოავლო, შემდეგ თებექს ააცალა იარაღი, გაუბედავი ნაბიჯით, ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას და სოფლისაკენ მიმავალ ბილიკზე დაეშვა. რაც უფრო სცილდებოდა მამაკაცთა ადგილსმყოფელს, მხნეობა და გამბედაობა უფრო ემატებოდა, მაგრამ შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა სოფლის მისადგომები გამოჩნდა. გზად არავინ შეხვედრია, ვიდრე გზის პირას აშენებული სახლის ეზოში დემეტის ცოლი არ შენიშნა.

მხატვარი გიორგი სულხანიშვილი

– ეს იარაღი დემეტმა და თებექმა გამომატანეს.

– თვითონ სად არიან, სად შერჩნენ, რას აკეთებენ? – შეიცხადა დემეტის ცოლმა.

– არ ვიცი, მოვა სახლში და ჰკითხე, – მშვიდად უპასუხა ნუნამ და გზა განაგრძო.

შინ მისული მღელვარებას ვერ მალავდა, გაორებულ ფიქრებს თავს ვერ ართმევდა: ეს რა მოსიყვარულე, სათნო გული ჰქონია ვაჟას. ასე დაჟინებით რათ ვწუნობდიო.

ფიქრებში თავს დედა წამოადგა.

– მოხვედი, შვილო? იმ კაცმა ისევ გამოგვიგზავნა მაშვლები. ხვალ გადაჭრით ან ჰო უნდა ვუთხრათ, ან არა, თორემ აღარ გვეშვებიან.

– ვისზე ლაპარაკობ დედი, ვინ გამოგვიგზავნა კაცები? – იკითხა ნუნამ.

– ვაჟას მამამ. მთელი ოჯახი შენ გელოდებით, რას გადაწყვეტ. დედა ვარ, შვილო, მე ნუ დამიმალავ, ან ჰო თქვი, ან არა.

ნუნას სახე აელეწა, რაღაცნაირი სითბო იგრძნო გულში და ხმა გაებზარა.

– რა გითხრა, დედა, – ძლივს ამოღერღა ნუნამ, – როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი.

– რა ვიცი, შვილო, ეს ორი წელია უკუღმა ხარ გადაბრუნებული, ძალას ვეღარ გატანთ და... – დედა გუმანით მიხვდა, რომ მისი შვილი გამოცვლილიყო. გახალისდა და სახეზე მხიარული ღიმილი მოეფინა...

...

– რა იქნა ქალი, სად გაქრა ჩემი თოფი? – ყვიროდა გამოღვიძებული დემეტი – ესაა ვაჟკაცობა? ქალი ამოგიყვანე, ხელში ჩაგაბარე, შენ კი იარაღიც თან გაატანე? ამ სირცხვილს, სიკვდილი სჯობია. თქვენ ვინ მოგცათ ქალის მოტაცების შნო.

– რა დროს ყვირილია, შე კაცო, აქედან წავიდეთ, სანამ სულ არ მოგვჭრია თავი – თქვა თებექმა და ტყისკენ წავიდა. დემეტიც მას მიჰყვა.

მხარზე თოფგადებული ვაჟა მარტო დაეშვა სოფლისაკენ მიმავალ ბილიკზე.

სიმღერა ქალწყვილებული ლექსი

ქართველმა პოეტებმა თავიანთი სიტყვა თქვეს მუსიკალურ ხელოვნებაში. მათ მიერ დაწერილ ტექსტებზე მრავალი კარგი და დასამახსოვრებელი სიმღერა დაიწერა. უბრალოდ, საკმარისია დავასახელოთ ამ მოღვაწეთა გვარები, რომ ყოველივე ნათელი გახდეს. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინდა ერთ მათგანზე ვესაუბროთ მკითხველს.

ჩვენი საყვარელი პოეტი ქალი ანა კალანდაძე მყავს მხედველობაში.

ანა კალანდაძე 40-იან წლებში გამოჩნდა ასპარეზზე და იმთავითვე მიიპყრო ყურადღება საკუთარი, ორიგინალური ხელწერით, პოეტური სიტყვის სიახლითა და სინატიფით.

მისი ლექსები საინტერესოა არა მარტო წმინდა მხატვრული თვალსაზრისით, არამედ სიტყვისა და მუსიკის დამოკიდებულების მხრივაც. სიტყვისა და მუსიკის კავშირი კი რთული პროცესია და ვლინდება როგორც რიტმში, მელოდიასა და ტემბრში, ისე სინტაქსსა და ფორმაში. სიტყვის მნიშვნელობა და გამომსახველობა, მელოდიკა (ბგერათრიგი) და მეტყველების სინტაქსიც ურთიერთდამოკიდებულებაშია რიტმთან. პოეტური ტექსტი აქ ახლებურ ფორმას იძენს. რიტმი, მელოდიკა, ტემბრი, დინამიკა, ხმოვანების სიძლიერე – მთავარი ელემენტებია მეტყველებისა და მუსიკისაც. სამეტყველო ინტონაცია მეტნაკლებად იხსნება მელოდიაში და ერწყმის მას.

ყოველივე ეს მშვენივრად არის ნაგრძნობ-გადმოცემული ანა კალანდაძის ლექსებში და მათ საფუძველზე შექმნილ ქართველ კომპოზიტორთა ქმნილებებში. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, ვხვდებით როგორც პროფესიონალ, ისე არაპროფესიონალ ავტორებს. ეს კი შედეგია იმისა, რომ გრძნობათა გამომსახველობის უმთავრესი საშუალება – მელოდია უხვადაა ჩაქსოვილი პოეტის ლექსებში.

აქვს კიდევ ერთი ნიშანდობლივი თვისება ანა კალანდაძის პოეზიას – ესაა ლექსის შინაარსის, მისი კონცეფციის გადმოცემის ლაკონურობის საკითხი. პოეტს შეუძლია მხატვრულ ფორმებში, ორიოდე სტროფშიც კი, დამაჯერებლად გახსნას ლექსის მთავარი სათქმელი, გადმოსცეს განწყობილება, ავტორის ჩანაფიქრი...

ანა კალანდაძის ლექსებზე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თეიმურაზ ნაცვლიშვილის სიმღერა „საქართველოო ლამაზო“. პოეტი ქალის ეს შედევრი მართლაც რომ განუმეორებელ სიმღერად აჟღერდა და სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანის კუთვნილებად იქცა. ეს არ არის შემთხვევითი, სიმღერის პატრიოტული, პოეტური ძალა და მისი გულში ჩამწვდომი მელოდია დიდი ზემოქმედებითი ძალის მქონეა, ღრმად ემოციური:

„ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?

ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა-არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენდა დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“..

ვარინკა წერეთლის საქვეყნოდ გახმაურებული „სულიკოს“ მსგავსად, აქაც პოეტურმა ტექსტმა ზედმიწევნით ზუსტი ინტონაციური განსხეულება მიიღო, ისევე სადად, ბუნებრივად, უშუალოდ, ფორმის საოცარი მთლიანობით. მასში სრულად გამოვლინდა ავტორის ხალასი მელოდიური ნიჭი, კოლორიტის ფაქიზი გრძნობა... მელოდია ხალხური „ნანების“ რწევადი რიტმით კიდევ უფრო მეტ სითბოსა და უშუალობას, მეტ სიწრფელესა და ზემოქმედებით ძალას იძენს, მისამღერებში კი განვითარების კულმინაციას აღწევს: „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?“ – შთამბეჭდავად გაისმის ეს სტრიქონები ყოველი სტროფის შემდეგ და ახალი ელფერით ივსება. სიმღერა ერთნაირად მისაწვდომია მოყვარულთა ფართო ფენებისათვის, ასაზრდოებს პროფესიონალთა ინტერესებს, ამიტომაც უძლებს დროს და იზიდავს თაობებს...

მუსიკოსისა და ჟურნალისტის – თემო ნაცვლიშვილის ეს სიმღერა პირველი ნიმუშია, პირველი ცდაა ანა კალანდაძის პოეზიის აჟღერებისა მუსიკაში, პირველი და საუკეთესოც.

საინტერესო მუსიკალური ხორცშესხმა ჰპოვა თეიმურაზ ნაცვლიშვილის მიერვე ქალბატონ ანას ლექსმა „ყაყაჩოსა სიწითლითა“. აქაც ისევე ბუნებრივად, სადად და ძალდაუტანებლად ვითარდება მელოდია, „სიმღერის გულის“ – მელოდიის წინა პლანზე წამოწევით.

თეიმურაზ ნაცვლიშვილის ზემოხსენებულ სიმღერებს ისე, როგორც მთელ მის შემოქმედებას, ძირითადად ქართული ქალაქური საყოფაცხოვრებო სიმღერის დასავლური შტოდან მომდინარე ნაკადი ასაზრდოებს. ამასვე გვიდასტურებს „ჟუჟუნა წვიმა“-ში მის მიერ ესოდენ ოსტატურად და ორიგინა-

ლურად ჩართული პოპულარული ქალაქური ხალხური სიმღერა „დანამა“-ს კოლაჟი, რომელიც ანა კალანდაძის პოეტური ტექსტითაცაა ნაკარნახევი და ორგანულად ერწყმის მთელ სიმღერას.

მთის ლაღი სუნთქვა შეიგრძნობა ანა კალანდაძის ლექსებზე დაფუძნებულ შალვა მშველიძის გუნდებში: „შუაფხოს ღამე“, „თეთრახევა“, „სადღაც მთებში გალობს ბულბული“, რაც არა მარტო პოეტური წყაროთია განპირობებული, არამედ კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი ხელწერითაც, მისი მუსიკის სიღრმითა და სიჯანსაღით, ეპოსური ფესვებით, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებიდან იღებს სათავეს.

შალვა მშველიძე პირველი ქართველი კომპოზიტორია, რომელმაც პროფესიულ მუსიკაში დანერგა ფშაური კილო. ეს კილო-ინტონაცია მკვეთრად გასდევს მთელ მის შემოქმედებას – ოპერებს, სიმფონიებს, ორატორიას... იგივე შეინიშნება ზემოაღნიშნულ სიმღერებშიც. გვხიბლავს მათი ეროვნული კოლორიტი, სისხარტე და ემოციურობა, დრამატურგიული მთლიანობა, პოეტური ტექსტის ღრმა და ორგანული გახსნა... და მაინც, მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „შუაფხოს ღამე“, სადაც საკმაო ადგილი ეთმობა ხმათა ტემბრების სვლას ქალთა და ვაჟთა გუნდების ურთიერთდაპირისპირების გზით, დროდადრო შერეული გუნდის კომპაქტურ ხმოვანებაში რომ გადადის – იქმნება გარინდებისა და სიმშვიდის, დინამიკისა და მონუმენტურობის ასოციაცია, რაც საბოლოო ჯამში ღამის ბინდის საოცარ შეგრძნებას ბადებს.

პატრიოტული სულისკვეთებითაა აღსავსე კომპოზიტორ ნოდარ გიგაურის საესტრადო სიმღერა „დაბრუნდით, ჯარისკაცებო“, ანა კალანდაძის ამავე სახელწოდების ლექსზე. პოეტურმა ტექსტმა აქაც ასევე ღრმადშესატყვისი მუსიკალური განსხეულება მიიღო – მუსიკა მოსილია ფარული სევდით, შინაგანი დაძაბულობით, ექსპრესიით, ლირიკული და დრამატული ტონუსის ურთიერთშენაცვლებით, რაც ხაზგასმულია საორკესტრო თანხლებაშიც. ეს კი სავსებით კანონზომიერია – ნაწარმოები ეძღვნება ომის მონაწილე ჯარისკაცებს, რომლებმაც „მტვრიანი ჩექმებით გადალახეს ტრამალი, ნემანი, ვისლა...“ სიმღერის სტრუქტურა ვარიაციულ-ვარიანტულ კუპლეტურ ფორმას ემყარება, სადაც ყოველი მომდევნო კუპლეტი წინამორბედის რამდენადმე ახალი, თვისობრივად განვითარებული ვარიანტია. ეს კი ხელს უწყობს პოეტური ტექსტის მაქსიმალურ გახსნას.

გიგაური, კომპოზიტორი-ლირიკოსი, აქ მთელი სისავსით წარმოჩნდა. საკმარისია გავიხსენოთ მისი საოცრად პოპულარული სიმღერა „თბილისი და ფიროსმანი“ ლადო ასათიანის ლექსზე, რომ ყოველივე ნათელი გახდეს.

არქაულობით და მოკლე დიაპაზონით გამორჩეული ფშაური ხალხური სიმღერის „ჯვარი წინასა“-ს სტილიზაციაა იაკობ ბობოხიძის აკაპელა გუნდი „ვაჟაო, დილის მზის სხივო“. ეროვნული კოლორიტის გაძლიერების მიზნით კომპოზიტორი გუნდში მთლიანი სახით ატარებს ფშაურ კილოს, რაც ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია და საინტერესოდ აღიქმება.

პოლიფონიურობით ხასიათდება ამავე ავტორის საგუნდო სიმღერა „დილა“. მუსიკა აღმავალი ხაზით ვითარდება, დამახასიათებელი იმიტაციური ხერხებითა და კულმინაციური ბიძგებით, რაც ფინალში კომპაქტურ ხმოვანებას აღწევს და სიმღერაც მთავრდება.

მელოდიური გამომსახველობის, სიწრფელისა და გულითადობის საუკეთესო მაგალითია იაკობ ბობოხიძის საესტრადო სიმღერა „მზე იცინის“ ანა კალანდაძისავე ლექსზე. ეს სიმღერაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, ხშირად ჟღერს საკონცერტო ესტრადაზე, რადიო-ტელევიზიით...

კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილის სიმღერა „ჭია-მარია“, ტარიელ ბაქრაძის „მოგეკვრი, იასამანო“, გივი ციციშვილის „ლირიკული“, მერი დავითაშვილის „არაბი ხარ?“, „თუთა“, ასევე ანა კალანდაძის ტექსტებზეა დაწერილი.

ყურადღებას იმსახურებს ქალბატონ ანას ტექსტებზე შექმნილი ციკლური ნაწარმოებებიც: ჯემალ ბეგლარიშვილის ვოკალური ციკლი „ფრესკები“, იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო ციკლები „ფშაური იდილიები“, „მთისაი ბარსა“ და სხვა, რომლებშიც დამყარებულია ფსიქოლოგიური და თემატური კავშირი, რაც პოეტური ტექსტიდან და მუსიკის საერთო დრამატურგიული დინებიდან მომდინარეობს.

როგორც ვხედავთ, ანა კალანდაძის პოეზიაზე აღმოცენებული მუსიკალური ნაწარმოებები მთლიანად ვოკალური მუსიკის სფეროებს მოიცავს: სიმღერას, გუნდს, ვოკალურ ციკლს... აღნიშნული ჟანრები გვხვდება როგორც ინსტრუმენტული თანხლებით, ისე აკაპელა სტილის ციკლებიდან, როგორც საგუნდო, ისე ხმისთვის განკუთვნილი. ეს არ არის შემთხვევითი და სავსებით ბუნებრივია, რადგან პოეტის ლექსთა წყობა, ხასიათი, კეთილხმოვანება ვოკალური ბუნებისაა.

პოეტი-ქალის პოეზია, მისთვის დამახასიათებელი დახვეწილობითა და ორიგინალობით, იპყრობდა და კვლავაც იპყრობს მუსიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

ეთერ ლონდარიძე
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

გოჭი მაინც გოჭია

ელის პ. ბატლერი

ელის პარკერ ბატლერი (1869-1937) ამერიკელი იუმორისტია. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების ოცდაათზე მეტი კრებული. ბატლერის ყველაზე ცნობილი მოთხრობაა „გოჭი მაინც გოჭია“. (PIGS IS PIGS).

რკინიგზის კომპანიის აგენტი მაიკ ფლენერი დახლზე გადმოხრილიყო და მუშტს იქნევდა. დახლს აქეთ ბრაზით გაჭარხლებული მისტერ მორჰაუსი იდგა და რისხვით თრთოდა. მათ შორის კაი ხანია ცხარე დავა მიმდინარეობდა. აურზაურის მიზეზი გახლდათ ჯვარედინად თასმებგადაჭედებული საპნის ყუთი, რომელიც ამ ორ მამაკაცს შორის დახლზე იდო. გალიად გადაკეთებულ ყუთში ორი ჭრელი ზღვის გოჭი იჯდა და ხარბად ახრამუნებდა სალათის ფოთლებს.

– რაც გინდა, ის ქენი! – გაიძახოდა ფლენერი. – გადაიხადე ფული და წაიყვანე, არა და, დატოვე. წესი წესია, მისტერ მორჰაუს!

– შე გამოთაყვანებულო! – ღრიალებდა მორჰაუსი და აგენტს ცხვირწინ უფრიალებდა სატარიფო წიგნაკს. – ვერა ხედავ, რა წერია? „სათანადოდ შეფუთული წვრილფეხა შინაური ცხოველის გადაგზავნა ქალაქ ფრენკლინიდან ქალაქ ვესტქოუტში ღირს თითო ოცდახუთი ცენტი!“ – წიგნაკი დახლზე დაახეთქა. – მეტი რაღა გინდა? შინაური ცხოველია და სათანადოდაც არის შეფუთული!

ფლენერი წიგნს დასწვდა, გადაფურცლა და თითი სამოცდამეოთხე გვერდს დააბჯინა:

– „თუ მიღებული ტვირთის საფასური საეჭვოდ მიაჩნია, აგენტმა უმაღლესი თანხის გადახდა უნდა მოითხოვოს. მიმღებს უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება“. ჰოდა, მე მეეჭვება, მისტერ მორჰაუს. ვხედავ, რომ შინაური ცხოველია და ისიც მჯერა, რომ წვრილფეხაა. მაგრამ ამ ცხოველს სახელად გოჭი ჰქვია. წესი კი გვეუბნება, რომ „გოჭების გადაგზავნა ფრენკლინიდან ვესტქოუტში თითო ოცდაათი ცენტი ღირს“. არითმეტიკის ცოდნა თუ არ მღალატობს, ორჯერ ოცდაათი სამოცი ცენტია.

გამძვინვარებულმა მისტერ მორჰაუსმა თავი გადააქნია:

– აბდაუბდას ჩმახავ! – შეჰყვირა. – სისულელეა-მეთქი, გეუბნები! მაგ წესში ჩვეულებრივ გოჭებზეა ლაპარაკი და არა ზღვის გოჭებზე!

ფლენერი გაჯიქდა.

– გოჭი მაინც გოჭია, – მტკიცედ განაცხადა მან. – ზღვის გოჭი იქნება, ხმელეთისა თუ ტყის, კომპანიისათვის სულ ერთია. გოჭის ადგილსამყოფელს რა ესაქმება გადასახადთან!

მორჰაუსი შეყოყმანდა, ტუჩი ჩაიკვნიტა და ხელების ქნევას მოჰყვა.

– მაშ კარგი! – დაიღრიალა მან. – განანებ, თუ კაცი ვყოფილვარ! შენი კომპანიის პრეზიდენტსაც ვუჩვენებ სეირს. ორმოცდაათ ცენტზე ხომ უარი თქვი! გყავდეს ეს გოჭები, სანამ ორმოცდაათს არ დამჯერდები. ოღონდ, რომელიმეს ფრჩხილიც რომ წამოსტკივდეს, სამართალში მიგცემ! – თქვა, გაბრუნდა და კარი გაიჯახუნა. ფლენერმა, რომელიც ვალმოხდილი მსახურის წყნარ კმაყოფილებას განიცდიდა, ფრთხილად აიღო ყუთი და კუთხეში მიდგა.

მისტერ მორჰაუსი გაცოფებული მიიჭრა შინ.

– ჩქარა სამელნე! – ზღურბლზე ფეხის გადადგმისთანავე დაუკიჟინა ცოლს. როცა სამელნე მიართვეს, სასწრაფოდ აღწერა ეს შემთხვევა. წერას რომ მორჩა, სახე გამარჯვებულის ღიმილით გაუბრწყინდა.

ერთი კვირის შემდეგ მორჰაუსმა კომპანიისაგან ოფიციალური პასუხი მიიღო. სულწასულმა გახია მოგრძო კონვერტი, რომელსაც ზემო კუთხეში ნომერი A 6754 ეწერა. ბარათი მოკლე იყო: „საკითხი – ზღვის გოჭის საფასური. ძვირფასო სერ, გაცნობებთ პასუხს კომპანიის პრეზიდენტისადმი მიმართულ თქვენს წერილზე, რომელიც ეხებოდა ზღვის გოჭების გადაგზავნის საფასურს. გადასახადის თაობაზე აღძრული საჩივარი გაგზავნილ უნდა იქნას საჩივრის განყოფილებაში“.

მისტერ მორჰაუსმა საჩივრის განყოფილებასაც მისწერა: დახვეწილი სარკაზმითა და საჩივრებით სავსე ექვსგვერდიანი უსტარი გამოაცხო და საჭირო მისამართით გაგზავნა.

რამდენიმე კვირის შემდეგ მიიღო პასუხი, რომელსაც თან ერთვოდა მისი წერილი.

„ძვირფასო სერ – ეწერა ბარათში – მივიღეთ თქვენი ნერილი, დათარიღებული ამა თვის 16-ით, მიმართული საჩივრის განყოფილებისადმი, ფრენკლინიდან ვესტქოუტში გადაგზავნილი ზღვის გოჭების თაობაზე. დავუკავშირდით აგენტს ვესტქოუტში. იგი გვატყობინებს, რომ უარი გითქვამთ მის წინადადებაზე, მიგეღოთ ტვირთი და გადაგეხადათ გადასახადი. აქედან გამომდინარე, კომპანიისადმი თქვენი სარჩელი უსაფუძვლოა. გირჩევთ მისწეროთ ტრანსპორტის განყოფილებას“.

მორჰაუსმა ტრანსპორტის განყოფილებასაც მისწერა. ორი გვერდი ენციკლოპედიიდან ამოწერილ ფაქტებს დაუთმო, ამტკიცებდა, ზღვის გოჭი უბრალო გოჭისაგან ძირეულად განსხვავდებაო.

ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა ფეხები მაგიდაზე შეაწყო, გაიზმორა, წერილი ზერელედ გადაათვალიერა და მდივან ქალს მიუბრუნდა:

– მისს კეინ, დაბეჭდეთ: „აგენტს, ვესტქოუტი, ნიუ-ჯერსის შტატი. რატომ ეთქვა უარი შინაური ცხოველების გადასახადზე თანდართულ დოკუმენტში აღნიშნულ მთხოვნელს? დაუმატეთ: „შეგვატყობინეთ, რა მდგომარეობაშია ტვირთი ამჟამად“. იმ ზღვის გოჭებმა, ალბათ, შიმშილისაგან ფეხიც გაჭიმეს. – ჩაილაპარაკა მან.

მაიკ ფლენერმა ბარათი წაიკითხა და თავი მოიქექა.

– შეგვატყობინეთ, რა მდგომარეობაშია ტვირთი ამჟამად, – გაიმეორა დაფიქრებულმა. – ვერ გამიგია, რა უნდა შევატყობინო. ჩემი აზრით, გოჭები თავს მშვენივრად გრძნობენ. რომელი ვეტერინარი მე მნახეს! იქნებ გოჭების ექიმი გამოვიძახო და პულსი გავასინჯო? ისე კი, დიდებული მადა აქვთ გოჭების პირობაზე. ყველა გოჭს ასეთი მადა რომ ჰქონდეს, ქვეყანას გადაჭამდნენ.

ფლენერმა კანტორის უკანა კარს მიაშურა. გალიაში ჩაიჭყიტა, რათა მოხსენებით ბარათში ზუსტად და დაწვრილებით აღენერა გოჭების მდგომარეობა. გოჭებს მოზრდილ ყუთში გადაენაცვლათ.

– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა! – ითვლიდა ფლენერი. – შვიდი ჭრელია, ერთი – მთლად შავი. რვავე საღსალამათია და რვავეს ბეჰემოტის მადა აქვს. – ოთახში დაბრუნდა და წერას შეუდგა:

„მისტერ მორგანს, სატრანსპორტო განყოფილების უფროსს. მთხოვნელს იმიტომ ეთქვა უარი, რომ ზღვის გოჭი მაინც გოჭად ითვლება, რაშიც თქვენც დამეთანხმებით. ჯანმრთელობის მხრივ თავს კარგად გრძნობენ. იმედია, თქვენც კარგად ბრძანდებით. გოჭები გამრავლდნენ და ახლა რვანი არიან. უყვართ კომბოსტო. საკვებზე უკვე ორი დოლარი დავხარჯე. მივუმატო თუ არა ეს თანხა გადასახადს?“

მორგანმა წერილზე ბევრი იცინა. შემდეგ ხელმეორედ გადაიკითხა, ჩაფიქრდა და რჩევისათვის მიაშურა კომპანიის პრეზიდენტს, რომელმაც საქმე ხელაღებით გადაწყვიტა:

– რა გადასახადია გოჭებზე? წვრილფეხა ცხოველზე?

– გოჭზე – ოცდაათი, წვრილფეხაზე – ოცდახუთი ცენტი. – უპასუხა მორგანმა.

– მაშინ, რა თქმა უნდა, ზღვის გოჭი მაინც გოჭია. – თქვა პრეზიდენტმა.



– დიახ, – დაეთანხმა მორგანი. – მეც ასე მგონია. გადახდილ უნდა იქნას ორიდან უმაღლესი თანხა. ისე კი ზღვის გოჭი, მგონი, ბაჭიას უფრო მიაგავს.

– მართლაც, – შეყოყმანდა პრეზიდენტი. – ბაჭიას უნდა ჰგავდეს. პროფესორ გორდონს ვკითხოთ, ასეთ საკითხებში კარგად ერკვევა. დატოვეთ ჩემთან ეს ქაღალდები.

ვიდრე პროფესორი გორდონი პრეზიდენტის კითხვას უპასუხებდა, მორგანმა ფლენერისაგან ახალი წერილი მიიღო: „რა მოვუხერხო გოჭებს? ძალიან სწრაფად მრავლდებიან, უკვე ოცდათორმეტი სულია. გავყიდო? იკისრებთ პასუხისმგებლობას? მიპასუხეთ სასწრაფოდ!“

მორგანმა უდეპეშა:

„აგენტს, ვესტქოუტში, გოჭების გაყიდვა არ შეიძლება“.

ფლენერი იდგა დეპეშით ხელში, გოჭებს დასცქეროდა და მწარედ ოხრავდა. გოჭები ყუთში რომ აღარ დაეტივნენ, ფლენერი იძულებული გახდა, კანტორის უკანა ოთახი გაეტიხრა და სადგომად გადაეკეთებინა.

გავიდა რამდენიმე თვე. სასოწარკვეთილმა ფლენერმა მორგანს უდეპეშა: „160“. მორგანმა უკან დაუბრუნა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ფლენერმა უპასუხა: „უკვე ასსამოცი გოჭი მყავს. ღვთის გულისათვის, ნება მომეცით, ცოტა მაინც გავყიდო, თორემ გავგიჟდები“.

„გოჭების გაყიდვა არ შეიძლება“, – იყო პასუხი.

კომპანიის პრეზიდენტმა პროფესორ გორდონისაგან ვრცელი, მეცნიერული წერილი მიიღო. პროფესორი იუწყებოდა, რომ ზღვის გოჭი განეკუთვნება Cavia apazoca-ს, ხოლო ჩვეულებრივი გოჭი კი – denus Sus Suidae-ს ოჯახიდან მოდის. ბოლოს დასძენდა, სწრაფად მრავლდებიანო.

– ზღვის გოჭი არ ყოფილა გოჭი. – დაასკვნა პრეზიდენტმა და მორგანს მიუბრუნდა: – გადასახადი თითოზე – ოცდახუთი ცენტი.

მორგანმა საჭირო წარწერა გაუკეთა ქაღალდების შეკვრას, რომელიც ∆ 6754 ნომრით იყო აღნიშნული და საფინანსო განყოფილებას გადააბარა. საფინანსო განყოფილებამ ჩვეული დაყოვნებით აცნობა ფლენერს: „ვინაიდან სახეზე ამჟამად ასსამოცი ზღვის გოჭი გყავთ, ტვირთი უნდა ჩაბარდეს პატრონს და მიიღოთ გადასახადი თითოში ოცდახუთი ცენტი“.

ფლენერიმ გოჭების დათვლას მთელი დღე მოანდომა.

„საფინანსო განყოფილებას, – დაწერა, თვლას რომ მორჩა: ერთ დროს ასსამოცი იყო, ამჟამად კი რვაასი გახლავთ. როგორ მოვიქცე, რვაასივეზე მოვითხოვო გადასახადი?“

როცა წერილმა საფინანსო განყოფილებას მიაღწია, ფლენერი კანტორის უკიდურეს კუთხესღა ინარჩუნებდა. დანარჩენი ადგილი ეჭირათ გოჭებს, რომლებიც ორი დაქირავებული ბიჭის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

საფინანსო განყოფილების პასუხმა, რვაასივეზე მოითხოვე გადასახადიო, ფლენერი გაცხარებულ საქმიანობას მოაცდინა. იგი გამალებით აშენებდა მრავალიარუსიან შუშაბანდს, რადგან დასაბინავებელი ჰყავდა ორიათასსამოცდაოთხი ზღვის გოჭი. სულადობა დღითიდღე იზრდებოდა.

საფინანსო განყოფილებამ ახალი მითითება გამოუგზავნა: „ხარჯთაღრიცხვაში შეცდომა იყო დაშვებული. მიიღეთ გადასახადი ზღვის ორ გოჭზე – სულ ორმოცდაათი ცენტი. ჩაბარდეს მთხოვნელს“.

ფლენერი წერილმა გამოაცოცხლა, ელვის უსწრაფესად გამოწერა ქვითარი და მორჰაუსის სახლისაკენ მოკურცხლა. ჭიშკართან ნაბიჯი შეანელა. სახლს აბრა ეკიდა: „ქირავდება“. მისტერ მორჰაუსს ბინა გამოუცვლია! ფლენერი სირბილით გაბრუნდა უკან, კანტორაში. მის არყოფნაში სამოცდაცხრა ახლადდაბადებული ზღვის გოჭი მოვლენოდა ქვეყანას. დეპეშა აფრინა საფინანსო განყოფილებაში: „მიმღებმა ადგილსამყოფელი გამოიცვალა. მისამართი უცნობია. რა ვქნა? ფლენერი“.

საფინანსო განყოფილების მოხელეს ამ დეპეშაზე გაეცინა და გაიფიქრა: ფლენერი სულ გამოჩერჩეტებულა. დავიწყებია, რომ თუ მიმღები არ ჩანს, ტვირთი ჩვენ უნდა გადმოგვიგზავნოსო. მან ფლენერს აცნობა, გოჭები ქალაქ ფრენკლინში, კომპანიის მთავარ კანტორაში გადმოაგზავნეო.

ფლენერმა თავი მოიქაჩლა, დაქირავებული ექვსი ბიჭიც მასთან ერთად დატრიალდა. განწირული ადამიანის თავგამოდებით მუშაობდნენ; აკეთებდნენ გალიებს საპნის, ნამცხვრისა და ყველა სახის ყუთებისაგან და ტენიდნენ შიგ ფრენკლინში გადასაგზავნ გოჭებს. მალე ფლენერმა დეპეშა მიიღო: „შეწყვიტეთ გოჭების გამოგზავნა. საბარგო განყოფილება გატეხილია“. ფლენერი წუთით მოწყდა საქმეს, გააგზავნა ლაკონიური დეპეშა: „ვერ შევწყვეტ!“ და ფუსფუსი განაგრძო. ფრენკლინის მატარებელს კომპანიის ინსპექტორი ჩამოჰყვა; მას ნაბრძანები ჰქონდა, რაიმე ეღონა და გოჭების უწყვეტი ნაკადი შეეჩერებინა. კანტორაში შესვლისას დაინახა, რომ ექვსი ბიჭი ყუთებს მანქანაში ტვირთავდა. მანქანას სადგურისაკენ ეჭირა გეზი, ხოლო კანტორაში ფლენერი საქმიანობდა – დიდი ნიჩბით ისროდა გოჭებს ყუთებში. სამუშაო ბოლომდე იყო მიყვანილი. ფლენერმა მაშინღა ამოისუნთქა, როცა ერთმა დამხმარე ბიჭმა ცარიელი ყუთები შეუნაცვლა. დარჩენილ ორიოდე გოჭს გადახედა და გაიბადრა, ჩვეული ოპტიმიზმი დაუბრუნდა.

– მაინც იოლად გადავრჩი. – მხნედ ჩაილაპარაკა. – შეიძლება საქმე უარესად დატრიალებულიყო. რა მეშველებოდა, გოჭების ნაცვლად სპილოები რომ გამოეგზავნათ?!

ინგლისურიდან თარგმნა
ვალერი ჭკადუამ

„ან ოპერეტია, ან სატანა“

(ტიტო სკიპას მოგონება შალიაპინზე)

ოციან წლებში არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესის თეატრ „კოლონში“ მე და შალიაპინს გასტროლები გვქონდა. ჩვენს მოსასმენად არა მარტო არგენტინის სხვა ქალაქებიდან, არამედ ლათინური ამერიკის მეზობელი ქვეყნებიდანაც მოაწყდა ხალხი. ბილეთების ფასი ერთი სამად გაიზარდა. მათი შეძენა ყველას როდი შეეძლო.

თებერვლის ერთ საღამოს „კოლონში“ იდგმებოდა როსინის „სევილიელი დალაქი“ ჩვენივე მონაწილეობით. სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მსახიობთა ჯგუფი ბუფეტში იჯდა და მხიარულად საუბრობდა. შალიაპინი ჰყვებოდა კარუზოსთან, ჯილისთან შეხვედრის მხიარულ ეპიზოდებზე, რაც სხვადასხვა ქალაქებში გადახდომია.

– სინიორ შალიაპინ! – მიუბრუნდა თევდორე შალიაპინს დირიჟორი მარკეტი, – გვიამბეთ, რა შეგემთხვათ ვენაში, როცა სანაძლეო მოუგეთ ტიტე რუფოს.

შალიაპინმა ჯერ იუარა, ბოლოს მსახიობებმა დაჟინებული თხოვნით დაითანხმეს:

– საქმე ასე იყო: მაშინ მეფისტოფელს ვმღეროდი და ვენელი მაყურებელი არც თუ ცუდად მიღებდა. ხუთ-ექვსჯერ გამომიძახებდნენ ხოლმე და აი, ერთხელ რუფო მეუბნება: – პარიზში თორმეტჯერ გამომიძახეს „აიდა“-ში, თქვენ თუ შეძლებთ, სინიორ შალიაპინ, ვენაშიც ამასვე მიაღწიოთ?

– შევძლებ, – მივუგე მაშინვე, – თანაც თორმეტჯერ კი არა, თხუთმეტჯერ.

– არა მჯერა, – მეუბნება, – არ გამოგივათ. დავნაძლევდეთ?

დავნაძლევდით ერთ ყუთ შამპანურზე. ერთი სიტყვით, მოვიგე. თექვსმეტჯერ გამომიძახეს. გახსოვთ, მარკეტი? – მარკეტიმ კვერი დაუკრა – მაგას რა დამავიწყებს!

შალიაპინის პირისპირ მჯდომ ახალგაზრდა ქალს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა:

– სინიორ შალიაპინ, შეძლებთ, ტაში დაგიკრანან ამ თეატრში მოქმედების მსვლელობისას?

– მგონი! – უპასუხა შალიაპინმა.

საქმე ის არის, რომ ტრადიციულად თეატრ „კოლონში“ მოქმედების მსვლელობისას ტაში აკრძალული იყო,ეს შეიძლებოდა მხოლოდ ფარდის დაშვების შემდეგ.

– მზად ვარ, დაგენიძლაოთ, – ჩავერიე მე, – რომ ამას ვერასგზით ვერ შეძლებთ. აქაური ტრადიციის დარღვევა ვერ შეძლეს ვერც მაზინიმ და ვერც კარუზომ.

– ორი ყუთი შამპანური, თანახმა ხართ? – შალიაპინი დათანხმდა.

იმ საღამოს შალიაპინი განსაკუთრებულად მღეროდა. ცნობილ არიაში მან თავის თავს გადააჭარბა, მომღერლის ხმა ჭექდა, მსმენელთა გულის ცემას იპყრობდა. მსგავსი რამ „კოლონის“ კედლებს აქამდე არ სმენოდა. გენიალური მომღერალი წამით გაჩუმდა, თუმცა მისი ხმა ჯერ კიდევ ჟღერდა სულგანაბულ დარბაზში... და გაისმა გრგვინვა, დარბაზი აზანზარდა. მრავალი წლის ტრადიცია დაირღვა: ორი ათასი მაყურებელი ერთსულოვნად, ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა შალიაპინს. იმ საღამოს ორკესტრს ნიკოლო მარკეტი დირიჟორობდა. „როცა მსახიობის ხელოვნება მაყურებელს ფეხზე ააყენებს, ის ან ღმერთია, ან სატანა,“ – ბერნარდ შოუს ეს სიტყვები საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვა დირიჟორმა მარკეტიმ და ხელი ასწია. მუსიკოსები განცვიფრებული და დამფრთხალი უყურებდნენ თავიანთ მაესტროს: ნუთუ მან არიის გამეორება განიზრახა? ეს იქნებოდა აქაური ტრადიციის მეორედ დარღვევა – „კოლონში“ უმკაცრესად იყო აკრძალული არიის „ბისზე“ გამეორება. მიუხედავად ამისა, ორკესტრმა დაუკრა და შალიაპინმა არია გაიმეორა.

ეს საქციელი დირიჟორს ძვირად დაუჯდა. დილით ცნობილი გახდა, რომ ტრადიციის დამრღვევი მარკეტი, არა მარტო გაათავისუფლეს სამსახურიდან, არამედ დააჯარიმეს კიდეც. დირექტორს პირადი თხოვნით მივმართეთ მე და შალიაპინმა, მაგრამ ამაოდ. ამ ამბავმა თევდორე შალიაპინი ძალიან შეაწუხა, მაგრამ ის ისეთი პიროვნება არ იყო, მეგობარი უბედურებაში მიეტოვებინა.

– გულს ნუ გაიტეხთ, ნიკოლო, – ამშვიდებდა დირიჟორს, – მოვიფიქრებთ რამეს. გინდათ ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა“-ში იმუშაოთ?

გულგატეხილ მარკეტის ნაღვლიანად გაეღიმა:

– ოლონდაც, რასაკვირველია, მინდა! მაგრამ ეგ ხომ შეუძლებელია, სინიორ შალიაპინ, და თქვენ ეს ჩემზე კარგად იცით...

– ეს ჯერ კიდევ ვნახოთ, – მიუგო შალიაპინმა და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, – ვნახოთ.

ერთი კვირის შემდეგ შალიაპინი და მარკეტი ნიუ-იორკში ჩავიდნენ და იმავე დღეს შეხვდნენ უდიდეს საოპერო თეატრის დირიჟორს არტურო ტოსკანინის, შალიაპინის დიდ მეგობარს და თაყვანისმცემელს.

– ვინ არის ეს ახალგაზრდა? – იკითხა ტოსკანინიმ და მარკეტი შეათვალიერა, – თუ არ ვცდები, იტალიელი უნდა იყოს.

– ნამდვილი იტალიელია, თქვენი თანამემამულე და კოლეგა, მაესტრო, ძლივს დავიყოლიე ნიუ-იორკში წამოსვლაზე, თქვენთვის რომ გამეცნო. დიდებული დირიჟორია, ღმერთს გეფიცებით! თქვენთან ხომ არ მოიძებნება რიგითი დირიჟორის ადგილი?

– სამწუხაროდ, არა, ეს თქვენც ხომ კარგად იცით...

მარკეტი გაფითრდა. როგორი ძნელია – აღმოჩნდე უზარმაზარ უცხო ქალაქში უფულოდ და უმუშევრად! შალიაპინი მიუახლოვდა ტოსკანინის, თვალებში ჩახედა და წყნარად უთხრა:

– ძვირფასო მაესტრო, თქვენ გამოუვალ მდგომარეობაში მაყენებთ. მე მას დაბეჯითებით დავპირდი მოწყობას თქვენს თეატრში. დარწმუნებული ვიყავი, უარს არ მეტყოდით... მაგრამ თუ თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა, მაშინ მე მომიხდება...

– რა, რა მოგიხდებათ? – ჰკითხა

ტოსკანინიმ.

– დღესვე დავტოვო ნიუ-იორკი...

– თქვენ კონტრაქტის დარღვევას აპირებთ? ხომ არ შეიშალეთ?

– შესაძლებელია. მაგრამ ისე მოვიქცევი, როგორც ვთქვი.

– წარმოუდგენელი იგნორირებაა! – წამოიძახა გაცხარებით ტოსკანინიმ, – ისევ თქვენ გექნებათ სანანებელი, გონს მოდით!

– მშვიდობით, მაესტრო, ავად ნუ მომიგონებთ! ხვალ მე უკვე შორს ვიქნები. გადაეცით დირექტორს, რომ მთელ მის ფულად პრეტენზიებს უყოყმანოდ ვიღებ და კონტრაქტის დარღვევისთვისაც ყველაფერს გადავიხდი უკანასკნელ ცენტამდე. ჩემი მისამართი მისთვის ცნობილია.

როცა მიხვდა ტოსკანინი, რომ შალიაპინი არ ხუმრობდა და მართლა წასვლას აპირებდა, ჰკითხა:

– ამიხსენით მაინც, რა მოხდა? ასე რატომ გინდათ დირიჟორის ადგილი უშოვნოთ ამ სინიორ მარკეტის?

– კარგით, გიამბობთ, ოღონდ ეს ჩვენს შორის უნდა დარჩეს – და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ტოსკანინი თვალდახუჭული უსმენდა. თითქოს გონებაში წონისო და უცებ გადაიხარხარა. იგი დიდხანს და გულიანად იცინოდა. როცა დაწყნარდა, შალიაპინს მიუბრუნდა:

– არ გამტყუნებთ. ხშირად ნიჭი აყვება ხოლმე ემოციებს და ზოგჯერ უგუნურებასაც კი. თქვენი დიდსულოვნებაც გასაგებია ჩემთვის... როგორ გამოვიდეთ ამ კურიოზული მდგომარეობიდან? წავიდეთ დირექტორთან!

„მეტროპოლიტენ-ოპერის“ დირექტორი ჰატი-კაზაცა გულღიად და მხიარულად შეხვდა შალიაპინს, მაგრამ როცა შეიტყო, რა „სიურპრიზი“ ჩამოეტანა ლათინური ამერიკიდან,მოიღუშა და ფანჯრისაკენ მიბრუნდა.

ტოსკანინიმ დიდმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი შალიაპინს – აი, ახლა იფეთქებს და გაუძელიო, – ანიშნა.

ტოსკანინი არ შემცდარა. ჰატი-კაზაცა – ეს ტანდაბალი, ჩასუქებული კაცი, მრგვალი მელოტი თავითა და შავი, ბდღვრიალა თვალებით – მკვეთრად შემობრუნდა და აღრიალდა: – ოპერის ცირკად ქცევა გინდათ?

უცებ ტოსკანინის მიუბრუნდა და ჰკითხა:

– თქვენ კი, როგორ ფიქრობთ, მაესტრო, ჭკვიანურად იქცევა შალიაპინი?

– როგორ გითხრათ, შესაძლოა უგუნურად, მაგრამ, ჩემი აზრით, სამართლიანად და ადამიანურად. მარკეტი მისი მიზეზით დაიჩაგრა და მისი ბედის ანაბარა მიტოვება...

– უაზრო ლაყბობაა! მე ვერ დავუშვებ, რომ მსოფლიოს უდიდესი თეატრი ბალაგანად გადამიქციონ! ვინ არის მარკეტი? საიდან გამოტყვრა? დაბრუნდეს თავის იტალიაში, საიდანაც წამოთრეულა!

ამ სიტყვებზე ტოსკანინი წამოვარდა, მრისხანედ შეხედა დირექტორს. დიდი დირიჟორის შავი თვალები ავად იმზირებოდნენ დაფანჩულ წარბებს ქვემოდან. აღელვებისაგან ხმა უწყდებოდა, ბოლოს ჩურჩულით წარმოსთქვა:

– მეც იტალიიდან ვარ... წამოთრეული. იქნებ მეც მირჩიოთ იქ დავბრუნდე? სიტყვას მოჰყვა და შეგახსენებთ, რომ ჩვენი კონტრაქტი ორი კვირის შემდეგ მთავრდება...

დირექტორი გაფითრდა. ესღა აკლდა. უცებ დაკარგა ორი გენიოსი – შალიაპინი და ტოსკანინი! ხანგრძლივი და საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. დირექტორს თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. რა ქნას, როგორ მოიქცეს? შალიაპინი მიეშველა:

– ნება მიბოძეთ, მარკეტი მოვიწვიო...

– სად არის?

– აქვე, გვერდით, – შალიაპინს ეშმაკურად გაეღიმა, – ჰა, რა ვქნა, დავუძახო?

– დაუძახეთ!

ერთი წუთის შემდეგ მარკეტი კაბინეტში შემოვიდა.

– ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ერთმანეთი, – მხიარულად თქვა შალიაპინმა, – თეატრის გენერალური დირექტორი ჰატი-კაზაცა, დირიჟორი ნიკოლო მარკეტი.

– ფრიად მოხარული ვარ, – ჩაიბუზღუნა დირექტორმა და სტუმარს ხელი ჩამოართვა – მაშ, თქვენ ბრძანდებით მარკეტი? თუ არ ვცდები, თქვენზე მიამბობდა ბენიამინო ჯილი.

– ადვილი შესაძლებელია. მე და ის ძველი მეგობრები და თანამემამულეები ვართ.

–ღმერთო ჩემო, ჩვენი „მეტროპოლიტენ-ოპერა“ იტალიურ კოლონიად იქცევა! ბატონო შალიაპინ, იქნებ თქვენც იტალიელი ხართ? კარგად გაიხსენეთ!

კაბინეტში ხარხარი ატყდა. სერიოზულად მხოლოდ მარკეტი იდგა. იგი შესცქეროდა შალიაპინს, მისი თვალები უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავდნენ ამ გასაოცარი ადამიანისადმი.

ერთი თვის შემდეგ მარკეტი „ჯამბაზებს“ დირიჟორობდა და მაღალი შეფასება დაიმსახურა. მან მრავალ წელს იმუშავა „მეტროპოლიტენ-ოპერაში“.

იტალიურიდან თარგმნა
ზაირა სტურუამ

უილიამ შექსპირს ფრანსის ბეკონი ერჭვა?!

უილიამ შექსპირი – მსოფლიოში განთქმული დრამატურგის ფსევდონიმია, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი ცნობილი ამერიკელი ექსპერტ-გრაფოლოგის მორინ უარდ-გენდის მტკიცებით, უნდა იყოს გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი (1951-1626). ამ ქალბატონის აზრით, სწორედ ფრენსის ბეკონი, რომლის კალამს ეკუთვნის უტოპია „ახალი ატლანტიდა“, შესაძლოა იყოს ახლახან აღმოჩენილი ხელნაწერის ავტორი, რომელშიც აღწერილია სცენა, საოცრად მსგავსი ტრაგედია „ჰენრიხ IV“ ერთი ეპიზოდისა. მ. უარდ-გენდიმ შეადარა ხელნაწერი დოკუმენტის პირს, რომელიც XVI საუკუნის 90-იანი წლებითაა დათარიღებული, როდესაც ეს ისტორიული დრამა იყო დაწერილი, ელიზავეტას ეპოქის 30 ცნობილი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის ხელნაწერებს.

გრაფოლოგის სრული რწმენა, რომ აღმოჩენილი ხელნაწერი ბეკონს ეკუთვნის, სპეციალისტთა აზრით, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია იმ ავტორის დასადგენად, რომელმაც 38 გენიალური პიესა, 150 სონეტი და ორი პოემა დაუტოვა კაცობრიობას და თავის ნაწარმოებებს აწერდა: „უილიამ შექსპირი“.

წლების მანძილზე მიმდინარე კამათი – მაინც ვინ დაწერა სინამდვილეში ეს შედევრები, უფრო გაცხარდა მას შემდეგ, როცა გრაფოლოგიური ექსპერტიზის მიერ გამოკვლეული ხელნაწერი გამოტანილი იყო „სოტბის“ აუქციონზე. აუქციონის მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ ამ 57 სტროფიანი წვრილად დაწერილი დოკუმენტის, რომელიც ავტორს ერთ გვერდზე დაუტევია, ფასი 12.000 ფუნტი სტერლინგი იქნებოდა. მაგრამ, მათდა გასაკვირად, იგი არავინ იყიდა და პატრონს დაუბრუნდა, რომელმაც ისურვა ინკოგნიტოდ დარჩენილიყო.

მორინ უარდ-გენდი სასამართლო ექსპერტ-გრაფოლოგია და მას ხშირად ინვევენ პოლიციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დოკუმენტების და ხელნაწერების სისწორის თუ სიყალბის დასადგენად. მან განაცხადა: „ასოების ფორმა და ხელნაწერის სტილი მიუთითებენ, რომ მისი ავტორი ფრენსის ბეკონია. ყოველივე ეს ძალზე საინტერესოა, რადგან შესაძლებელი გახდა ამჯერად ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს კამათს და დადგინდეს, რომ ყველა პიესა, რომლებსაც ხელს აწერდა შექსპირი, ბეკონის მიერ არის შექმნილი“.

ხელნაწერში მოყვანილი სცენა წარმოადგენს საუბარს ტავერნაში, სადაც მისი პატრონი ორ ქურდს უყვება გასულ ღამით მოსულ მდიდარ მოგზაურზე, რომელსაც ქისაში ოქროს მონეტი უჩხრიალებს.

ანალოგიური საუბარი ზუსტად ანალოგიურ გარემოებაში აღწერილია ტრაგედიაში „ჰენრიხ IV“.

შექსპირის ნაწარმოებების ბრაიტონის ინფორმაციის ცენტრის დირექტორს ფრენი კარს ასევე მიაჩნია, რომ „შექსპირის“ ფსევდონიმით მეფე იაკობ I კარზე სარგებლობდა ლორდ-კანცლერი ფრენსის ბეკონი. „მე მიმაჩნია, რომ ექსპერტგრაფოლოგის დასკვნები საშუალებას გვაძლევს, ბოლოს და ბოლოს გაიხსნას შედევრების ავტორობის საიდუმლო, რომლებსაც დღეისათვის შექსპირს მიაწერენ ხოლმე“, – განაცხადა კარმა.

თუმცა ქალაქ სტრატფორდს – შექსპირის სამშობლოს, სადაც ამ სახელის გამო ტურიზმის მთელი ინდუსტრია ჩამოყალიბდა, ახალი აღმოჩენა კარგს არაფერს უქადის. მით უმეტეს, რომ ტურიზმით ცხოვრობს არა მხოლოდ ყვავილნარში ჩაფლული ციცქნა სტრატფორდი, სადაც ერთი კი არა, ხუთ შექსპირისეულ სახლს გიჩვენებენ, არამედ მთელი სტრატფორდის საგრაფო. ტურისტების ჯგუფები, რომელთა შორის, როგორც წესი, უამრავი იაპონელია, დაუფიქრებლად ყიდულობენ ძვირადღირებულ ბილეთებს, რათა თავისი თავი აღბეჭდონ სამახსოვრო ფოტოზე დიდი ინგლისელი დრამატურგის სახლის მიმდებარე ბაღში.

თუმცა, როგორც ექსკურსიათმძღოლები, რომლებიც ცნობისმოყვარე ტურისტებს მსოფლიოს ათეულ ენაზე აწვდიან შექსპირის „მონაცემებს“, თვითონაც არ მალავენ, რომ ამ სახლებში მდიდარი დრამატურგის დროიდან არაფერი დარჩენილა, ქვის იატაკს და სახლების კედლებს თუ არ ჩავთვლით. ვიტრინებში მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენაზე გამოცემული შექსპირის წიგნებია გამოფენილი, კედლებზე კი ძველი გრავიურებისა და პორტრეტების ასლებია და დროისაგან გაყვითლებული ანგარიშები. აი, რისი შეთავაზება შეუძლიათ ტურისტებისათვის, რომლებიც აქ სამყაროს ყველა კუთხიდან ჩამოდიან. სამაგიეროდ ძნელი წარმოსადგენია ტურისტი, რომელიც აქ მოხვდება და სამახსოვროდ თან არ წაიღებს სუვენირს, თუნდაც ფანქარს, რომელზეც, წარწერილია „შექსპირი“, საგრაფოს ღერბის გამოსახულებიან ზარს და სხვა.

თვით მთელი საგრაფო სტრატფორდი, თავისი მრავალრიცხოვანი სასტუმროებით, პანსიონატებით და ლუდხანებით, რომლებსაც ხატოვანი აბრები – „ჰენრიხის ამალა, „უილიამთან“, „დეზდემონა“ და სხვა ამშვენებენ, ცნობარებში ოფიციალურად „შექსპირის სამშობლოდაა“ გამოცხადებული. შექსპირის პიროვნების გამოსაკვლევად აქ მეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეების ჩაკირკიტებული მუშაობის შესახებ ურჩევნიათ არაფერი იცოდნენ, თუმცა, შესაძლოა, ასეც სჯობდეს...

ლამარა გაგუა

მილიონები საქორწილო კალათაში

ბევრი ჰოლივუდელი პატარძლისათვის საკურთხევლის გზა მოგზაურობად გადაიქცევა ხოლმე მილიონერების ზღაპრულ სამყაროში.

და მაშინაც კი, როდესაც ბედნიერი ქორწინება საბოლოოდ განქორწინებით მთავრდება, „ვარსკვლავთა“ ცოლები არ იბნევიან და ახერხებენ კიდეც უზრუნველჰყონ საკუთარი თავისა და შვილების შემდგომი ყოფა.

უძრავი ქონება ყოველთვის ფასობს

როჯერ მურს (ყოფილი ჯეიმს ბონდი) 1997 წლის დასაწყისში დიდი შრომა დასჭირდა განქორწინების საქმის მოსაგვარებლად. მისი ყოფილი ცოლი ლუიზა, რომელიც როჯერმა ჯერ კიდევ 1994 წელს მიატოვა, ოცდახუთ წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, დათანხმდა სასამართლოს გარეშე მისცეს თავისუფლება მსახიობს და არ გამოუთქვამს პრეტენზია ქმრის ქონებაზე.

ეს „მოწყალება“ 69 წლის მსახიობს ათი მილიონი დოლარი დაუჯდა და კიდევ ორ მილიონად შეფასებული მამული ინგლისში, რომელიც როჯერს ძალიან უყვარდა. ის აცხადებდა, რომ მამული მხოლოდ მისი სიკვდილის შემთხვევაში გადაეცემოდა ცოლს. როგორც ჩანს, ეს მსხვერპლი ლუიზამ დააფასა და გადაწყვიტა, არ ჩაბმულიყო ხანგრძლივ სასამართლო დავაში. თუმცა მას ბევრი არაფერი დაუკარგავს – სასამართლო საუკეთესო შემთხვევაში ოც მილიონ დოლარს მიაკუთვნებდა. იგი ირწმუნებოდა, რომ ეს ნაბიჯი შვილების გამო გადადგა, რათა მათთვის ეს უსიამოვნო პროცედურა აეცილებინა.

როჯერ მურმა ცოლი 55 წლის ქვრივ-მილიონერ კიკი ტოლსტრაპის გამო მიატოვა, რომელიც ოდესღაც ლუიზას საუკეთესო მეგობარი იყო.

არც ცოლი, არც მანქანა

1998 წლის იანვარში, ლოს ანჟელესის სასამართლო გადაწყვეტილებით ჟან-კლოდ ვანდამს დაეკისრა ყოველთვიურად 112 ათასი დოლარი გადაეხადა ცოლ-შვილისათვის, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ არ დამთავრდებოდა სასამართლო პროცესი.

1997 წლის ბოლოს ყოფილმა ჰავაელმა მანეკენმა – დარსი ლაპიერმა მესამეჯერ შეიტანა განცხადება მათი ერთად ცხოვრების პერიოდში. მიზეზი, მუდმივი დამცირება და ცემა-ტყეპა იყო ქმრის მხრიდან, რომელმაც როგორც დარსი ირწმუნება, ჯერაც ვერ შეძლო ბოლომდე გადაელახა კოკაინისადმი სწრაფვა. დარსიმ თან სამი წლის ნიკოლასი წაიყვანა. ვინაიდან გაშმაგებულმა მსახიობმა დაიფიცა აღარც ერთი ცენტი მიეცა დარსისთვის, მან კიდევ ერთი თხოვნა შეიტანა სასამართლოში და აცნობა, რომ არა აქვს არანაირი

შემოსავლის წყარო, ხოლო განქორწინების პროცესი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. დარსიმ მოითხოვა 27 ათასი დოლარი ბავშვის სარჩენად, 85 ათასი კი – თავისთვის. მოსამართლემ დააკმაყოფილა დარსის მოთხოვნა. მას აგრეთვე სურს, დაიტოვოს მსახიობის ნაჩუქარი ძვირფასეულობა – ათკარატიანი საფირონის ბეჭედი, მდიდრული „ბმვ“-ესა და მოტოციკლ „ჰარლი-დევიდსონის“ ჩათვლით.

სიძუნწე მანკიერება არაა

იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ სიძუნწემ შეუნარჩუნა ოჯახი მიკ ჯაგერს. როკ-ენ-როლის ვარსკვლავი (იგი ახლა 54 წლისაა) და ყოფილი ტოპ-მოდელი ჯერი ჰოლლი (42 წლის) ერთად უკვე ოც წელზე მეტია ცხოვრობენ. ჯერიმ ოთხი შვილი გააჩინა, თუმცა ქორწინება ოფიციალურად მხოლოდ 1990 წლის ნოემბერში გააფორმეს. 1996 წლის შემოდგომაზე ჯერიმ დიდი სკანდალი მოუწყო ქმარს: გაზეთებში გაჩნდა ინფორმაცია მისი საიდუმლო კავშირის შესახებ ჰოლივუდის მსახიობ უმა თურმანთან და ამავდროულად ჩეხ მანეკენ ანა რადჟიჩთან. ჯერიმ არ შეისმინა მონანიება, ქმარი სახლიდან გააგდო და კონსულტაციისათვის იმ ადვოკატს მიმართა, რომელმაც პრინცესა დაიანა განაქორწინა. იურისტმა დაარწმუნა, რომ მას რეალურად შეეძლო მეუღლის ქონების ნახევარი მიეღო, რომელიც შეფასებული იყო 170 მილიონ დოლარად. როგორც კი ეს გაიგო, მიკი მეუღლეს მუხლებში ჩაუვარდა და პატიებას თხოვდა. თან შეპირდა, მიემართა ექიმებისათვის ისეთი სპეციალიზირებული კლინიკებიდან, სადაც პაციენტის *დაუოკებელი სექსუალური ლტოლვა სუსტდება. ახლა, ჯა*გერის პირადი მდივნის თქმით, მიკი და ჯერი სრულიად ბედნიერნი არიან.

გაყრა ჯენტლმენურად

სტივენ სპილბერგს პირველმა ცოლმა, მსახიობმა ემი ირვინგმა, 1985 წელს ბიჭი აჩუქა. ისინი ერთად მხოლოდ სამი წელი და ხუთი თვე ცხოვრობდნენ. ყველაზე უფრო იღბლიანმა რეჟისორმა კინოს ისტორიაში განქორწინებისას ნამდვილი ჯენტლმენობა გამოიჩინა: ერთად ცხოვრების ყოველი წელი 33 მილიონ დოლარად შეაფასა და საერთო ჯამში მისის ირვინგმა 112 მილიონი მიიღო.



მეორე ქორწინება მსახიობ ქეით ქეფშოუსთან სპილბერგისათვის უფრო იღბლიანი გამოდგა – ეს კავშირი ექვსი წელი გრძელდება და მათ ხუთი შვილი ჰყავთ. ამას გარდა, იგი ზრუნავს მაქსსა და ჯესიკაზე – ქეითის ქალიშვილებზე პირველი ქორწინებიდან. საეჭვოა, მრავალშვილიანი მამისთვის ეს „ტვირთი“ დამამძიმებელი იყოს: ექსპერტების შეფასებით, მისი პირადი ქონება 350 მილიონ დოლარს უახლოვდება.

ნახევარი სამეფო სატრფოსათვის

ანტონიო ბანდერასის პირველმა მეუღლემ (ანა ლესა) 1996 წლის განქორწინებისას ქმრის ქონების ნახევარი მოითხოვა, რომელიც იმ მომენტისათვის 16 მილიონად იყო შეფასებული. ოღონდ კი დაშორებოდა, ბანდერასი ყველაფერზე დათანხმდა: იმ დროისთვის ის უგონოდ იყო შეყვარებული ამერიკელ მსახიობზე, თვალისმომჭრელ მელანი გრიფიტზე. მალე ანტონიო და მელანი დაქორწინდნენ და მათ გოგონა შეეძინათ.

მოამზადა **ნინო დგებუაძემ**

კროსვორდი



თარაზულად: 2. ყველა გემის ერთობლიობა. 4. ერთგვარი ხემიანი საკრავი. 8. ციტრუსოვანი მცენარე. 10. ხის მოზრდილი სასმისი. 11. უფუარი ცომისაგან დამზადებული დიდი ზომის კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი. 13. რისამე მოგონება ვისიმე მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მიზნით. 16. საფრანგეთში მოღვაწე იტალიელი კინომსახიობი. 17. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა. 20. ქალაქი დიდ ბრიტანეთში. 22. ძვირფასი ქვების წონის ერთეული. 24. მაღალი ცილინდრული მოყვანილობის ნამცხვარი. 26. ისლით, ჩალით და მისთანებით დახურული უჭერო და უიატაკო წნული ქოხი. 28. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი. 29. საქართველოს მდინარე. 30. ქალაქი ამერიკაში.

შვეულად: 1. თაფლში მოხარშული, წვრილად დაჭრილი ნიგოზი, ნუში ან თხილი. 2. ზღაპრული გრძნეული ქალი. 3. მშვილდის სასროლი ჯოხი. 5. სუბტროპიკული მცენარე. 6. წარწერა კინოფილმის კადრზე. 7. XIX ს. ინგლისელი პოეტი. 9. ვინმესთან შინაურ ვითარებაში (ოჯახში) მოსული ან საგანგებოდ მოწვეული, დაპატიჟებული პირი. 12. ნახატებით, სურათებით გაფორმება, დასურათება (წიგნისა, ჟურნალისა და მისთ). 14. ტალღისებური მბზინავი ზედაპირის მქონე აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი. 15. სოფელი ზუგდიდის რაიონში. 16. ერთგვარი არაყი. 18. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი. 19. ფაეტონი. 21. რაიმე შეჯიბრების, კონკურსის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ყველა მონაწილე თითოჯერ გამოდის. 23. დრამატული სახე, რომელსაც არტისტი განასახიერებს სცენაზე, კინოფილმში და სხვაა. 25. სახის გამომეტყველება, შესახედაობა. 26. ძირითადი ფერი, ტონი, რომელზედაც იხატება სურათი. 27. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები (ოპერაში, ორატორიაში ან კატატაში).

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**

ნათელა ბარნაბიშვილი

თანამედროვე ქართველ მხატვართა პლეადის სათავეებთან დგას ნიჭიერი შემოქმედი ქალბატონი ნათელა ბარნაბიშვილი. ის მრავალმხრივი შემოქმედებითი პოტენციალი, რითაც ხელოვანი გამოირჩევა, მეტად საინტერესოდ და მიმზიდველად წარმოგვიდგენს მის მხატვრულ სამყაროს.

ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ფანტაზიის უნარი, სილამაზისა და მშვენიერების თავისებურად წვდომის შეგრძნება, თანდათან ხელოვნებისადმი დიდ სიყვარულში გადაიზარდა.

1960 წელს დაამთავრა ფერწერის ფაკულტეტი იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში, ხოლო 1966 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის – გამოყენებითი ხელოვნების (ქსოვილების მხატვრული დამუშავება) ფაკულტეტი.

აკადემიის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მხატვრად. იყო აგრეთვე ტრიკოტაჟის ფაბრიკის მთავარი მხატვარ-მოდელიორი. სწორედ აქ მიღებულმა გამოცდილებამ, შრომის დამოუკიდებელი ჩვევების გამომუშავების უნარმა დასაბამი მისცა ნათელა ბარნაბიშვილის შემდგომ შემოქმედებით წინსვლასა და აღიარებას.

მის მიერ შესრულებულ საკაბე ქსოვილების ესკიზებსა და ნიმუშებს დიდი წარმატება ხვდა საზღვარგარეთის ქვეყნებში; მხატვართა და დიზაინერთა კავშირის წევრი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში.

მისი მოღვაწეობის სფერო მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია: მუშაობს დაზგურ ფერწერაში, გრაფიკაში, ქსოვს გობელენებს, იტაცებს პეიზაჟები და მრავალფეროვანი ყვავილოვანი მოტივები, რომლებიც განმსჭვალულია რომანტიზმითა და პოეტურობით; ერთი სიტყვით, ნათელა ბარნაბიშვილი ფერის ჩინებული ოსტატია დახვეწილი და მიზანმიმართული ხედვით. უსაზღვრო მხატვრული სამყაროს ფერთა გადასვლებითა და ურთიერთშეხამებით იგი ჩვენს თვალწინ ამაღლებულ საერთო განწყობას ქმნის. ეს არის ფანტაზიის ნამდვილი აღმაფრენა.

ორიგინალური დახვეწილობით გამოირჩევა მისი გობელენები, პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები, დეკორატიული თემები. ქალბატონი ნათელა თავისუფლად ფლობს მხატვრობის რთულ ტექნიკას და ყოველი ნამუშევრის შექმნისას მიზნად ისახავს ახალი პრობლემების (იქნება ეს კომპოზიციური, კოლორიტული თუ შინაარსობრივი წინააღმდეგობები) გადაწყვეტასა და დაძლევას.

1992-94 წლებში საბერძნეთის ქალაქ ნავპლეონში ტრიუმფალური წარმატებით ჩატარებულმა ამ შესანიშნავი ქართველი მხატვრის ორმა პერსონალურმა გამოფენამ, ხაზგასმით დაადასტურა თანამედროვე ქართული მხატვრული სკოლის დიდი პოტენციალი და ამ სკოლის აღზრდილს, ქალბატონ ნათელა ბარნაბიშვილს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვა.

მის წარმატებებში გარკვეული როლი ოჯახურმა ატმოსფერომაც ითამაშა. მისი ორივე ქალიშვილი ხელოვანია. იანა საყვარელიძეს არაერთხელ მოუხიბლავს მაყურებელი მსოფლიო ცეკვების შესრულებით, ხათუნა უშუალოდ დედის კვალს გაჰყვა. იგი საბერძნეთშია გათხოვილი. საბერძნეთის არქიტექტორთა კავშირის წევრია.

ქმარ-შვილითა და ოთხი შვილიშვილით გარშემორტყმული ბებია – ქალბატონი თავს ამაყად და ბედნიერად გრძნობს.

ეს სითბო და სიყვარული მის შემოქმედებას ახალ-ახალი ფერებითა და სიმშვენიერით მუხტავს და ამდიდრებს.

თამარ ცერაძე

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა

ტექრედაქტორი **იამზე შარიქაძე**

გარეკანის პირველ გვერდზე: „სეხნია“ ფოტოეტიუდი ბონდო დვალიშვილისა.

მეოთხე გვერდზე: ნათელა ბარნაბიშვილის ნამუშევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბი ხარ?

მუსიკა მერი დავითაშვილისა

ტექსტი ა. ჟალანდაძის

Allegretto

Moderato

mf

დგა-ხარ ქუ-ჩის

mf

p

გა-ნა-პი-რას, ვარ-დებს ჭყი-დი...

ჩე-მი კარ-გი

mf

mp

Allegretto

ა-რა-ბი ხარ? ი-ე-ზი-დი...

mf

რო-გორც ი-ა-ვ-ოვ-დახ-ი-ლი ბუს-ქის

ძი-რას პირ ცხვი ხარ და რი-გორ გშვენ-ის კდე-ბა

f

mp

დი-დი... თქვი შა-ვი-ლე, ა-რა-ბი ხარ? ი-ე-

f

mp

mf

ზი-დი.

mf

rit.

ppp

1-40128/2

ნათელა ბარნაბიშვილი